# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 27 აპრილი, 2007 წელი.

№ 80 (5681)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# სიზუსტული ქარბორბალა პარლამენტში







2

ჯემალ კასრაძის ფოტო.

## რა მოხდა 1991 წლის 2 სექტემბერს?

8

2 სექტემბრის მოვლენები არც ქვეყნის გარედან იყო პროვოცირებული და არც – „შეთქმულების მიზნით" მოწყობილი. ეს იყო ჩვეულებრივი პოლიტიკური აქცია, რომლის დასაშლელად ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა. არც ის აზრი მიგვაჩნია მართებულად, თითქოს 2 სექტემბრიდან დაიწყო ბრძოლა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ

## ფარული ნოსტალგია საბჭოთა საქართველოზე

9

საქართველო დამოუკიდებლობისათვის სსრკ-ს შემადგენლობაში სოციალიზმის გზით „განვითარებას" არ მოუმზადებია! ქართველი ხალხი დამოუკიდებლობისათვის მზად იყო 20-იან წლების დასაწყისშიც, ე.ი. სსრკ-ს გარეშეც, მაგრამ „თბილისზე წითელი დროშის" აფრიალებამ ეს გზა დიდი ხნით გადაგვიკეტა.

ავი მეზობელი

## სეპარატისტთა მხარეს მებრძოლი მოთარეშეების უმეტესი ნაწილი რუსეთის მოქალაქე იყო. მათი საბრძოლო ჯგუფებად ორგანიზება და იარაღით აღჭურვა, რუსეთის ტერიტორიაზე წარმოებდა

6



# სახელმწიფო

● სახალხო დამცველისთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მონაწილე პირებს სასჯელი წამების მუხლითაც არ წაეყენათ



◉ რადიკალური ოპოზიცია

## რაში დაიხარჯა 169 მილიონი?!

**საქართველოს ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ პრესკონფერენცია გამართა თემაზე: „მერიაში მითვისებული მილიონები“.**

მისი თქმით, ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება ახალ-ახალ გადასახადებს იგონებს, სადაც მერიის წარმომადგენლები მილიონებს ითვისებენ სხვადასხვა ტენდერის მეშვეობით, ხალხი უფასო სასადილოებში დადის. გუგავამ დააკონკრეტა, გიგი უგულავას პირად რეკლამაზე ჩვენი ჯიბიდან ამოღებული ნახევარი მილიონი ლარი იხარჯება და ამ რეკლამამ 4 სატელევიზიო არხის ეთერში სამი თვის განმავლობაში უნდა იტრიალოსო“.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრეზიდენტების, პირველი პირებისა და საპატიო სტუმრების ოფიციალური ვიზიტების დროს დროშების

### მერია უზარმაზარ თანხებს ითვისებსო

ტარებზე ჩამოცმაზე, აეროპორტში, რესტორნებზე, საქართველოს პარლამენტსა და სხვაგან დამაგრებაზე, ხოლო ვიზიტის დასრულების შემდეგ მათ მოხსნასა და საწყობში შენახვაზე, დაზიანებული ან მოპარული დროშების შეცვლისა და კონტროლზე დიდი თანხები იხარჯება.

მისივე თქმით, მილიონობით ლარი იხარჯება კონცერტების გამართვაზე, შადრევნების მოვლა-პატრონობაზე, მობილურ ტელეფონზე პირად საუბრებზე და სხვა.

გუგავამ რატომღაც არ დააკონკრეტა, სახელდობრ რა თანხა არის გახარჯული თითოეულ ტენდერში. ჯამში კი ეს ყველაფერი დაახლოებით, 169 მილიონ ლარს შეადგენსო.

**მირანდა ფორჩხიძე,**
**მაია კილასონია**

◉ ომბუდსმენი

## სოზსუბარული ქარბორბალა პარლამენტში

**სოზარ სუბარმა გუშინ პარლამენტში, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში მოხსენებით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ასეთი განწყობა მას საპატიმროების მონიტორინგის შედეგების გამო აქვს.**



კერძოდ, როგორც მან აღნიშნა, მისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ასეთი საპატიმროების შემთხვევაში ადმინისტრაციული დაკავების ვადები 90-დღემდე გაიზარდოს.

მისივე თქმით, ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მიუღებელია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ასაკის 14 წლიდან 12 წლამდე დაწევა.

— ჩემთვის სასტიკად მიუღებელია, რომ 12 წლის ბავშვი აუტანელ და წამების ტოლფას პირობებში იმყოფებოდეს, — აღნიშნა სუბარმა.

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტი სოზარ სუბარის ანგარიშის ორივე ნაწილს ერთად განიხილავს, რომელიც 2006 წელს მოიცავს.

* * *

**სახალხო დამცველისთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მონაწილე პირებს სასჯელი წამების მუხლითაც არ წაეყენათ.**

მან გირგვლიანის მკვლელობას პრეცენდენტული უწოდა და აღნიშნა, რომ იგი 9 დღეში, ექვს სასამართლო პროცესში დასრულდა და მასზე დაზარალებული მხარის არც ერთი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

სუბარისთვის მიუღებელი იყო ის ფაქტიც, რომ სანდრო გირგვლიანის მეგობარს ლევან ბუხაიძეს სასამართლო ექსპერტიზა არ ჩაუტარდა, რაც დაადასტურებდა ამ საქმეში წამების მუხლის აუცილებლობას.

ამასთან, სუბარმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამოც, რომ სანდრო გირგვლიანის პროცესთან მიმართებაში პროკურატურასა და დაცვას ერთი პოზიცია ჰქონდათ.

* * *

**სოზარ სუბარის აზრით, ქვეყანაში მოქალაქეებისთვის სამართალდამცავების მხრიდან ნარკოტიკების ჩადების პრობლემა არ ამოწურულა.**

მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით საჩივრები, გარკვეულწილად, შემცირდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა აღარ არსებობს.

სუბარის განცხადებით, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ნარკოტიკების ჩამდები დაისაჯა, შარშან იყო. კერძოდ, ნარკოტიკები ჩაუდეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საბადრაგო სამსახურის უფროსის ძმას. ამ შემთხვევაში დამნაშავეები დაისაჯნენ.

— აქედან ჩანს, რომ ვისაც ასეთი ძმა არ ჰყავს, სიმართლის დადგენის შანსი არ აქვს, — აღნიშნა მან.

* * *

**სახალხო დამცველი ფინანსური პოლიციის მუშაობასა და მასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ხარვეზებსაც შეეხო.**

კერძოდ, მან კონტრაბანდის ფაქტებზე ისაუბრა და ყურადღება შიდა ქართლის რეგიონზე გაამახვილა.

მისი თქმით, რეგიონში ხშირია კონტრაბანდის ჩამდენისა და კონტრაბანდის გადამტანისთვის ავტოტრანსპორტის ჩამორთმევის ფაქტები.

სუბარის თქმით, კანონმდებლობა ხშირად იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანს ჩამოართვან ავტომანქანა განუსაზღვრელი ვადით, რაც მისთვის საარსებო წყაროს წართმევას მიშნავს.

* * *

**ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომა მომხდარი ინციდენტის გამო დროებით შეწყდა.**

ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც „ვარდების რევოლუციის“ წინა დღეს მომხდარი ავარიის დროს დაღუპული დავით საყვარელიძის დედამ სიტყვით გამოსვლა მოითხოვა.

საყვარელიძის დედას კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ შეახსენა, რომ პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, იგი, უბრალოდ, მოწვეული სტუმარია და მას სიტყვით გამოსვლის უფლება არ აქვს.

თუმცა, საყვარელიძის დედამ განაცხადა, რომ მას სიტყვის უფლებას იმიტომ არ აძლევენ, რომ მისი ოჯახის ტრაგედიაში მთელი მთავრობა და ხელისუფლებაა დამნაშავე.

ამ განცხადებას კომიტეტის სხდომაზე ხმაურიანი შეხლა-შემოხლა მოჰყვა და ელენე თევდორაძემ კომიტეტის სხდომის დროებით შეწყვეტა მოითხოვა.

ელენე თევდორაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კომიტეტის სხდომა მას შემდეგ განახლდება, როცა საყვარელიძის დედა ან დაწყნარდება, ან სხდომას დატოვებს.

მანვე აღნიშნა, რომ „საყვარელიძის დედის ისტერიკები კაბინეტში არა ერთხელ აქვს მოსმენილი“.

სოზარ სუბარი დავით საყვარელიძის საკითხს თავის მოხსენებაში შეეხო. კერძოდ, მან ყურადღება გაამახვილა ექსპერტიზის გაყალბებაზე და აღნიშნა, რომ პარლამენტს ამ საკითხზე გამოძიების ჩასატარებლად მიმართა, თუმცა საგამოძიებო კომისიის შექმნაზე უარი მიიღო.

დავით საყვარელიძის ავტომანქანას რუსთავის გზაზე 2003 წლის 22 ნოემბერს ჯავშანტრანსპორტიორი შეეჯახა, რის შედეგად გარდაიცვალნენ დავით საყვარელიძე და მისი დეიდა.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, თავდაპირველად ექსპერტიზები ადასტურებდნენ, რომ შეჯახება გამოწვეული იყო საყვარელიძის მიზეზით, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ შეჯახებაში დამნაშავე ჯავშანტრანსპორტიორის მძღოლი იყო, რომელიც შს სამინისტროს თანამშრომელია. იგი დაკავებული არ არის.

კომიტეტის სხდომაზე თავიანთი გულისწყრომა გამოხატეს სანდრო გირგვლიანის დედამ და გიორგი როზაქიძის მამამ.



**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

◉ მოზარდი და ძალადობა

## ზოგისთვის აქცია, ზოგისთვის — შოუ

**გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენობასთან „თანასწორობის ინსტიტუტისა“ და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაგეგმილი თეატრალიზებული შოუ გაიმართა სკოლებში არაძალადობის, თანატოლთა მედიაციის პროგრამის დაწყების მოთხოვნით.**

აქციაზე კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის არც ერთი წარმომადგენელი არ მისულა, თუმცა, „თანასწორობის ინსტიტუტთან“ ერთად, მასში 47-ე და 29-ე საჯარო სკოლების მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. მათ ძალადობას ექსპრომტად შესრულებული ნახატები დაუპირისპირეს.

*— უარს ვამბობთ „მეგაფონის ენაზე“, — განაცხადა პოეტმა ზურაბ რთველიაშვილმა, — გვინდა ყოველგვარ ძალადობას ვაჟას, ილიას, აკაკის ენით, პოეზიით, მხატვრობით და არა — ძალადობით დავუპირისპირდეთ...*

*„ახალგაზრდებში დანაშაულის შემცირებისთვის პოლიციის ენაზე ლაპარაკი გამოსავალი არ არის, აქციის მიზანი სამინისტროს წარმომადგენლებთან დიალოგის გამართვაა, რათა სკოლებში ძალადობა ძალზე შემცირდეს. მზადა ვართ, მათ ასეთი პროგრამა შევთავაზოთ“* — აღნიშნა „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრმა დავით გოგიჩაიშვილმა.

*„ძალადობასთან ძალადობით ბრძოლა უშედეგოა, სკოლებში შემოღებული კონტროლი ახალგაზრდების დაშინებისკენ არის მიმართული, თუმცა, სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შიშის სინდრომმა დანაშაულის რიცხვი გაზარდა. ამიტომ აუცილებელია აღმზრდელობითი მეთოდების დანერგვა. ასეთი პროგრამა გასულ წლებში 15 სკოლაში მუშაობდა. მას კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი ახორციელებდა, მაშინ ამან მნიშვნელოვანი შედეგიც გამოიღო, თუმცა დღევანდელმა ხელისუფლებამ მხარი აღარ დაუჭირა პროექტს, შედეგიც სახეზეა!“*

— დასძინა „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა.

აქციას განათლების და მეცნიერების სამინისტრო გამოეხმაურა და კომენტარი განათლების სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა ბერიკა შუკაკიძემ გააკეთა: *„ეს საკითხი მთლიანად პოლიტიზებულია. ამის თქმის უფლებას კი სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით გამოთქმული მათი განცხადებები მაძლევს. თუმცა გვაკრიტიკებენ, მაგრამ არც ერთ მათგანს ჩვენთვის არც წინადადებით და არც შესაბამისი პროგრამით არ მოუმართავს. სამინისტროში აღნიშნულ საკითხებზე სპეციალური ჯგუფი მუშაობს, უამრავმა ადამიანმა და სკოლამ შემოგვთავაზა საინტერესო პროგრამები. დიდი მოწონება დაიმსახურა ინტერაქტიული თეატრის პროგრამამ, რაც საქართველოს ყველა სკოლაში მოეწყობა. ბავშვები სასკოლო ძალადობის საკითხებზე საინტერესო თემებს წარმოადგენენ. მათს საფუძველზე ფსიქოლოგთა ჯგუფი სცენარებს დაწერს და მოსწავლეთა მონაწილეობით სპექტაკლები გაიმართება, ასევე გაიმართება ექსკურსიები სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, სადაც მოზარდებს საშუალება ექნებათ ნახონ, რა შედეგი მოჰყვება სკოლაში ჩადენილ ძალადობას“.*

ე.წ. „ქუჩის რომანტიზმმა“ მოზარდთა დანაშაული კატასტროფულად გაზარდა, საზოგადოების ნაწილი ამას მძიმე სოციალურ გარემოს აბრალებს, ნაწილი კი — საინფორმაციო საშუალებებით გადმოცემულ ძალადობის სცენებს. ერთიც და მეორეც მოზარდის ცნობიერებაზე უარყოფითად მოქმედებს, მაგრამ ყმაწვილის ფორმირებაში ოჯახსა და სკოლასაც ეკისრება დიდი პასუხისმგებლობა...

**ლელა მანაველიშვილი**

● ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ გაზრდილი გადასახადი მხოლოდ მაღალშემოსავლიანმა მოქალაქეებმა უნდა გადაიხადონ, გადასახადების გაზრდა გაჭირვებულ ფენაზე არ უნდა აისახოს



◎ კანონმდებლები

# ახლა რაღას იტყვიან?

## უმრავლესობამ ენა ჩაყლაპა

**მოასწრებს თუ არა ბესო ჯუღელი 1 მაისამდე თავისი იდეის ხორცშესხმას, ჯერჯერობით უცნობია. მოგეხსენებათ, 1 მაისიდან საქართველოში ბუნებრივი გაზის ტარიფი 50 თეთრს გადააჭარბებს. ამჟამად მისი ღირებულება თბილისში 34,2 თეთრია, რაიონებში კი — 31-დან 41 თეთრამდე მერყეობს.**

ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ გაზრდილი გადასახადი მხოლოდ მაღალშემოსავლიანმა მოქალაქეებმა უნდა გადაიხადონ, გადასახადების გაზრდა გაჭირვებულ ფენაზე არ უნდა აისახოს. ჯუღელის ინიციატივით, გაჭირვებული გაზის საფასურის გადახდა იმ მოქალაქეებმა უნდა იკისრონ, რომელთა ყოველწლიური შემოსავალი 20 ათასი ლარიდან იწყება. ბატონი ბესო ამბობს, რომ ქონებრივი დეკლარაცია მხოლოდ თანამდებობის პირებმა კი არა, თითოეულმა მოქალაქემ უნდა შეავსოს. „ისე უნდა იყოს, როგორც მთელ ცივილიზებულ სამყაროშია. ამერიკაში ყველა ოჯახი ავსებს დეკლარაციას. ჩვენთან ამას მხოლოდ პარლამენტის წევრები, სახელმწიფო მოხელეები, მინისტრები და ა.შ.



აკეთებენ. ყველა ოჯახმა უნდა შეავსოს დეკლარაცია, და საგადასახადო ინსპექციაში წარადგინოს“, — აღნიშნავს ის.

შეგახსენებთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში ამ იდეას, შეიძლება ითქვას, რომ აღფრთოვანებით არ შეხვედრიან. აღნიშნავდნენ, რომ ასეთი რამ საშემოსავლო გადასახადებზე უკვე არის. მოგეხსენებათ, ქონების გადასახადს იხდის ის მოსახლეობა, ვისაც წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტი აქვს. უმრავლესობაში აცხადებდნენ, რომ ღარიბ ფენაზე მთავრობამ, რასაკვირველია, უნდა იზრუნოს და ზრუნავს კიდეც, მთავრობა ხომ გადასახადებზე შეღავათებს უწესებსო.

„რამდენადაც ვიცი, არის სახელმწიფო პროგრამები. იგივე ქალაქის ბიუჯეტიდან გამოიყოფა რაღაც თანხა, რაც ნაწილობრივ ან მთლიანად ილებს თავის თავზე ამ გადასახადებს. მაგალითად, გაზისა და დენის გადასახადები. თუმცა, იქ, სადაც მინიმალური საშუალებაა, მოქალაქეებს ეს თვითონ ევალებათ“, — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ. ჯუღელისეული დიფერენცირების თაობაზე კი საპარლამენტო უმრავლესობა აცხადებდა, ადამიანების სხვადასხვა პირობებში ჩაყენება კონსტიტუციას ეწინააღმდეგებაო. მოკლედ, უმრავლესობის წევრებიდან ზოგმა — პირდაპირ და ზოგმა — ნართაულად, ბესო ჯუღელს ინიციატივა ერთხმად დაიწუნა.

ეს ინიციატივა მაინცდამაინც არც ოპოზიციას გახარებია. საპარლამენტო ფრაქცია მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენელმა მამუკა კაციტაძემ ჯუღელის იდეას არასერიოზული და არაკვალიფიციური უწოდა. დეპუტატის ვარაუდით, ჯუღელის წინადადება გასული საუკუნის 20-იან წლებში გვაბრუნებს. დაუშვებელია, მოსახლეობის ერთ ნაწილს დააკისრო ვალდებულება იმისა, რომ გადაიხადოს მეორე ნაწილის მიერ მოხმარებული გაზის საფასური. მან უფრო უპრიანად მიიჩნია, გაზის საფასურის მომატებაზე ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა თავად აიღოს და გაზრდილი ტარიფი დოტაციის სახით ბიუჯეტიდან დააფინანსოს.

საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციისგან განსხვავებით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოიწონა ფრაქცია „მაჟორიტარების“ ლიდერის ბესო ჯუღელის ინიციატივა, რომლის თანახმადაც, როგორც აღვნიშნეთ, ბუნებრივი აირის გაზრდილი სამომხმარებლო ტარიფის გადახდა მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს უნდა დაეკისროს. დანარჩენი ნაწილისთვის კი ძალაში ძველი ტარიფი დარჩეს. ბესო ჯუღელმა ეს ინიციატივა მიხეილ სააკაშვილს საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრის დროს გააცნო. პრეზიდენტმა დეპუტატს დაავალა, ამ ინიციატივას საკანონმდებლო ფორმა მისცეს და უახლოეს ხანებში მთავრობას წარუდგინოს.

უმრავლესობის წევრები ამ საკითხზე ვითომც კანონპროექტის გაცნობამდე კომენტარს არ აკეთებენ.

**მზია გელენავა**

◎ ინფორმაცია

### მაია ფანჯიკიძე — ნიდერლანდების ელჩი

**საქართველოს ახლადდანიშნულმა ელჩმა ნიდერლანდების სამეფოში მაია ფანჯიკიძემ დედოფალ ბეატრიქსს რწმუნებათა სიგელები გადასცა.**

**რწმუნებათა სიგელების გადაცემის შემდეგ გაიმართა შეხვედრა დედოფალთან, რომელმაც ქვეყანაში საქართველოს საელჩოს გახსნა დადებითად შეაფასა.**

**როგორც დედოფალმა ბეატრიქსმა აღნიშნა, ეს საქართველოსა და ნიდერლანდებს შორის არსებული მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას შეუწყობს ხელს.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 80. პარასკევი, 27 აპრილი, 2007 წელი.

◎ აქტუალური თემა

# არჩევანის მოლოდინში

## ვინ „დაითრევს“ კონტროლის პალატას?

**პარლამენტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ დემოკრატიულ ფრონტს კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტზე თავისი კანდიდატურა ეყოლება და ეს ბიძინა გუჯაბიძე იქნება. მისი კანდიდატურა კონსერვატორებმა წამოაყენეს. თავად დეპუტატი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.** „ამჟამად მხოლოდ ერთი რამის დადასტურება შემიძლია ამ პოსტზე აუცილებლად ოპოზიციის წარმომადგენელი უნდა იყოს. მიმდინარეობს კანდიდატების განხილვა. ჩემზე ჯერჯერობით არ არის ლაპარაკი. ოპოზიციიდან ვინც უნდა იყოს წარმოდგენილი, ასჯერ უკეთ იმუშავებს, ვიდრე კონტროლის პალატის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა. უმრავლესობის კანდიდატები ამ პოსტზე ვერ ამართლებენ“, — აღნიშნა მან.



ოპოზიცია აცხადებს, რომ ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში კონტროლის პალატის თავმჯდომარე არის ოპოზიციის წარმომადგენელი. მათი აზრით, ქვეყნის მთავარი კანონის — ბიუჯეტის გაკონტროლებას ობიექტურად მხოლოდ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი პიროვნება შეძლებს. მათი აზრით, კონტროლის პალატას არ ჰქონდა უფლება ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურში ჩატარებული რევიზიის შედეგებისთვის გრიფი „საიდუმლო“ დაედო. კონსერვატორების ინფორმაციით, ქალაქის კეთილმოწყობისთვის გამოყოფილი 229 მილიონი ლარი არამიზნობრივად გაიხარჯა. მათი თქმით, შესაბამისი დოკუმენტები კონტროლის პალატას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, კონსერვატორების მოთხოვნის საფუძველზე, მათთვის უნდა გადაეცა. კონტროლის პალატამ ამ მოთხოვნას უარით უპასუხა. კონსერვატორები ამბობენ, რომ კონტროლის პალატის შესაბამისმა სამსახურმა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის პასუხი უნდა აგოს.

მემარჯვენეები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებისა და შეთანხმების გარეშე, ოპოზიციის მცდელობა, კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატი გაიყვანოს, წარმატებით ვერ დასრულდება. მმართველი პარტიის დეპუტატების ნაწილი აღნიშნავს, რომ მოლაპარაკებები შესაძლებელია, ოღონდ ჯერ თავად ოპოზიცია უნდა ჩამოყალიბდეს და თავისი კანდიდატურა წარადგინოს. ჯერჯერობით, ამ საკითხზე ოპოზიციას უმრავლესობის წარმომადგენლებისთვის ოფიციალური წინადადებით არ მიუმართავს.

კონტროლის პალატის თავმჯდომარის კანდიდატურა პარლამენტის თავმჯდომარემ უახლოეს დღეებში უნდა წარმოადგინოს, თუმცა, ვისზე შეჩერდება ნინო ბურჯანაძის არჩევანი ჯერ უცნობია. მით უმეტეს, როცა მაკონტროლებელი ორგანოს შეფის თანამდებობაზე ორი უწყების ინტერესი იკვეთება. ოფიციალურად კონტროლის პალატა საკანონმდებლო ორგანოს წინაშე არის ანგარიშვალდებული, თუმცა, კულუარული ხმებით, საკუთარი კანდიდატურები კანცელარიასაც ჰყავს. შესაბამისად, არჩევანი ორი უწყების ფავორიტებს შორის უნდა გაკეთდეს. დაველოდოთ...

**მზია ხურცილავა**

◎ გამოხმაურება

# ისეთმა ფურმა დამწიხლოსო...

**ახლახან ქვეყნის პირველი პირი მორიგ ჯერზე ერთობ შეუფერებელ დროსა და შეუფერებელ ადგილას (მოზარდთა აუდიტორიასთან!ძ, შეუფერებელი შინაარსითა და ფორმით მოსდგა „ქართული აკადემიის“ სულაც არაუღირს წევრებს. ოღონდ ეს ცალკე მსჯელობის საგანია და, სხვათა შორის, სერიოზული მსჯელობისაც.**



ამ რეპლიკით კი საპარლამენტო უმრავლესობის პირმშვენიერ ქალბატონ ლიდერთან მინდა შეხმიანება, „ყველა წესის დაცვით“ გაამართლა „ის“ მიდგომა და დამატებით შეუტია საბრალო ქართულაკადემიელებს — ესაოდა „მაშინ“ რატომ არ ახსოვდათ სამშობლოო, „მაშინ“ სად იყვნენო და ასე შემდეგ. მოკლედ, უპრინციპობა დასწამა.

ღმერთო დიდებულო, უპრინციპობით სხვებს ამუნათებს ორ პოლიტიკურ პარტიაგამოცვლილი ქალი, ვინც მესამე, მმართველ



პარტიაში მარჯვედ მოყუჩებულა და, როგორც ყველაფრიდან ჩანს, კარგადაც. ისე, თუ „ოტელოს“ ჩარხი ბედუკუღმა გადატრიალდა“ და სხვა პოლიტიკურმა ძალამ ახნა ალმართი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რაღაც მანქანებით იმ ახალ პარტიაშიც ამოყოფს ლამაზ თავს...

ოღონდ მოდით, ამჯერად შევეშვათ სამშობლოსა და სხვა მაღალ მატერიებს თუ „მაშინდელ“ დროს, ამჟამინდელში გადმოვინაცვლოთ და ვკითხოთ ენაპირამლერებულ ლიდერს: თვითონ სად იყო „მაშინ“ კი არა, რამდენიმე თვის წინათ, როცა საქართველოს ღალატის ბრალდებით საკუთარი შვილის მამა დაუპატიმრეს და ხმა არ ამოუღია? და სად არის ახლა და რად არ იღებს ხმას, სხვა ყველაფრის გამომხმაურებელი, როცა ის კაცი კვლავ „დაპატიმრებულ მდგომარეობაში“ იმყოფება? გულში, ფარულად და თავისთვის მაინც მართლა სჯერა მისი მოღალატეობა?

**თამაზ ეზანოიძე**

# თვალსაზრისი

**● საარჩევნო (ნებისმიერ) კანონში შევიტანოთ პუნქტი იმის თაობაზე, რომ დადგენილი წესით დასახელებული კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს მხოლოდ „ტესტური გასაუბრების“, ანუ კანდიდატის მიერ შევსებული „ტესტური საგამოცდო“ ფურცლის წარდგენის შემდეგ**



**◉ მოსაზრება**

# უთხოვნელად, უქრთამოდ, უპურმარილოდ

**საქართველოში, სადაც ფეხი აქვს მოკიდებული უსამართლობას, ძალადობასა და სისასტიკეს, ახალი პარლამენტის არჩევნების ნებისმიერმა, მოდელმა შეიძლება კვლავ „ბუნკერული“ ან „ვარდისფერი“ ტიპის პარლამენტი შეგვაჩეჩოს.**

საქმე ისაა, რომ არათუ ამომრჩევლებს, დეპუტატობის კანდიდატებსაც არ ძალუძთ ბოლომდე გაიაზრონ, რა დიდი დილემის წინაშე დგანან კარზე მომდგარი ახალი პარლამენტის არჩევნების წინ!

პრინციპი, რომ დეპუტატები არჩეული უნდა იქნენ სამი „S“-ს გარეშე – Sine prece, Sine pretio, Sine posulo (უთხოვნელად, უქრთამოდ, უპურმარილოდ) დღეს სასაცილოდ გამოიყურება, რადგან ყველა პარტია თუ პოლიტიკური მოძრაობა მზადაა ნებისმიერი აკრძალული ილეთის გამოყენებით მოხვდეს ხელისუფლებაში.

ჩემი აზრით, არის მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი: ახალი პარლამენტის არჩევნებში „სიმძიმის ცენტრი“ ამომრჩევლებიდან დეპუტატობის კანდიდატებზე გადავიტანოთ, სახელდობრ, კაცს, ვინც „გადეპუტატებას“ გადაწყვეტს, კეთილი უნდა ინებოს და ამომრჩევლებს თავი არა ე.წ. წინასაარჩევნო პროგრამის ტექსტებით გააცნოს, არამედ, ინტელექტუალობის კოეფიციენტით. მსოფლიო მასშტაბის ტესტოლოგები ამტკიცებენ (ფ. გალტონი, ჯ. კეტლი, ა. ბინე, ბ. შტერნი და სხვები), რომ ადამიანის მეხსიერების, წარმოსახვის, ყურადღების, ცოდნის და სხვა გონებრივი უნარის „გაზომვა“ (რასაც მეცნიერებმა ფსიქოლოგიური და პიროვნული მახასიათებლები უწოდეს) სპეციალურად დაწერილი ტესტების მეშვეობით სულ რაღაც ერთ საათში არის შესაძლებელი.

ცნობილია, რომ თანამედროვე მოწინავე დემოკრატიულ სახელმწიფოებში ფართოდაა დანერგილი ტესტირება სამსახურში, სასწავლებელში მიღებისას. რამდენადაც ვიცი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის მსურველიც ვალდებულია შეავსოს საპრეზიდენტო ტესტი...

ალბათ, მიმიხვდით სათქმელს, რასაც ასეთ რეზიუმეს გავუკეთებთ:

დაუყოვნებლივ შეიქმნას სათანადო „ტესტოლოგიური სამსახური“ საერთაშორისო სპეციალისტებისაგან;

საარჩევნო (ნებისმიერ) კანონში შევიტანოთ პუნქტი იმის თაობაზე, რომ დადგენილი წესით დასახელებული კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს მხოლოდ „ტესტური გასაუბრების“, ანუ კანდიდატის მიერ შევსებული „ტესტური საგამოცდო“ ფურცლის წარდგენის შემდეგ, იმ პირობით, რომ საგამოცდო „ნიშანი“ 3 ქულაზე ნაკლები არ იქნება (დავუშვათ, 10-ქულიანი შეფასებისას);

ტესტური „გამოცდის ნიშანი“ დეპუტატობის კანდიდატს პარლამენტში არჩევის შემთხვევაში უნდა გადაჰყვეს და გადამწყვეტი როლი შეასრულოს ხმის მიცემის პროცედურაში! ამ მეთოდის გამოყენებით თავიდან ავიცილებთ ჩვენს თავზე რისხვად დატეხილ უმრავლესობის უმცირესობაზე ბატონობის დაწყევლილ პრინციპს. ასე, მაგალითად: დავუშვათ, 301 დეპუტატიდან დიდი ნაწილი სამბალიანი და ოთხბალიანია (რაც ადვილი შესაძლებელია), კენჭისყრის დროს 120 „სამბალიან“ დეპუტატს შეუძლია მოაგროვოს 360 ქულა (120X3), ხოლო გონიერ – 10-ბალიან 50 დეპუტატს – 500 ქულა. ამრიგად, გაჩნდება თავისებური დამცავი მექანიზმი „აგრესიულად მორჩილი“ დეპუტატებისაგან და ფართო გზა მიეცემა ნიჭს, მაღალ ინტელექტს! დაედება ზღვარი იმ ჩვენი ცოდვით სავსე „სოციალისტურ ცენტრალიზმის“ ყბადაღებულ თეორიას, როდესაც გონიერი უმცირესობა გონებასუსტ უმრავლესობას ემორჩილებოდა.

ამ მოდელმა სხვა, „გვერდითი მოვლენებიც“ უნდა განავითაროს. არა მგონია, რომელიმე პარტიას, ბლოკს, ამომრჩეველთა ჯგუფს ხელს აძლევდეს 3-4-ქულიანი კანდიდატები.

ამდენად, მთლიანად მოიმატებს დეპუტატობის კანდიდატთა ინტელექტუალური დონე. თუმცა, ეს მათ პატიოსნებას მაინც ვერ განაპირობებს...

**ნოდარ ნებიერიძე,**
**ადვოკატი, ჟურნალისტი**

***P. S. ვფიქრობ, ამ მოსაზრებებით, რომლებიც ჩემს დიდ მეგობართან, ნეტარხსენებულ პროფესორ თამაზ შავგულიძესთან შევათანხმე ჯერ კიდევ 1992 წელს, ერთი ინტელექტუალური პარტია მაინც დაინტერესდება და მას პარლამენტის მსჯელობის საგნად აქცევს.***

***ნ. ნ.***

**◉ ევროკავშირი – 50**

# კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია და თანამედროვე ევროკავშირი

**რომის ხელშეკრულების დადებიდან, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროკავშირის დაარსებას, 50 წელი გავიდა. კავშირის ამჟამად უკვე 27 სახელმწიფოს შორის ეკონომიკური და მრავალი სხვა მიმართულების ინტეგრაციული პროცესის განზოგადებას ისტორიულ და ლოგიკურ ჭრილში, წარმატებების მიღწევის და ზოგიერთი წარუმატებელი ნაბიჯის გამოსწორების მექანიზმების ანალიზს დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამით, მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შესაძლებლობა ექლევათ – საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით და ევროპული გამოცდილების გამოყენებით – უფრო სწრაფად და ნაკლები დანაკარგებით გაიარონ გაკვალული გზა.**

ლაპარაკია 500-მილიონ კაციან გიგანტურ გაერთიანებაზე, სადაც დემოკრატიამ, საბაზრო ურთიერთობებმა და შერეულმა ეკონომიკამ რადიკალურად შეცვალა საზოგადოების სოციალური ორიენტაცია.

ევროპელები განსაკუთრებით კარგად დაეუფლნენ მწარმოებლური ძალების პიროვნული ფაქტორის ეფექტიანი ამოქმედების ხელოვნებას. **ადამიანის ფაქტორი წამყვანია ყველა სფეროში, რომელიც დღეს მეცნიერულ და ტექნოლოგიურ პროგრესსა და ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას განსაზღვრავს. მეტიც, ადამიანი აღარ არის მარტოოდენ ადამიანისეული კაპიტალი, არამედ თვითონ არის ყველა ტექნოლოგიური თუ სოციალური ცვლილებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის კრიტერიუმი, რის გამოც კაცობრიობის პროგრესის ცენტრში თავსდება.**

სარგებლობენ 4-6-კვირიანი ანაზღაურებული შვებულებით, მოწესრიგებულია შრომის ოპტიმალური ინტენსივობის საკითხი ადამიანის ბიოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირის ეროვნული პოლიტიკა. დემოკრატიული პრინციპების თანამიმდევრული განხორციელება ამ სფეროში ნიშნავს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი მხარის უნიფიკაციას, განსაკუთრებით ეკონომიკის და სამართლის სფეროში, მაგრამ, ამავე დროს, მოქმედებს ინტეგრაციის არათანაბარი განვითარების პრინციპი, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანას შუძლია შემოიღოს ის საერთო ზომები, რომელიც ამჟამად აძლევს ხელს. **განსაკუთრებით სათუთი დამოკიდებულება მჟღავნდება ეროვნული კულტურული თვითმყოფადობის მიმართ. ზოგიერთი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, სადაც ეროვნული უმცირესობები ხშირად განიცდიან ასიმილაციის საშიშროებას, ევროკავშირში მათი კულტურული განვითარების ამოცანები პრიორიტეტული ხასიათისაა.**

რა თქმა უნდა, ეთნიკური და ეროვნული პრობლემატიკა სულ ახალ წახნაგებს ავლენს. მაგალითად, ევროპაში შრომითი იმიგრანტების სწრაფი მატების გამო ისინი ხშირად ვერ ასწრებენ სოციალური და კულტურული ადაპტაციის გავლას, ზოგჯერ კი კონფესიათაშორისი პრობლემების წამოჭრასაც უწყობენ ხელს. ასეთ პირობებში იმატა ანტიმუსლიმანური და ნეონაცისტური გამოსვლების რაოდენობამ. ეროვნულკულტურულ თვითმყოფადობას შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს გლობალიზაციის ე. წ. „ცივი ქარი“ და კოსმოპოლიტიკური ცნობიერების ზოგიერთი ნეგატიური ასპექტი, განსაკუთრებით ისეთი, რომლებიც ეროვნულ-ტრადიციული ფასეულობების კულტურული სუროგატებით ჩანაცვლებას ცდილობენ. მაგრამ იმედია, ევროპა, რომელიც ისტორიაში საერთაშორისო თანამშრომლობის ყველაზე წარმატებულ მაგალითს გვაძლევს, ამ პრობლემებსაც გაართმევს თავს.

გაერთიანებული ევროპის კონსტიტუციის მიღების ბოლოდროინდელმა პრობლემებმა დაგვანახა, რომ სუვერენული სახელმწიფოების ერთ ორგანიზმად ინტეგრირება ურთულესი და წინააღმდეგობებით აღსავსე საქმეა და ამჟამად ფაქტია ევროპელთა თვითიდენტიფიკაციის, გაერთიანების არსის და მისი პერსპექტივების ხედვის კრიზისი. თუ კი გერმანელები, იტალიელები და, გარკვეულწილად, ფრანგებიც, მზად არიან ერთიანი ევროპული სახელმწიფოს შექმნის მიზნით საკუთარი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის რაღაც ასპექტებსაც შეელიონ, ბრიტანელებს, პოლონელებს, ჩეხებს, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ახალ წევრ ქვეყნებს ამის გაგონებაც არ უნდათ. ამ უკანასკნელებს საბჭოთა წნეხის ქვეშ ცხოვრების გამოცდილება უბიძგებს, თავისუფლების და სუვერენიტეტის ცნებებს შორის ტოლობის ნიშანი დასვან. სხვა ხალხებისთვის ისინი სულაც არ არიან სინონიმები.

ევროპას ამჟამად შემდგომი განვითარების რამდენიმე ალტერნატიული მოდელი აქვს. **თუკი საერთო კონსტიტუციის მიღება შეუძლებელი აღმოჩნდება, მაინც აუცილებლად გაგრძელდება ევროპელთა ცხოვრების სოციალური ასპექტების დაახლოება და მისი უზრუნველმყოფი კანონმდებლობის უნიფიცირება.** ამასთან ერთად, ალბათ გაგრძელდება ინტეგრაციის არათანაბარი განვითარების პრინციპის გამოყენება.



შთამბეჭდავ სოციალურ შედეგებზე ფაქტები მეტყველებენ. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ევროკავშირში აშშ-ს მაჩვენებელზე 4 წლით მეტია. შრომის დაცვა და მისი ტექნიკური უსაფრთხოება, ისევე, როგორც დასაქმების უზრუნველყოფა, უკეთ არის მოგვარებული, ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონებში. მშრომელები ყოველწლიურად

საერთაშორისო ურთიერთობებში ევროპული მენტალიტეტი ახალ დემოკრატიულ ფასეულობებს და გლობალური ცხოვრების მშვიდობიან მოდელს ამკვიდრებს. იგი ერთმნიშვნელოვნად ამბობს უარს შედარებით ჩამორჩენილი ქვეყნების მიმართ ველური კაპიტალიზმის მეთოდების გამოყენებაზე, რამაც ფაქტობრივად მეორე მსოფლიო ომი გამოიწვია. მათ გათვიცნობიერებული აქვთ, რომ მიმდინარე გლობალიზაციას ახალი, უპრეცედენტო პრობლემები მოაქვს. რომელთა გადაჭრით შეიძლება წესრიგმაც იმატოს და ქაოსმაც. ამიტომ, ამ უკანასკნელის დაუშვებლობის მიზნით, საერთაშორისი თანამშრომლობას ალტერნატივა არა აქვს.

საქართველოს მიზანიც ძირითადად სწორედ ის არის, რომ გამოვიყენოთ ისტორიის მიერ ბოძებული შესაძლებლობა და გავხდეთ ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად იმ დიდი დემოკრატიული ქვეყნების ერთობლიობის წევრი, რომელთა ნაწილი მენტალურად და ზნეობრივი ფასეულობების თვალსაზრისით ვართ უკვე მრავალი საუკუნეა. არ უნდა შეგვეშალოს მიზეზი და შედეგი – ევროპაში შევალთ მაშინ, როცა თვითონ გავევროპელდებით აზროვნებით და საქმით, და არა პირიქით. ეს „ღარიბთა კლუბი“ როდია, მას წევრობის მკაცრი კრიტერიუმები აქვს. ხოლო, რაც უფრო ეფექტიანად ვივლით ევროპასთან ინტეგრაციის გზით, მით უფრო ღირებული და ეფექტიანი იქნება ევროპელთა დახმარება.

**ევგრაფ კანდელაკი,**
**პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი**

# მეცნიერება

თამაშთა თეორია ან თამაშთა მათემატიკური თეორია გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე დარგს წარმოადგენს, რომელიც სწავლობს ისეთი სტრატეგიების (გადაწყვეტილებებისძ დადგენის და მათი პოვნის მეთოდებს, რომელთა გამოყენებით განსხვავებული ინტერესების მქონე ინდივიდებს, ჯგუფებს, საზოგადოებებს და ქვეყნებს ურთიერთობის, ფართო გაგებით, კონფლიქტის შემთხვევაში, შეუძლიათ იდეალური შედეგების მიღება



## მეცნიერება და პრაქტიკა

# თამაშთა თეორიას მხოლოდ საქართველოში აქვს ვეტო დადებული

**თამაშთა თეორია ან თამაშთა მათემატიკური თეორია გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე დარგს წარმოადგენს, რომელიც სწავლობს ისეთი სტრატეგიების (გადაწყვეტილებებისძ დადგენის და მათი პოვნის მეთოდებს, რომელთა გამოყენებით განსხვავებული ინტერესების მქონე ინდივიდებს, ჯგუფებს, საზოგადოებებს და ქვეყნებს ურთიერთობის, ფართო გაგებით, კონფლიქტის შემთხვევაში, შეუძლიათ იდეალური შედეგების მიღება.**

თანამედროვე პირობებში მრავლად გვხვდება ისეთი სიტუაცია, რომლებშიც გამოცდილი ხელმძღვანელიც კი ვერ შეძლებს მეცნიერული მეთოდებისა და საშუალებების გამოუყენებლად, ობიექტურად შეარჩიოს შესაძლო მისაღებ გადაწყვეტილებათა განსხვავებული ვარიანტებიდან უპირატესი და აირჩიოს მათგან ოპტიმალური. ამიტომ, დღეს, როცა მთელი მსოფლიო შემობრუნდა მეცნიერებისაკენ, ძირითადად ყველა ქვეყნის ყურადღების ცენტრში დადგა საზოგადოების რაციონალური ქცევის, მართვის, ორგანიზაციისა და ურთიერთობების პრობლემების შესწავლა. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია თამაშთა თეორიის სხვადასხვა დარგის საჭიროება სამართლებრივი პრინციპების დაცვისათვის, ქმედებათა და ურთიერთობების რაციონალიზაციისათვის, კონფლიქტურ და კრიტიკულ სიტუაციებში და, საერთოდ, ყოველი არჩევანის გაკეთებისათვის გონივრული გადაწყვეტილებების მისაღებად. სწორედ ამიტომაა ყველა სფეროში ქვეყნის



წარმატებები დამოკიდებული იქ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

**თამაშთა თეორიის ენაზე კონფლიქტი ნებისმიერი ურთიერთობაა, თუ მასში მონაწილეებს რაიმე მოვლენასთან დაკავშირებით სხვადასხვა მიზანი აქვთ. მაშასადამე, ძნელი შესამჩნევი არაა, რომ საბაზრო ურთიერთობებიც და საომარი ქმედებებიც ასევე კონფლიქტია, სტუდენტისა და გამომცდელის ურთიერთობაც საგამოცდო ბილეთის აღების შემდეგ კონფლიქტია. ყოველივე ამის გამო თამაშთა თეორიის ერთ-ერთი პირველი ამოცანაა დადგინდეს კონფლიქტური სიტუაციისა და კონფლიქტის ტიპი და ხარისხი.**

თამაშთა თეორიაში თამაშში იგულისხმება განსხვავებული ინტერესების მქონე ადამიანთა ან მათი ჯგუფების (მოთამაშეთა, მხარეთაძ ურთიერთობები, როდესაც მათ ორი არჩევანის (სტრატეგიისძ გაკეთების შესაძლებლობა მაინც აქვთ, შეუძლიათ ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება და აქვთ განსაზღვრული მიზნები.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, კომუნისტური ხელისუფლებისაგან ხელის შეშლის პირობებშიც კი, თამაშთა თეორიისა და გადაწყვეტილებათა მიღების სამეცნიერო მიმართულება განავითარა ლენინგრადელმა პროფესორმა ნ. ვორობიოვმა და ამ მიმართულებით მსოფლიოში აღიარებული სკოლა ჩამოაყალიბა. მან რამდენიმე სოციალისტური რესპუბლიკისათვის ერთი ან ორი სპეციალისტი მაინც აღზარდა. ყველაზე მეტი, რა თქმა უნდა, რუსეთისათვის.

იმავე საქმეში გარკვეული წინააღმდეგობები არსებობდა სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის – მართვის პროცესების ფაკულტეტზეც. იქ პროფ. ნ. ვოროზიოვის დაწყებულ საქმეს ფაკულტეტის გახსნიდან – 1969 წლიდან წარმატებით აგრძელებს მისი ერთ-ერთი მოსწავლე, თამაშთა თეორიის ცნობილი სპეციალისტი, რომელიც ფაკულტეტის უცვლელი დეკანია 1975 წლიდან დღემდე და ამავე დროს არის „თამაშთა მათემატიკური თეორიისა და სტატისტიკური გადაწყვეტილებების“ კათედრის გამგე. ფაკულტეტის დახურვისაგან დაცვის გზა გრძელი და რთული აღმოჩნდა და 1995 წლამდე გაგრძელდა. სირთულის დაძლევა განაპირობა სამეცნიერო კვლევების გაფართოებამ და უმაღლესი კვალიფიკაციის გამოყენებითი მათემატიკისა და ინფორმატიკის სპეციალისტთა მომზადებამ დემოკრატიული ქვეყნისათვის საჭირო ისეთი პრიორიტეტული დარგებისათვის, როგორებიცაა ეკონომიკა, მენეჯმენტი, ბიზნესი, ფინანსები, ბიოლოგია, ეკოლოგია, მედიცინა, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, ფსიქოლოგია, ფიზიკა, გამომთვლელი და საკომუნიკაციო სისტემები, ინფორმაციული ტექნოლოგიები და სხვა.

დღეისათვის ეს ფაკულტეტი ერთ-ერთი მძლავრი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრია გამოყენებითი მათემატიკისა და ინფორმატიკის დარგში არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება ფაკულტეტზე თამაშთა თეორიისა და მისი გამოყენებითი მიმართულებების სწავლების, სწავლის და კვლევის პრობლემებს, სწორედ მათში წარმატებები იწვევდა ფაკულტეტის დახურვის მცდელობას და ზემოთ აღნიშნულმა წარმატებებმა გადაწყვიტა საბოლოოდ მისი გადარჩენა და მსოფლიო აღიარება.

ამ საქმეს იქ დღეს ემსახურება რამდენიმე კათედრა, ისწავლება და წარმოებს კვლევები თამაშთა თეორიის ყველა იმ დარგში, რაც კი არსებობს მსოფლიოს ცნობილ უნივერსიტეტებში. ამ ფაკულტეტის წარმატებები განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩემთვის, რადგან მე იქ დავიცავი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები სპეციალობით თამაშთა თეორია და გადაწყვეტილებათა მიღება, მათემატიკური დაპროგრამება“. ფაკულტეტთან ფუნქციონირებს თამაშთა თეორიის ცენტრი, გამოთვლითი მათემატიკისა და მართვის პროცესების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. გამოყენებითი მათემატიკის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იმავე უნივერსიტეტის მათემატიკა-მექანიკის ფაკულტეტზეც არსებობს გამოყენებითი მათემატიკის განყოფილება.

საქართველოს უნივერსიტეტების თამაშთა თეორიის საჭიროებაში დაჯერებისათვის, რაც მე, მრავალგზის მცდელობის მიუხედავად ვერ მოვახერხე, მკითხველს მინდა გავაცნო თამაშთა თეორიის დარგში გამორჩენილი სპეციალისტი, ჰონკონგის უნივერსიტეტის „ფინანსთა თეორიისა და გადაწყვეტილებათა მიღების“ დეპარტამენტის პროფესორის დევიდ იანგის გამოსვლის ფრაგმენტი სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიაზე:

**„ადამიანთა შემოქმედების განსხვავებული დარგებისათვის სტრატეგიული ანალიზის გაზრდილი საჭიროების აღიარება ნიშნავს, რომ თამაშთა თეორია სწრაფად ხდება ერთ ყველაზე ხშირად გამოსაყენებელ ინსტრუმენტად სამეცნიერო კვლევებში და გამოყენებებში. არსებითად, თამაშთა თეორია შეისწავლის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს მასში მონაწილეთა ინტერესების ურთიერთქმედების პირობებში. იგი ეყრდნობა მათემატიკას, სტატისტიკას, მეცნიერებას მართვის შესახებ, ოპერაციათა კვლევას, ინჟინერიას, ეკონომიკას, პოლიტოლოგიას და სხვა დისციპლინებს. თამაშთა თეორიის თეორიული კვლევები და გამოყენებები სწრაფად ვითარდება ფართო დიაპაზონში – თვითმფრინავების და რაკეტების მართვიდან ბუნებრივი რესურსების მართვამდე, მოლაპარაკებათა წარმოების მეთოდებში, ფინანსურ ინვესტირებებში და გარემოს დაცვაში. ამრიგად, თამაშთა თეორია წარმოადგენს ყველაზე რთულ და პერსპექტიულ გამოყენებით მეცნიერებას რეალურ სამყაროში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესების შესწავლისათვის და ანალიზისათვის“.**

რაოდენ სამწუხაროა, რომ რეფორმის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვერ მოხერხდა საკმაოდ კარგი ტრადიციების მქონე გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის ან მისი „გამოყენებითი მათემატიკის“ სპეციალობის შენარჩუნება. ცხადია, იქ, ისევე როგორც სხვა ფაკულტეტებზე, რეფორმა უნდა გატარებულიყო, მაგრამ არა ისე, რომ გამოყენებითი მათემატიკის სპეციალობა საერთოდ გაუქმებულიყო. ამ გადაწყვეტილებით საქართველოს მომავალს აღნიშნული მიმართულების განვითარების გზა გადაეკეტა, რომელიც ერთ-ერთი საბაზო და წამყვანი თანამედროვე მიმართულებაა მეცნიერების ყველა დარგის განვითარებისა და გამოყენებისათვის. ვიმედოვნებ, რომ განათლების სამინისტრო და უნივერიტეტის ხელმძღვანელობა ამ გამიზნულ თუ გაუთვალისწინებელ გადაწყვეტილებას აუცილებლად გამოასწორებს.

როგორც აღვნიშნე, თამაშთა თეორია თავიდან ეკონომიკისთვისაა შექმნილი. **დღეს მსოფლიოს ვერც ერთ უნივერსიტეტს ვერ ვნახავთ საქართველოს გარდა, სადაც ეკონომიკურ დისციპლინებს ასწავლიდნენ და იქ თამაშთა თეორიის მიმართულებები არ მონაწილეობდეს. როგორც ჩანს, აქ განსაკუთრებული ქართული ეკონომიკა უნდა განვავითაროთ.** რატომ არ უნდა მივბაძოთ დემოკრატიული ქვეყნების უნივერსიტეტებს? დავუშვათ, რომ მართლაც არაა საჭირო თამაშთა თეორიისა და მისი დარგების სწავლება საქართველოს უნივერსიტეტში. მაგრამ იქ ხომ ეკონომიკის ან ბიზნესის ფაკულტეტია. და იქ ხომ ისწავლება ეკონომიკის თეორია, მიკროეკონომიკის სხვადასხვა დონე, მიკროეკონომიკური ანალიზის მეთოდები, ოპერაციათა კვლევა, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და სხვა? თუ ისწავლება, როგორ ასწავლიან მათ თამაშთა თეორიის დარგების გარეშე ან ვინ ასწავლის მათ? ამჟამად ხომ თამაშთა თეორია ღრმად შეიჭრა და გამოიყენება ეკონომიკური თეორიის ყველა სფეროში – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკაში, შრომის ეკონომიკაში, დარგობრივი ბაზრების თეორიაში, საერთაშორისო ეკონომიკაში და ვაჭრობაში, წარმოების ორგანიზაციაში, ფირმების თეორიაში, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების, ანტიმონოპოლური რეგულირების და ეფექტური კონტროლირებადი ორგანოების შექმნის პრობლემებში და ა.შ.?

**ეკონომიკის თვალსაზრისით თამაშთა თეორიის არსი სწორედ ის არის, რომ დაეხმაროს ეკონომისტებს გაიგონ და იწინასწარმეტყველონ ის, რაც შეიძლება მოხდეს ეკონომიკურ სიტუაციებში. მისი გამოყენებით საწარმოს აქვს შესაძლებლობა განჭვრიტოს პარტნიორების და კონკურენტების სვლები. იგი საჭიროა გამოვიყენოთ სტრატეგიული და კოოპერაციული გადაწყვეტილებების მისაღებად.**

ასეა დღეს მსოფლიოს უნივერსიტეტებში. ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ იმაში, ცნობილი უნივერსიტეტების ეკონომიკისა და სხვა დეპარტამენტებში ერთდროულად თამაშთა თეორიის მცოდნე რამდენიმე პროფესორი მუშაობს, ისინი კითხულობენ სტრატეგიული მნიშვნელობის დისციპლინებს. ყოველივე ეს ნიშნავს, რომ თამაშთა თეორიისა და გადაწყვეტილებათა მიღების რამდენი სპეციალისტიც არ უნდა იყოს ქვეყანაში, ყველას შესაძლებლობაა გამოსაყენებელი უნივერსიტეტებში. საქართველოში კი ვინც არის, მას ახლოსაც არ იკარებენ.

მიმაჩნია, რომ თვით უნივერსიტეტების ხელმძღვანელები უნდა იყვნენ დაინტერესებული თავიანთ სტუდენტებს შეასწავლონ თამაშთა თეორიის ის საგნები, რომლებიც შეიცავენ გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ მიმართულებებს: სამართლიანობის პრინციპების საფუძვლები, სარგებლიანობისა და სიტუაციათა შეფასების პრობლემები, ადამიანთა ურთიერთობები და მათი ოპტიმალური ქცევის წესები, კონფლიქტების გადაწყვეტის სტრატეგიული და კოოპერაციული მოდელები, მოგებათა და დანახარჯების სამართლიანი დანაწილების მექანიზმები, ეკონომიკური გადაწყვეტილებებისა და წონასწორობის მოდელები, კენჭისყრა და პარადოქსები არჩევნებში, პოლიტიკური გადაწყვეტილებები და თამაშები, ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის საკითხები და ა.შ. მათი ცოდნის გარეშე, არ მგონია გადაწყდეს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ახლანდელი ან მომავალი მტკივნეული პრობლემები.

**გურამ ბელთაძე,**
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიური სტიპენდიატი.

## ინფორმაცია

### დევნილებმა ღამე ქუჩაში გაათიეს

ვაზისუბანში მდებარე სპეცავტომეურნეობის შენობიდან გამოსახლებულმა აფხაზეთიდან დევნილმა 8 ოჯახმა ღამე კვლავ ქუჩაში გაათენა.

როგორც ერთ-ერთმა დევნილმა განაცხადა, სპეცავტომეურნეობის გვერდით მდებარე ავტოპროფილაქტიკის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე კოცონი აანთეს და ღამე ისე გაათენეს.

მისივე თქმით, ავტოპროფილაქტიკის თანამშრომელმა ღამით პირადი ავტომობილი დაუტოვა, რათა ბავშვებს ღამე მასში გაეთიათ.

დევნილებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ საცხოვრებელი ფართი შესთავაზა. თუმცა, როგორც ისინი აცხადებენ, აღნიშნული ფართი საცხოვრებლად უვარგისია. იქ ელემენტარული პირობების შექმნას საკმაოდ დიდი თანხა დასჭირდება.

### ხმაური ბათუმის საკრებულოში

ბათუმის საკრებულოში ოპოზიციის მიერ წარდგენილმა პროექტმა ხმაური გამოიწვია.

პროექტი საკრებულოს უხელფასო წევრებისთვის ანაზღაურების წესის დამტკიცებას ეხება.

ოპოზიციამ საკუთარი ხელფასის განსაზღვრა 1050 ლარით მოითხოვა, უმრავლესობის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ აღნიშნული პროექტის განხილვას არ აპირებენ.

მათი მტკიცებით, თავის დროზე, უმრავლესობის წარმომადგენლებმა პრემიები ყოველგვარი კანონის დარღვევით დაინიშნეს და მისი ოდენობა, კანონით გათვალისწინებული ხელფასის ნახევრის ნაცვლად, 125%-ით განისაზღვრა.

უმრავლესობის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ პრემიებთან დაკავშირებით ყველა პუნქტი იურისტთან არის შეთანხმებული და სამართლებრივ ჩარჩოებში თავსდება.

### ყაჩაღური თავდასხმა შამგონაში

გალის რაიონის სოფელ შამგონაში ხუთმა ნიღბიანმა და შეიარაღებულმა პირმა აბლოთიების ოჯახი დააყაჩაღა.

როგორც გალის რაიონში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელმა პაატა შამუგიამ განაცხადა, აბლოთიების ოჯახიდან წაღებულია ფული და ძვირფასი ნივთები.

მისივე თქმით, ყაჩაღებმა გაიტაცეს გია და ემზარ აბლოთიები, თუმცა ერთ-ერთი მათგანი მოგვიანებით გაათავისუფლეს, მეორის გათავისუფლების სანაცვლოდ კი 50 ათასი აშშ დოლარი მოითხოვეს.

ამასთან, აბლოთიების ოჯახის წევრებმა ერთ-ერთი გამტაცებელი ამოიცნეს, რომელიც, მათი თქმით, გალის რაიონის აფხაზური პოლიციის თანამშრომელია.

ინტერპრესნიუსი

# ავი მეზობელი

● სეპარატისტთა მხარეს მებრძოლი მოთარეშეების უმეტესი ნაწილი რუსეთის მოქალაქე იყო. მათი საბრძოლო ჯგუფებად ორგანიზება და იარაღით აღჭურვა რუსეთის ტერიტორიაზე წარმოებდა



◎ აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

# ჩვენ ქართველებს გავყრით და აქ დავრჩებით, რუსები აფხაზებთან ყოველთვის გამოვნახავთ საერთო ენას

№ 80. პარასკევი, 27 აპრილი, 2007 წელი.

**სეპარატისტთა მხარეს მებრძოლი მოთარეშეების უმეტესი ნაწილი რუსეთის მოქალაქე იყო. მათი საბრძოლო ჯგუფებად ორგანიზება და იარაღით აღჭურვა რუსეთის ტერიტორიაზე წარმოებდა.**

ბოევიკთა გადასაბირებელი პუნქტები მდებარეობდა ქალაქ სოჭში (სასტუმრო „ჟემჩუჟინა-ში“ძ, ადლერში (სანატორიუმ „ზელიონაია როშჩაში“ძ, მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში, ჩრდილო კავკასიის მრავალ ქალაქში. ბოევიკები ჩამოდიოდნენ აგრეთვე თურქეთიდან, სირიიდან, იორდანიიდან.

ჩამოსულ დაქირავებულებს პირდებოდნენ განსაზღვრული დროის შემდეგ 5 000 რუბლიდან 30 000 რუბლამდე ანაზღაურებას. ვინც სურვილს გამოთქვამდა დათქმული ვადის (სამი თვეძ შემდეგ დარჩენილიყო აფხაზეთში, „ჯილდოდ“ ილებდა ბინასა და სახლს, რომლებიც ეკუთვნოდათ ქართველებს, აგრეთვე ჩაწერას და ორმაგ მოქალაქეობას, რაზეც მოწმობს ქ. გაგრისა და სოხუმის შტურმის დროს აყვანილი ტყვეების მრავალი ჩვენება.

იმ პირთა დანაშაულს, ვინც წლების განმავლობაში ამზადებდა და გააჩაღა ეს ვითომდა ეთნიკური კონფლიქტი, გენოციდის ნაირსახეობის გამოყენებით, კერძოდ ეთნიკური წმენდა, დეპორტაცია და ქართველი მოსახლეობის ფიზიკური განადგურება — გვამცნობს ერთ-ერთი ტყვეს ჩვენება. არქინბასთან დაახლოებული მიხეილ დემიანენკო, რომელიც 80-იან წლებში მთავარი სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენტად მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ამბობს: **— 1991 წლის ზამთრიდან 1992 წლის ჩათვლით მიმდინარეობდა იარაღის მიზანმიმართული შესყიდვა რუსეთის ტერიტორიაზე. შესყიდვა ხდებოდა არა მარტო ერთეული იარაღისა, არამედ რუსეთისა და საბჭოთა ჯარების საწყობებიდან მოპარული მთელი პარტიებისა, რომლებიც რუსეთის ხელისუფლების დახმარებით გადმოჰქონდათ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს. იარაღის შემოტანა ძირითადად ხდებოდა ავიაციის მეშვეობით. ეს იყო რუსეთის სამხედრო ავიაცია. გადმოიტვირთებოდა გუდაუთის სამხედრო ბაზა ბომბორაზე. შემდეგ საკონტროლო-გამშვები პუნქტების გავლით იარაღი გაედინებოდა გუდაუთის სამხედრო საწყობებში. აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის სიტყვებიდან გამომდინარე, ჩემთვის ცნობილია, რომ ხანდახან წარმოიქმნებოდა კონფლიქტური სიტუაცია აფხაზურ სამხედრო ხელმძღვანელობასა და აეროდრომის ხელმძღვანელობას შორის, იმის გამო, რომ აეროდრომის ხელმძღვანელები დამატებით ანაზღაურებას მოითხოვდნენ უკვე ნაყიდი იარაღის გადმოტვირთვაში.**

**მე ორჯერ მომიხდა ამის ნახვა. გადმოტვირთვა ხდებოდა არა მარტო იმ იარაღისა, რომელსაც ადამიანი ხელში იღებს, არამედ სამხედრო ტექნიკისა და საბრძოლო მანქანებისა, ეს იყო სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები რუსული ამო-**

---

**დასასრული. დასაწყისი**
**იხ. „სრ“ № 78-79.**

## ფარული ომი

**საცნობი ნიშნებით და რუსული ეკიპაჟით. ძნელი იყო ის ვინმეში შეგშლოდა.**

**ჩემთვის ცნობილია, რომ სანქტ-პეტერბურგში მდებარეობს პუნქტი ბოევიკთა გადმოსაბირებლად. ესაა სამწუხაროდ ცნობილი „რუსული ლეგიონი“, რომელსაც ლისენკო ხელმძღვანელობს. ეს უკიდურესად შოვინისტური და ლეგალური გასამხედროებული ორგანიზაციაა, რომლის მიზანია რუსეთის ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით დამხობა. ჩემთვის ცნობილია სანქტ-პეტერბურგის მკვიდრი ვლადიმერ კულიგინი, რომელმაც თვითონ უშუალოდ დაიქირავა ბოევიკები, სახელდობრ ლისენკოს ორგანიზაციის მეშვეობით, აფხაზეთში საომარ მოქმედებებში მონაწილეობისთვის. მაგალითად, იგივე „რუსული ლეგიონი“ ციმბირში ქირაობდა ხალხს“.**

დამქირავებლებში მეორე ძლიერი, შესამჩნევი ფიგურაა გენერალ-მაიორი ლუნევი. უშუალო მონაწილეთა სიტყვებიდან ჩანს, რომ სოხუმის შტურმისთვის ლუნევმა გადაიბირა რიგის ომონის ნარჩენები, დაახლოებით 80 კაცი. მან ისინი ჩამოიყვანა 1993 წლის მარტში. მათ უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა გუმისთის ზემო ხიდის შტურმში. უფრო გვიან, ლუნევმა დაადასტურა რიგის ომონის მონაწილეობა სოხუმის შტურმის მცდელობაში.



სხვა ჩვენება: „დაქირავებას დონის, ყუბანის, თერგის რაიონებში, სადაც კაზაკები ცხოვრობდნენ, ხელმძღვანელობდა ლოგინოვი — კარგად ცნობილი კაცი, აფხაზეთის სახალხო ფორუმის წევრი, ე.წ. სლავური ფრაქციის ლიდერი ფორუმში. ის უზრუნველყოფდა კაზაკთა დაქირავებასა და ტრანსპორტირებას სამხედრო მოქმედებების ზონაში“.

„მიხეილ ბონდარენკო, რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების კაპიტანი (მეტსახელი „ბონდარი“ და „გულიაი ვეტერ“ძ, ხალხს ამზადებდა სამხედრო მანქანებზე სამუშაოდ და ხელჩართული ბრძოლებისათვის. პირადად ხელმძღვანელობდა სოხუმის შტურმსა და ზოგიერთ სხვა მიმართულებას.“

„მაიორი გენადი კალოდინი, მეტსახელად „კალოდა“ (დაბადებული ვიატკაშიძ, სპეცნაზელი. მის ჯგუფში იყვნენ დისბატიდან გამოქცეული ბოევიკები“.

აი, რას ჰყვება მატროსი **ვლადიმერ სერდიუკოვი** (სამხედრო ნაწილი №7322, ქ. ოჩამჩირე, ასეულის უფროსი მაიორი კოვალიოვიძ: — „ხალხი მოაწყდა ნავსადგომს, რათა გაერღვიათ გზა გემისაკენ. ჩვენ გამოგვიყვანეს განგაშით და გვითხრეს: გამაფრთხილებლად ისროლეთ ჰაერშიო. ჩვენც ვისროლეთ. მოირბინა მეორე რანგის კაპიტანმა კოსტინმა და მიბრძანა: „ესროლე“! მე პირველად ვერ გავიგე მისი ბრძანება, საით მესროლა. ვუპასუხე, უკვე ვისროლე-მეთქი. „შენ ისროლე გამაფრთხილებელი. ეხლა შეგიძლია ესროლო მიზანს. მათ დაარღვიეს სამხედრო ნაწილის საზღვარი და შემოიჭრნენ აქ“. მე უარი ვთქვი შემესრულებინა ბრძანება. მაშინ მან მითხრა, „მეზღვაურო სერდიუკოვ, თქვენ იცით წესდება?“ მე ვუთხარი: „მე ვიცი ერთი რამ: შემიძლია სამჯერ უარი ვთქვა ბრძანების შესრულებაზე, ხოლო შემდეგ თქვენ შეგიძლიათ მოიმოქმედოთ, რაც გნებავთ“. მან მე სამჯერ მიბრძანა მესროლა ხალხისთვის. მე სამივეჯერ უარი ვთქვი ამის შესრულებაზე. დავაგდე ავტომატი. იმ ბიჭებმაც, ვინც ჩემთან იყო (ყველა ერთი წლოვანებისაძ, დაყარეს იარაღი, ხელი ხელს ჩავჭიდეთ და ასე ვაკავებდით ბრბოს“.

**ალექსანდრ რუშკინი** (კამჩატკის ოლქი, ქ. ელიზოვოძ, კანტემიროვის დივიზიის რიგითი: „წესდების დარღვევის გამო ჰაუპტვახტში აღმოვჩნდი. საკანში შემოვიდა შტაბის უფროსი, ხელში ზურგჩანთა მომცა: „მივლინებაში მიდიხარ!“ მაგრამ საით, არ უთქვამს, ისე ჩამსვეს თვითმფრინავში. ასე აღმოვჩნდი აფხაზეთში, კერძოდ გუდაუთაში. მაშინ მივხვდი, რომ მოვხვდი ომში, რაც არ მინდოდა. ვეცადე დავბრუნებულიყავი უკან, მაგრამ უარი მივიღე“.

**ასლან ჯაბრაილოვი** (ჩეჩენი, ბატალიონი „ედელვეისი“ძ: „თავდაპირველად ასე მოგვაწოდეს — ქართველები მოვიდნენ სხვის მიწაზე, ამცირებენ მცირე ერს, ხოცავენ, ავიწროებენო. ამიტომაც ჩამოვედი, როგორც ბევრი სხვა ჩამოვიდა — გულის ძახილით. მოკლედ, მოვხვდი ამ ომში ქართველების წინააღმდეგ. სოხუმის აღებამდე, სულ ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სამართლიან საქმეს ვაკეთებდი... ქალაქის აღების შემდეგ მივხვდი, რომ არასწორ საქმეს ვაკეთებთ. ქ. გაგრის შტურმის დროს დაზარალდა სამი თუ ოთხი სახლი, როდესაც ქალაქი ავიღეთ, იმავე დღეს დავწვით ასამდე სახლი. ასევე მოვიქეცით სოხუმშიც. აქ, აღმოსავლეთ ფრონტზე თითქმის ყველაფერი ცეცხლს მივეცით. წვავენ დღესაც. კლავენ ძირითადად მშვიდობიან მოსახლეობას, რომლებსაც ხელში იარაღი არ ეჭირათ. პრინციპში უდანაშაულო ხალხი იჩაგრება. ქალაქის აღებიდან ორი დღის შემდეგ, ერთ-ერთ ქუჩაზე ვიდექით, უცებ ჭიშკრიდან მოხუცი, 70-80 წლის ქალი გამოვარდა, ავტომატის ჯერმა ის მიწაზე დასცა. ერთ გროზნოელ ჩეჩენთან ერთად იმ მხარეს გავიქეცი, გვეგონა, ქართველები აფხაზებს კლავდნენ, ადგილზე მისულებს საპირისპირო სურათი დაგვხვდა — აფხაზებს მოეკლათ ქართველი მოხუცი ქალი. ვნახე უამრავი ადამიანის დამწვარი გვამი, ხოლო დრანდის გზაზე ბევრი ხეზე ეკიდა. ასეთი რამ ქალაქში ბევრი იყო“.

ტყვე **ვალერი ზაბოტინის** (სმოლენსკის ოლქიდანძ დაკითხვის ოქმიდან: „27 ივლისს ოქმი, რომელიც ყველა მოხალისეთა რაზმისა და კონფედერაციის ფორმირების გაყვანას ითვალისწინებდა, აფხაზეთის გენშტაბის უფროსის გენერალ-მაიორ დზარის ბრძანებით ქაღალდზე დარჩა, ოქმის გვერდის ავლით დატოვეს და გადამალეს ოლეგ პეტროვის კაზაკთა ნაწილი, ნიკოლაი გუსკოს ყუბანის პირველი ასეული, ბატალიონი და კავკასიის კონფედერაციის ხალხთა სათავო პოლკი. ყველა ამ ნაწილს კურირებდა რუსეთის არმიის პოლკოვნიკი ანატოლი სიდორენკო. პოზიციებზე დატოვეს და გადამალეს არტილერიის მთავარი ნაწილიც.“

რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების კაპიტანი **ნიკოლაევი** ადასტურებს ზაბოტინის ჩვენებას. ნიკოლაევის განცხადებით, „დაგვპირდნენ“ 2-2 ათას დოლარს თითო ოპერაციაზე, მაგრამ ეს თანხა არ მიგვიღია“.

დაქირავებული ბოევიკების: რუსების **ნიკოლოზ ნოვიჩენკოს, ანდრეი დუდნიკის, ვლადიმერ ლეონოვის,** თათარ **ელდარ ხაირულინის,** ჩეჩენ **ასლან მასტაევის,** კაზაკ **ალექსეი კალიაგინის** ნათქვამი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გახსნილი იყო ბოევიკთა დასაქირავებელი პუნქტები. მათ ჰპირდებოდნენ გასამრჯელოს, საცხოვრებელ ფართსა და ორმაგ მოქალაქეობას. ამ ხალხმა ძირითადად ავღანეთში, დნეპრისპირეთში და სხვა ცხელ წერტილებში მიიღო საბრძოლო გამოცდილება.

**ვლადიმირ კრუტკო,** ლაშქრის ატამანი: „...ჩემი ერთადერთი ოცნებაა ინგურის ხიდზე გავხსნა ღვინის კასრი და დავლიო, სამი დღე ვიჯდები და ვსვამ ... მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ქართველებს აქედან გავყრით და აქ დარჩებიან რუსები ... აფხაზებთან ჩვენ ყოველთვის გამოვნახავთ საერთო ენას და გვექნება ერთი სატკივარი. რუსები აქ აყვავდებიან, ეს აუცილებლად ასე იქნება“.

**მაგომედ მაგომედოვი** (1963 წელს დაბადებული, სოფ. აღშიდაგა, კიზილიურტის რაიონი, დაღესტანი): „აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხალისედ ჩემი ჩამოსვლის მიზანი იყო საცხოვრებელი სახლის მიღება, რომელშიაც უწინ აფხაზეთიდან გაძევებული ქართველი ცხოვრობდა. ადლერიდან გუდაუთამდე ჩემთან ერთად კომეტით მოდიოდნენ მოხალისე ბოევიკები, რომლებსაც ასევე დაპირდნენ ქართველების სახლებს აფხაზეთში“.

როდესაც მაგომედ მაგომედოვმა 1992 წლის 23 სექტემბერს აფხაზეთში თავისი ომი დაამთავრა, ბრძოლას აგრძელებდნენ დონეცკელი მიხეილ მოროზოვი, არხანგელსკელი ლეონიდ ივანოვი, ყაბარდოელი მუხამედ იატანი, ცნობილი ჩეჩენი შამილ ბასაევი (ყოფილი რუსეთის სუკის აგენტი, რომელსაც თავის ძმასთან ერთად სპეციალურად ამზადებდნენ მოსკოვში აფხაზეთის ომისათვისძ, შანიბ სოსლანბეკოვი, ისიც რუსეთის სუკის აგენტი ომამდე, 1992 წლის ზაფხულში მან სოხუმში მოსკოვის დავალებით ჩაატარა ფესტივალი, სადაც შეიქმნა კავკასიის ხალხთა კონფედერაცია, რომლის დედაქალაქადაც ქ. სოხუმი განაცხადეს. ომის პერიოდში იგი აფხაზეთის თავდაცვის მინისტრად დანიშნეს...

„ერთხელ ორნი მოვიდნენ ჩემთან სახლში, გამეცნენ, როგორც უშიშროების თანამშრომლები. ერთი — ადგილობრივი, სტავროპოლელი იყო, მეორე — მოსკოვიდან, მითხრეს: „რუსეთს სჭირდება, რომ შენ წახვიდე აფხაზეთში“. ასე დაიწყო ომი **ანდრეი სერდიუკოვისთვის,** კაზაკთა კავშირის გენერალ-მაიორისთვის, ყოფილი დივერსიული ჯგუფის „ედელვეისის“ — უფროსისათვის.

1995 წლის იანვარში მას აფხაზეთის დატოვება, უფრო სწორად — გაქცევა მოუხდა. თითქოსდა, ომის დამთავრების შემდეგ ცხოვრება კარგად აეწყო. მას, როგორც აფხაზეთის გმირს, ზღვისპირას მისცეს დევნილის სახლი. სერდიუკოვმა მიიღო ორდერი და ამ მშვენიერების სანახავად მივიდა. ჭიშკართან ცოცხალი ყვავილები იდო: რამდენიმე დღის წინათ ამ სახლისათვის აფხაზს აფხაზი მოეკლა. კაზაკმა ორდერი დააბრუნა და ცოლთან ერთად შტაბში ჩასახლდა.

მისი ჯგუფი სოხუმის გარეუბნის პატრულირებას ეწეოდა. დადიოდნენ სადაზვერვო ოპერაციებზე. ერთ-ერთი ასეთი რეიდისას სერდიუკოვმა ჩეჩენი ბოევიკების მოსამზადებელი ბაზა აღმოაჩინა. ჩეჩნები დრანდის აეროპორტის მფრინავების საერთო საცხოვრებელ შენობაში ცხოვრობდნენ. პორტის ტერიტორიაზე მან არაერთხელ ნახა ტრანსპორტი იარაღითა და ზღვით ჩამოსული საზღვარგარეთელი დაქირავებულებით. ამის შესახებ მან მოახსენა როგორც აფხაზეთის ხელისუფლებას, ასევე რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას.

— ამის შემდეგ, — ამბობს სერდიუკოვი, — არძინბა მწვავედ განეწყო კაზაკების მიმართ. მიახალა: „მე თქვენ აქ არ დამიძახიხართ“. დაპირებული შეღავათები არ მისცეს. ხუთჯერ დაჭრისთვის აფხაზეთში მას მხოლოდ 23 000 მანეთი გადაუხადეს. მალე, აფხაზეთის მთავრობამ კაზაკების ატამანი ოლიუნიჩევი გააძევა. სერდიუკოვმა გადაწყვიტა რუსეთში დაბრუნებულიყო. ნანობს, რომ აფხაზეთში მოხვდა.

იმას, რომ აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეები ომობდნენ, ადასტურებს სოხუმში გამომავალ გაზეთ „რესპუბლიკა აფხაზიაში“ გამოქვეყნებული სტატია „ტანკისტი ციმბირიდან“ (2002 წლის 24-25 იანვარი, №8ძ, სადაც წერია: „როდესაც აფხაზეთში ომი დაიწყო, ჩვენს დასახმარებლად მოვიდნენ ძმები დონიდან და შორეულ საზღვარგარეთიდან. მათ შორის იყო ვიაჩესლავ იუროვი, რომელიც წვალებით ჩამოვიდა ტიუმენის ოლქიდან. იუროვი გამოდგა წარჩინებული ტანკისტი, უშიშრად იბრძოდა აღმოსავლეთ ფრონტზე, დაიჭრა კიდეც.

გამარჯვების შემდეგ, ვიაჩესლავმა გადაწყვიტა აფხაზეთში საცხოვრებლად დარჩენილიყო. მას მოსწონდა აფხაზეთში ცხოვრება, სადაც ბევრი მეგობარი ჰყავდა. შეირთო ცოლი, გაუჩნდა ბიჭი. მან გადაწყვიტა ჩვენი პრეზიდენტის პატივსაცემად შვილისთვის ვლადისლავი დაერქმია.

რამდენიმე ხნის შემდეგ ის თავის სამშობლოში დაბრუნდა, როგორც კი ტელევიზიის საშუალებით კოდორის ხეობაში საბრძოლო მოქმედების შესახებ შეიტყო, მაიორი ვიაჩესლავ იუროვი აფხაზეთში დაბრუნდა, რათა დახმარება გაეწიოს თავის მეორე სამშობლოს...“

**ეს ომის შესახებ სიმართლის მხოლოდ მცირე ნაწილია...**

მოამზადა
**სანდრო ალექსიძემ**

# ყოფა

**როგორც კულუარებში ამბობენ, პარლამენტართა ერთმა ჯგუფმა მოამზადა კანონპროექტი ინსპექტირების დაწყების ვადის კვლავ, კერძოდ 2010 წლამდე გადაწევის თაობაზე.**

**თუ კანონპროექტი დამტკიცდა, აღნიშნული სამსახური თავისი საშტატო ერთეულებით უფუნქციო გახდება. მაშ, რისთვის შეიქმნა?**



# თუ შექმნეს სამსახური, რატომ არ ამუშავებენ?

## რაო, ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა აღარ გვჭირდებაო?

### რას ვჭამთ, რას ვსვამთ?

**მართალია, მომხმარებელთა უფლებების ხელშეუხებლობა ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტითაა გარანტირებული, იგი სამოქალაქო კოდექსში და სხვადასხვა ნორმატიულ აქტშიც სათანადოდაა ასახული, მაგრამ იტყვის ვინმე, რომ ჩვენში ეს უფლებები საკმარისად არის დაცული? რა თქმა უნდა, არა. მაშ, რაშია საქმე?**

აქამდეც ბევრჯერ დაგვიწერია, რომ წლების განმავლობაში პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხს ერთბაშად რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურა და არასამთავრობო ორგანიზაცია უწევდა ზედამხედველობას, მაგრამ ფალსიფიკაციაც ბევრი იყო და მომხმარებელთა უფლებებიც საკმარისად ირღვეოდა. ამის მიუხედავად, 2005 წელს განხორციელებული საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებებით ამ ორგანოების ნაწილი გაუქმდა, ნაწილს კი მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში უფლებამოსილება შეუჩერდა. მათნაცვლად შეიქმნა ერთიანი სისტემა პრინციპით — მინდვრიდან — მომხმარებლამდე. ჩათვალეს, რომ ზედამხედველობის საქმის ერთ ხელში თავმოყრას უკეთესი შედეგები ექნებოდა...

ცვლილებები, ერთი მხრივ, ცუდი არ იყო ( როგორც მაშინ მიიჩნევდნენ დაინტერესებული პირები, ბიზნესი არაერთი კორუმპირებული შემმოწმებლისგან გათავისუფლდებოდა), მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბაზარი და, ამასთან დაკავშირებით, მომხმარებელი სრულიად დაუცველი დარჩა: ჩვენი სამომხმარებლო ბაზარი კვლავ ველარ იტევს ფალსიფიცირებულ, ზოგჯერ კი ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქციას. კაცმა არ იცის, მართლაც რას ვჭამთ და რას ვსვამთ, არც ის ვიცით, ჩვენი გასაცოდავებული ლარებით ნაყიდი სურსათით საფრთხე დაგვემუქრება თუ არა.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის უშუალო მოვალეობად, მართალია, კი განისაზღვრა სურსათის უვნებლობაზე კონტროლი და ზედამხედველობა, მაგრამ როგორც ამ დარგის ექსპერტები ამბობენ, მათი აქტიურობა სამომხმარებლო ბაზარზე ისევ დაბალია, ყოველ შემთხვევაში, არ იგრძნობა.

ჯერჯერობით არის ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია „21-ე საუკუნე", რომელთა მუშაობის შესახებ ჩვენი გაზეთიც არაერთხელ წერდა. სწორედ ეს ორგანიზაცია შეისწავლის დღესაც საქართველოს მომხმარებელთა ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქტების უსაფრთხოების საკითხებს, რისთვისაც ბაზარზევე ყიდულობს და ამოწმებს პროდუქტთა ნიმუშებს. აღნიშნული ხორციელდება ფონდ „ევრაზიის" სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობის პროგრამისა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

„21-ე საუკუნემ" პროექტის ფარგლებში ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის სუპერმარკეტებში ძეხვეულის, შოკოლადისა და ჩაის 3-3 დასახელების პროდუქცია შეიძინა და ლაბორატორიულადაც გამოსცადა. კერძოდ, შემოწმდა შემდეგი დასახელების პროდუქცია:

1. სამი სახეობის მოხარშული ძეხვი — „დოქტორსკაია" (მწარმოებელი — ავსტრია)
„მოლოჩნაია" — (რუსეთი), „ლიუბიტელსკაია" (რუსეთი).
2. შოკოლადი — „პუტეშესტვიე" (გერმანია), ტკბილი დესერტი „CLUMSX BEAR" (თურქეთი), რძიანი შოკოლადი „ALPEN COLD" (რუსეთი).
3. ჩაი — შავი (ინგლისური) საუზმისათვის „ANMAPTEA", ჩაი შავი RISTO — (შრი ლანკა) ჩაი „FINAL" (დუბაი).

ლაბორატორიული კვლევა საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდა. კერძოდ, ნიშანდების, პროდუქციის ორგანოლეპტიკური და ფიზიკო-ქიმიური უსაფრთხოების მაჩვენებლის მიხედვით.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება გამოკვლევის შედეგები: შოკოლადის ორ სახეობას არ ჰქონდა ქართულენოვანი ეტიკეტი, მესამეს ჰქონდა, მაგრამ არასრული. გამოშვების თარიღი და ვარგისიანობის ვადა გაყიდვის პროცესში დარღვეული არ იყო. ორგანოლეპტიკური მაჩვენებელი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებს შეესაბამებოდა, ხოლო ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების შედარებისას არ იყო განსაზღვრული ტენიანობის წილი, გამოირკვა ძეხვში დასაშვებ ნორმაზე მეტია წყალი. ცხიმის წილი არ შეესაბამებოდა მოცემულს. უსაფრთხოების მაჩვენებელში განსაზღვრული იქნა პროდუქტის მიკრობიოლოგიური და ტოქსიკური ელემენტების მონაცემები. სასიხარულოა, რომ ამ პარამეტრით სამივე სახეობის პროდუქციამ დააკმაყოფილა სანიტარიული წესებისა და ნორმების მოთხოვნები.

სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხის შეფასების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია მისი კვებითი ღირებულების მაჩვენებლები (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები, ვიტამინები, მაკრო და მიკროელემენტები). ეს მონაცემი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ძეხვ „საექიმოში" იგი არ იყო მითითებული, დანარჩენ ორში კი კალორიულობა თითქმის შეესაბამებოდა ეტიკეტზე მითითებულ მაჩვენებელს

ასევე დარღვეული იყო ცხიმის წილი შოკოლადებში.

დასახელებულ პროდუქტთა შედარებით დადებითი მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ სუპერმარკეტებში შედარებით კარგად იცავენ პროდუქტთა შერჩევის, შენახვისა და რეალიზაციის წესებს.

**რაც შეეხება ბაზრობებზე არსებულ პროდუქციას, იქ აბსოლუტურად ქაოსია ამ მხრივ, ყველგან თითქმის ანტისანიტარია სუფევს. დახლზე დახვავებული პროდუქტები ხშირად მზის გულზე ყრია, ბევრგან ერთმანეთის გვერდით იყიდება საკვები და სარეცხი საშუალებები, არადა, მათი ერთად ტრანსპორტირებაც კი კანონით აკრძალულია.** ხშირად ბაზრებში შეხვდებით ისეთ სურათს, რომლის ეტიკეტზე არ არის მითითებული საკვებდანამატების მაჩვენებელი, რომელიც მცირე რაოდენობით ემატება პროდუქტს მისი გარეგნული სახის თუ შენახვის ხანგრძლივობის გასაუმჯობესებლად და სხვა. მრავალი პროდუქტის გამოშვების ვადა დარღვეულია, არც თუ იშვიათად იყიდება ვადაგასული პროდუქტი. ფაქტობრივად უმოქმედოა მეტროლოგიური სამსახური, ყველა თავის სასწორს ხმარობს.

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის ბაზრები და ბაზრობები უცხოური თუ სამამულო უხარისხო, მდარე პროდუქციის გასასაღებელი ადგილია, რომელსაც პატრონი არა ჰყავს.**

**არადა, პატრონი და შემმოწმებელი კანონით ჰყავს:**

საქართველოს პრეზიდენტმა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ საქართველოს კანონს ჯერ კიდევ 2005 წლის 27 დეკემბერს მოაწერა ხელი, ადრინდელმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხეილ სვიმონიშვილმა კი 2006 წლის 14 მარტს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში გაატარა დოკუმენტი სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის შექმნის შესახებ.

მალე ორი წელიც გახდება, რაც ეს სამსახური მუშაობს, 9 დეპარტამენტი და სამმართველო დაკომპლექტებულია გამოცდილი, მცოდნე სპეციალისტებით, შექმნილი აქვთ საქვეუწყებო სამსახური რეგიონებში, დღეისათვის საკანონმდებლო ბაზაც შევსებულია, ტენდერის საშუალებით შერჩეულია რამდენიმე კარგად აღჭურვილი ლაბორატორიაც...

**ასე რომ, თითქოს ყველა პირობაა შექმნილი სურსათის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის დასაწყებად, მაგრამ...**

**საქმე ის გახლავთ, რომ პარლამენტის დადგენილებით აღნიშნულ სამსახურს შექმნის დღიდან ერთი წლით შეუჩერეს ინსპექტირების, ანუ სურსათის ვარგისიანობისა და უვნებლობის ხარისხის შემოწმების უფლება, იმის უფლება, რისთვისაც თავის დროზე შექმნეს ეს სამსახური და ამდენი თანხაც დაიხარჯა.**

ახლა კი, **როგორც კულუარებში ამბობენ, პარლამენტართა ერთმა ჯგუფმა მოამზადა კანონპროექტი ინსპექტირების დაწყების ვადის კვლავ, კერძოდ 2010 წლამდე გადაწევის თაობაზე.**

**თუ კანონპროექტი დამტკიცდა, აღნიშნული სამსახური თავისი საშტატო ერთეულებით უფუნქციო გახდება. მაშ, რისთვის შეიქმნა?** მხოლოდ იმისთვის, რომ ადრე არსებული მაკონტროლებლები გაენთავისუფლებინათ?

ჩამოგითვალოთ ეს გაუქმებული ორგანიზაციები? ინებეთ, მცირედი ჩამონათვალი: **საქსტანდარტი, ანტიმონოპოლიური სამსახური, სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია თავისი ცენტრალური და რეგიონული სამსახურებით და სხვა.**

**და აი, დღეს არც ერთი ორგანო არ ამოწმებს, მართლაც, რას ვჭამთ და რას ვსვამთ, რა იყიდება მაღაზიებში, ბაზრობებზე! გამონაკლისი დაშვებული ყოფილა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებზე, მაგრამ რა იგულისხმება „განსაკუთრებულ შემთხვევაში", მითითებული არსად არ არის.**

უდავოა, რომ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა უფრო საჭირო და აუცილებელია დღეს, ვიდრე ეს 10 წლის წინათ იყო. რუსეთმა ხომ თავდაპირველად სწორედ ღვინის, ბორჯომის გაყიდვის აკრძალვით შემოგვიტია და ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება. ჩვენი ბრალი სულაც არ არის, რომ ამ ბრძოლას ხშირად პოლიტიკის სუნი ასდის, მაგრამ ვაღიაროთ, რომ ფალსიფიკაციასთან ბრძოლის საქმეში ჩვენც ვტყუით.

**ამის დამადასტურებელია თუნდაც ამ წერილში მოყვანილი ფაქტებიც.**

**სანამ გაგრძელდება ასე?**

**ნაზი იმნაიშვილი**



### ინფორმაცია

## აფხაზები გაეროს მიმართავენ

**სეპარატისტული აფხაზეთის „ახლადარჩეულმა" ე.წ. პარლამენტმა, გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალური მიმართვა გაუგზავნა. მიმართვაში სეპარატისტი პარლამენტარები, გაეროს უშიშროების საბჭოს საქართველოზე ზეწოლას სთხოვენ, რათა ამ უკანასკნელმა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული ყველა რეზოლუციის ყველა მოთხოვნა შეასრულოს. აფხაზი ე.წ. პარლამენტარები გაეროს უშიშროების საბჭოსადმი გაგზავნილ მიმართვაში ასევე შეახსენებენ მის წევრებს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაწყვეტა, აფხაზური მხარის აზრის გათვალისწინების გარეშე უპერსპექტივოა.**

**„აფხაზური მხარის მისწრაფება საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებისა ჯერჯერობით უპასუხოდ რჩება. მეტიც, საქართველო გამალებული შეიარაღებისა და კონფრონტაციის გზას ადგას. სამწუხაროდ, გაერო ჯერ კიდევ „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის" პოზიციებიდან საუბრობს", — ნათქვამია აფხაზ „პარლამენტართა" განცხადებაში და იქვე ხაზგასმით აღნიშნულია, რომ აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის მშენებლობის პროცესს უკვე ვერაფერი შეაჩერებს და უკან ვერ დააბრუნებს.**

## „ქართული ენის ზეიმი" — მოსკოვში

**მოსკოვის საქალაქო ახალგაზრდული შემოქმედების სასახლეში ქართული ენის ზეიმი გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, რუსი და ქართველი პოეტებისა და მუსიკოსების ლიტერატურული და მუსიკალური საღამოც მოეწყო. „რუსეთის ქართველთა კავშირის" წევრთა მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ღონისძიებაში მრავალი გამოჩენილი რუსი და ქართველი პოეტი მიიღებს მონაწილეობას: მიხეილ სინელნიკოვი, იური იაშენცევი, ალექსანდრე დარკოვსკი, გლან ონანიანი, მედეა შავლიაშვილი, მარინა ხუხუნაშვილი, თამაზ ჯანდიერი და სხვები. ღონისძიება ორგანიზებულია რუსეთისა და საქართველოს მეგობრობის კულტურულ ცენტრ „ძალისასა" და რუსეთში არსებულ დიასპორათა ხელშეწყობის ცენტრ „კრედოს" მიერ.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 80. პარასკევი, 27 აპრილი, 2007 წელი.

**ამდენად, 2 სექტემბრის მოვლენები არც ქვეყნის გარედან იყო პროვოცირებული და არც „შეთქმულების მიზნით“ იყო მოწყობილი. ეს იყო ჩვეულებრივი პოლიტიკური აქცია, რომლის დასაშლელად ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა. არც ის აზრი მიგვაჩნია მართებულად, თითქოს 2 სექტემბრიდან დაიწყო ბრძოლა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ**



◉ რა გზა გამოვიარეთ

# რა მოხდა 1991 წლის 2 სექტემბერს?

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, უდიდესი კვალი დაამჩნია საქართველოს უახლეს ისტორიას. ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მოწყობილმა სახელმწიფო გადატრიალებამ, აფხაზეთის ომმა, დასავლეთ საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებამ, ქვეყნის ბუნებრივი განვითარება შეაფერხა და რამდენიმე ათეული წლით დაგვწია უკან. რატომღაც ამ პროცესების ანალიზისას ისტორიკოსები, პოლიტიკური მოღვაწეები თუ ფართო საზოგადოება, ყველაფრის საწყისად 2 სექტემბერს მომხდარ მოვლენას თვლიან. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ პოლიტიკური დაპირისპირების დასაწყისად 1991 წლის 2 სექტემბრის მოვლენა უნდა ჩავთვალოთ, რაც, ჩვენი აზრით, არ არის მართებული.



რეალურად რა მოხდა 1991 წლის 2 სექტემბერს კინოს სახლთან?

2 სექტემბერს, დღის მეორე ნახევარში კინოს სახლთან დაგეგმილი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საინფორმაციო მიტინგი. მომიტინგეებს შეკრების საშუალება არ მისცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმმა, რომელსაც დაკავებული ჰქონდა კინოს სახლის შესასვლელთან არსებული ტერიტორია. პირველი ინციდენტი მოხდა სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებსა და მიტინგის ორგანიზატორებს შორის, რომელთაც ხმის გამაძლიერებელი აპარატურის დადგმის მცდელობა ჰქონდათ. სწორედ იმ დროს, როდესაც პოლიციელები ცდილობდნენ მომიტინგეებისათვის ხელის შეშლას, იქ მყოფმა ჟურნალისტებმა დაიწყეს ამ მოვლენის ფოტოზე აღბეჭდვა. ფოტორეპორტიორებს მილიციის თანამშრომლებმა აუკრძალეს ამ კადრების გადაღება. ამან კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მომიტინგეთა ძირითადი მასა უკვე შეკრებილი იყო კინოს სახლის მიდამოებში. ისინი ძალით შეეცადნენ მიტინგისათვის საჭირო ტერიტორიის დაკავებას. სწორედ ამ დროს მოხდა პირველი სერიოზული შეხლა-შემოხლა მომიტინგეებსა და სპეციალური დანიშნულების რაზმს შორის. ვითარება უკიდურესად დაიძაბა და ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ძალები დისლოცირებული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობის ეზოში (ფუნიკულიორის საბაგიროს ქვემო სადგურთან). კონფლიქტის გაღვივებისას ნაწილი პოლიციელებისა ჩაერთო მომიტინგეების დაშლის ოპერაციაში, მაგრამ, ამჯერადაც, ვერ მოხერხდა რამდენიმე ასეული მომიტინგის გაფანტვა. ამასობაში საქ-შიდო ჯარის შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობის დანარჩენი ნაწილი და მხოლოდ მათი საშუალებით მიტინგი დაიშალა. სამწუხაროდ, მილიციელება ამ მომენტში იარაღი გამოიყენეს და გაისმა რამდენიმე გასროლა ჰაერში. მოგვიანებით, ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ თითქოსდა ამ გასროლის შედეგად იყვნენ დაჭრილები. მაგრამ ეს ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რადგან დაშავებულმა მომიტინგეებმა შესაძლებლობას მიიღეს ტრავმები და მათ სასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები არ აღენიშნებოდათ.

მომიტინგეების დარბევის შემდეგ, ინციდენტი არ ამოიწურა. დემონსტრანტებმა ქვები დაუშინეს მილიციას. ამასთანავე, რუსთაველის მეტროს მიდამოებში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. მიტინგის დაშლის ამბავი მალე ოპოზიციის სხვა ლიდერებისთვის გახდა ცნობილი. დაახლოებით 1-2 საათის შემდეგ, შოთა რუსთაველის ძეგლთან მაინც გაიმართა მიტინგი, რომელსაც გაცილებით უფრო ბევრი ხალხი დაესწრო.

როდესაც ვსაუბრობთ 2 სექტემბრის მიტინგზე, უპირველესად უნდა გავარკვიოთ ერთი საკითხი. რატომ და ვის მიერ იყო ორგანიზებული იგი. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მიტინგი ქვეყნის გარედან იმართებოდა. ვფიქრობთ, ამ პრობლემის გარკვევა ნაწილობრივ, ნათელს მოჰფენს 2 სექტემბრის მოვლენებს.

1991 წლის დასაწყისში საქართველოში პოლიტიკური ვითარება ერთობ დაძაბული იყო. პოლიტიკური პარტიები და ხელისუფლება ერთმანეთს მიტინგების საშუალებით ესაუბრებოდნენ. საქართველოს პარლამენტის წინ ხელისუფლების მომხრეები მართავდნენ აქციას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, კინოს სახლთან კი ოპოზიციის წარმომადგენლები.

1991 წლის გაზაფხულზე, ყოველ ორშაბათს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კინოს სახლთან საინფორმაციო მიტინგებს აწყობდა. ივნისში, ბოლო ასეთ შეხვედრაზე გადაწყდა, ივლის-აგვისტოში მიტინგები შეწყვეტილიყო და იგი განახლებულიყო სექტემბრის პირველ ორშაბათს, რომელიც სწორედ 2 სექტემბერს დაემთხვა. ამდენად, ამ დღეს მიტინგის ჩატარება რამდენიმე თვით ადრე იყო დაგეგმილი და არანაირ მოულოდნელობას არ წარმოადგენდა. თავისთავად მიტინგი-დემონსტრაცია პოლიტიკური უფლებაა და მისი აკრძალვა დემოკრატიის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

როგორც ითქვა, მიტინგებს მართავდა ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. ვფიქრობთ, უკვე ამაში იყო დაშვებული შეცდომა. ახალი პოლიტიკური რეალობა ითხოვდა პარტიების საქმიანობაში გარკვეული ცვლილებების შეტანას. მიტინგი იმ პერიოდისათვის პოლიტიკურ ორგანიზაციებს ესაჭიროებოდათ საზოგადოებისათვის ინფორნაციის მისაწოდებლად. პრესისა და ტელევიზიის როლის გაზრდის შემთხვევაში, ასეთი სახის შეკრებებიც თავის ფუნქციას დაკარგავდა.

ჯერ კიდევ 1990 წელს თავის სააღდგომო ეპისტოლეში სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II აღნიშნავდა: „ვფიქრობ, სასწრაფოდ უნდა შედგეს ყველა პარტიისა და საზოგადოების წარმომადგენელთა კრება, რომელიც გამოიმუშავებს პარტიების კამათის ეთიკის კანონებს, რომლის დაცვაც აუცილებელი იქნება ყველასათვის... მიმაჩნია, რომ მიტინგებისა და გაფიცვების სახით, ევროპიდან შემოსულმა პროტესტის თუ აზრის გამოთქმის ამ ფორმამ დრო მოჭამა. ხალხი შეეჩვია მას, დაიღალა და უკურეაქცია გაჩნდა“.

საქართველოში ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, პირველი რაც უნდა გაკეთებულიყო, ეს იყო პრესისა და ტელევიზიის სრული დემოკრატიზაცია და პოლიტიკურ ძალებს შორის თამაშის წესებზე შეთანხმება. ამ საკითხებში კომპრომისზე უნდა წასულიყო ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა. ამაში დამნაშავე ორივე მხარე იყო. მიუხედავად ზოგადი მოწოდებებისა, რეალურ დიალოგს ხელისუფლება და ოპოზიცია გაურბოდა.

2 სექტემბრის მიტინგი შეიძლება საქართველოს ისტორიაში არც შესულიყო, რომ არა ძალის გამოყენება, რაც ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ იყო ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომა. შეიძლება ჩვენ ვისაუბროთ გარკვეულ პროვოკაციაზე ოპოზიციის მხრიდან, ვიფიქროთ, რომ ყოველივე დაგეგმილი იყო ქვეყნის გარედან, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, 2 სექტემბერს ვიღაცამ გასცა ბრძანება და მომიტინგეებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობა დაუპირისპირდა. ბუნებრივია, ხელისუფლების ამ რგოლის ქმედებაზე ვიღაცას უნდა ეგო პასუხი. იარაღიანი ხალხის გამოყენება მიტინგის დასაშლელად არც ოპოზიციის ბრძანებით შეიძლება მომხდარიყო და არც ქვეყნის გარედან. ასეთ გადაწყვეტილებას უშუალოდ საქართველოს ხელისუფლება იღებდა. და თუ ხელისუფლებაში ვინმე იყო პროვოკატორი, ეს უპირველესად, ხელისუფლების პრობლემას წარმოადგენდა და „განტევების ვაცის“ სხვაგან ძიება არ მიგვაჩნია მართებულად. 2 სექტემბრის ინციდენტში მომიტინგეებსაც მიუძღვით გარკვეული ბრალი. სამართალდამცველთა მიერ აკრძალვის შემთხვევაში, მათ მიტინგი სხვა ადგილას უნდა გაემართათ. მაგრამ იმ პერიოდში მთელი საქართველო უკიდურესი რადიკალიზმის სენით იყო დაავადებული. თვით მიტინგის აკრძალვაც, ეროვნული ხელისუფლების მხრიდან უცხო იყო. ამიტომაც ეს თითქოსდა ჩვეულებრივი შეკრება დაპირისპირებაში გადაიზარდა. უარყოფითად უნდა შეფასდეს მომიტინგეთა მიერ მილიციისათვის ქვების დაშენის ფაქტიც, რომელიც სამართალ დარღვევა იყო.

რატომ მიიღო 2 სექტემბრის მოვლენებმა ასეთი რეზონანსი?

9 აპრილის შემდეგ არ ყოფილა შემთხვევა მომიტინგეების წინააღმდეგ იარაღის გამოყენებისა. ეროვნული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ კი ეს იყო პირველი ინციდენტი, როდესაც მიტინგი ძალით დაშალეს. ის მომენტი, რომ თვითონ ხელისუფლება გრძნობდა გარკვეულ პასუხისმგებლობას მომხდარზე, კარგად ჩანს იმ დოკუმენტიდან, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო 1991 წლის 15 სექტემბერს:

„1991 წლის 2 სექტემბერს ქალაქ თბილისში მომხდარი ფაქტის შესახებ

ა. წ. 2 სექტემბერს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მოხდა შეტაკება მიტინგის მონაწილეებსა და მილიციის ნაწილს შორის, რომლის შედეგადაც დაშავდნენ როგორც მომიტინგეები, ასევე მილიციის მუშაკები.

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის აღიარებული პრინციპების მოთხოვნებს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ამ ფაქტს მიიჩნევს ქართველი ერის ინტერესების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად და აქედან გამომდინარე ადგენს:

1. დაიგმოს ა. წ. 2 სექტემბერს ქ. თბილისში რუსთაველის მოედანზე მიტინგის დროს ძალის გამოყენების ფაქტი.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ამ ფაქტის გამო თბილისის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და აწარმოებს გამოძიებას.

3. მომხდარი ფაქტის გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლისა და სათანადო დასკვნის გამოტანის მიზნით, შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისია ყველა რეგისტრირებული პარტიის, აგრეთვე საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

4. კომისიამ თავისი დასკვნები წარუდგინოს უზენაეს საბჭოს“.

აღნიშნული დოკუმენტი მეტად საინტერესოა თავისი შინაარსით და იმ აქცენტებით, რაც მასშია. ხელისუფლება გმობს „მიტინგის დროს ძალის გამოყენების ფაქტს“. ამით პირდაპირაა ნათქვამი, რომ ხელისუფლებამ აიღო პასუხისმგებლობა ამ მიტინგის დარბევაზე. ამასთანავე მან სისხლის სამართლის საქმე აღძრა იმ პირების წინააღმდეგ, ვინც იარაღი გამოიყენა დარბევისას.

ამდენად, 2 სექტემბრის მოვლენები არც ქვეყნის გარედან იყო პროვოცირებული და არც „შეთქმულების მიზნით“ იყო მოწყობილი. ეს იყო ჩვეულებრივი პოლიტიკური აქცია, რომლის დასაშლელად ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა. არც ის აზრი მიგვაჩნია მართებულად, თითქოს 2 სექტემბრიდან დაიწყო ბრძოლა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ის ძალა, რომელიც 1991-1992 წლებში დაუპირისპირდა საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ჯერ კიდევ 1991 წლის აგვისტოში განუდგა მას. თ. სიგუასა და თ. კიტოვანს 2 სექტემბრის მოვლენებთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ. მათი გააქტიურება 1991 წლის სექტემბრის მიწურულიდან დაიწყო. ეს უკვე სხვა თემაა. სწორედ აქედან იწყება ის პროცესები, ტრაგიკულ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენებამდე რომ მიგვიყვანა.

**ჯაბა სამუშია**

## ანალიზის ცდა

*ჩვენი დისკუსიის უმთავრესი ნაწილი ბოლო დრომდე ძირითადად ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას დაეთმო, და ეს ბუნებრივიც არის, რადგან სწორედ პოლიტიკური ცხოვრების შეცვლას მოჰყვა ყველა სხვა დანარჩენი ცვლილება ქვეყანაში.*

*როგორც დისკუსიისთვის თვალყურის მდევნებელმა მკითხველმა იცის, წინა პარასკევს სადისკუსიოდ გამოქვეყნებული ვრცელი წერილი მთლიანად „გარდაქმნის“ დროინდელ საქართველოს ეკონომიკას მიეძღვნა. დღევანდელი პუბლიკაციების ავტორები, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, თავიანთი მოსაზრებების გამოხატვისას წინა ავტორებთან კამათში ეძებენ ჭეშმარიტებას, რაც ჩვენი დისკუსიისა თუ ანალიზის ცდის მთავარი მიზანია. ამდენად, რედაქცია მიესალმება დისკუსიის თავისებურად „გამწვავებას“ და იმედოვნებს, რომ ჩვენი ავტორები კვლავაც ამ გზით ივლიან.*

**გიწვევთ სამშობლოს ბედზე მოფიქრალ ყველა მოაზროვნე ადამიანს**

**ჩვენი უახლოესი უბყუარი წარსული: წლები, მოვლენები, ადამიანები**

**დისკუსიის თემაა: „საქართველო 1985–2003 წლებში“**

№ 80. პარასკევი. 27 აპრილი. 2007 წელი.

**საქართველო დამოუკიდებლობისათვის სსრკ-ს შემადგენლობაში სოციალიზმის გზით „განვითარებას“ არ მოუმზადებია! ქართველი ხალხი დამოუკიდებლობისათვის მზად იყო 20-იან წლებშიც, ე.ი. სსრკ-ს გარეშეც, მაგრამ „თბილისზე წითელი დროშის“ აფრიალებამ ეს გზა დიდი ხნით გადაგვიკეტა**



## რა გზა გამოვიარეთ

*ვინც ტრადიციულად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთგული მკითხველია, ეცოდინება, რომ მიმდინარე წლის 2 თებერვლიდან გაზეთმა დაიწყო დისკუსია ისეთ საკითხებზე, თუ როგორ მომზადდა საქართველოში ნიადაგი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და (ჩვენთვისძ ახალი სოციალურ-ეკონომიკური წყობის - საბაზრო ურთიერთობათა (კაპიტალიზმისძ რელსებზე გადასასვლელად.*

*ვინც დღემდე გამოქვეყნებულ წერილებს თვალყურს ადევნებს, შეამჩნევდა ერთ გარემოებას: იმის გამო, რომ დისკუსიის დასაწყისშივე სავსებით ნათლად არ იყო შემუშავებული საკამათო საკითხების არეალი, აგრეთვე შესაძლოა იმის გამოც, რომ ჯერ კიდევ ყველას როდი გვაქვს ნათლად გაცნობიერებული ჩვენთვის დღემდე უჩვეულო საბაზრო ურთიერთობის იდეოლოგია და მისი შედეგების გარდუვალობა, კამათში მონაწილენი უპირატესად ეროვნულ მოძრაობასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდნენ.*

*ისიც გასათვალისწინებელია, რომ, როგორც ზოგიერთს მიაჩნია, თურმე „ყველაფერი ეს ე.წ. გორბაჩოვის ავბედითი „გარდაქმნით“ დაიწყო, რამაც საბჭოთა იმპერიის პოლიტიკურ რღვევას, ეკონომიკურ ნგრევას და მეურნეობის საბაზრო ლოგიკის ნიშნებს დაუდო სათავე“ (იხ. დასახელებული გაზეთის 20 აპრილის ნომრის მე-8 გვერდიძ.*

# ფარული ნოსტალგია საბჭოთა საქართველოზე

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

ილია მართალი

ბატონებო! გარბაჩოვს და მის თითოოროლა კოლეგას უკვე ვინ რას ჰკითხავდა (კიდევ ჰო, გაუცნობიერებლად მოქმედი ხრუშჩოვი რომ დაესახელებინათძ! ისინი ხომ ამ საქმეში, დიდი-დიდი, სათანადო ანაზღაურების(?ძ მქონე მარიონეტიშემსრულებლები(!ძ იყვნენ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის პატივსა და დიდებას მთლიანად იმსახურებენ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა და მისი ფლაგმანი სახელმწიფოები.. სსრკ-ს დაშლის მიზეზად გორბაჩოვისა და მისი კოლეგების დასახელება ისეთივე მიამიტობაა, ფეოდალიზმის დაშლა



საფრანგეთში ნაპოლეონს, ხოლო ინგლისში – კრომველს რომ დააბრალო. მით უფრო, რომ ამ პიროვნებათა გვერდით დასახელების პატივი სსრკ-ს ვაი-ლიდერებს ნამდვილად არა და არ დაუმსახურებიათ.

ასე რომ, თავიდანვე სავსებით მართებულად რომ არ განისაზღვრა სსრკ-ს დაშლისა და საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების მიზეზების წრე, სწორედ ამიტომ დისკუსიაში მონაწილე მხარეები დღემდე ძირითადად ეროვნულ-განმათავისუფლებელი პრობლემების ირგვლივ დავობდნენ.

სადისკუსიოდ მომზადებული მორიგი წერილი, რომელიც პირველად ეხება ეკონომიკის სფეროს, მიმდინარე წლის 20 აპრილს დაიბეჭდა საკმაოდ რთული სათაურით „საქართველოს ეკონომიკა „გარდაქმნის“ ანუ, ბევრის აზრით, „გადაშენების“ ხანაში“.

არ ვაპირებთ ამ წერილის დეტალურ გარჩევასა და ანალიზს, რადგან ეს მეტისმეტად ვრცელი და მკითხველისათვის ისეთივე დამღლელი იქნება, როგორც თვით ეს წერილი. ნამდვილად არა მგონია, ჩვენი წარსულის ავბედით 1960-1990 წლებში სსრკ-ს და საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური „განვითარებისა“ და დაცემის ისტორიაზე მკითხველმა დღეს გაზეთის ორ გვერდზე გადაჭიმული და უამრავი მონაცემით დეტალურად „დასაბუთებული“ წერილი წაიკითხოს. მოკლედ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ პრინციპულ საკითხს.

ჯერ ერთი, სავსებით გასაგებია, რომ წერილის სათაურში გამოტანილი სიტყვა „გარდაქმნა“ ბრჭყალებშია ჩასმული, რაც მას საპირისპირო დანიშნულებას აძლევს. მართლაც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს „გარდაქმნა“ („პერესტროიკა“ძ სულაც არ იყო რეალური ღონისძიება და, ცხადია, არ შეეძლო განწირული ქვეყნისა და მისი ეკონომიკის შველა. მაგრამ სათაურში მორიგი სიტყვის „გადაშენების“ ბრჭყალებში ჩასმა სრულიად გაუგებარია. რა, გადაშენება რეალური არ იყო თუ იგი რუსული „პერესტროიკის“ ქართული თარგმანია? მიამიტობაა!

მეორეც, წერილის ძირითადი შინაარსი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის ალმავლობა-განვითარებისადმია მიძღვნილი, რაც, შესაძლოა, არაეკონომისტ და ნოსტალგირებულ მკითხველს გულსაც ფხანდეს, მაგრამ საქმეში ჩახედულ ადამიანს ასეთი სატყუარათი ვერ მოიმადლიერებ.

არის რამდენიმე საკვანძო საკითხი, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში საბჭოთა წლებში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთელი გზა არსებითად მოჩვენებითობად და სიყალბედ შეიძლება რომ მივიჩნიოთ.

უნდა გავიხსენოთ, რომ სსრკ-ს ეკონომიკა მთლიანად იმართებოდა და იგეგმებოდა ცენტრალიზებულად. ფასწარმოქმნის მთელი მექანიზმი ასევე ცენტრალიზებულად ყალიბდებოდა და, ბუნებრივია, ქვეყნის შიდა ბაზარზეც განუყოფლად ბატონობდა სსრკ-ს ფასების სახელმწიფო კომიტეტის კაბინეტებში დადგენილი საცალო ფასები (ცხადია, აქ არ იგულისხმება მაშინდელი ე.წ. საკოლმეურნეო ბაზარიძ. მთელს ეკონომიკაში ამ გზით ხდებოდა რენტაბელობის დარგთაშორისი და შიგადარგობრივი გადანაწილება, თითქოს ზარალიანი დარგებისა და პროდუქციის გამოთანაბრება ასევე თითქოს მომგებიანი სფეროს სახსრებით. დამახინჯებული და იგნორირებული იყო თვით წაგება-მოგების ეკონომიკური კატეგორიების რეალური შინაარსიც. თავისუფალი კონკურენცია მთელს ქვეყანაში „სოციალისტურმა შეჯიბრებამ“ შეცვალა. ფაქტობრივად ეს იყო ხელოვნურად ვითომ „დაბალანსებული“ ეკონომიკა, რომლის „ტვინი და გონება“ სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გახლდათ. ასეთ ეკონომიკას ასწავლიდნენ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებშიც(!ძ.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში თავიდან ბოლომდე ყალბი და მოჩვენებითი იყო ინფორმაცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების შესახებ, შესაძლოა, ნატურალური პროდუქციის მაჩვენებლების გარდა, თუმცა საყოველთაოდ გავრცელებული ე.წ. „საბჭოთა მიწერების“ პრაქტიკის გამო არც ისინი შეეფერებოდნენ სინამდვილეს.

რა თქმა უნდა, ასევე ყალბი და არარეალური იქნება ყოველნაირი მსჯელობა, რომელიც ასეთ ყალბ ინფორმაციაზეა აგებული.

ჩვენი განსახილველი საგაზეთო წერილიც, რომლის სათაურის შესაბამისი ტექსტის მოსამზადებლად ავტორმა, ალბათ, სათანადო შრომა გასწია, სრულიად არ ითვალისწინებს საბჭოთა ეკონომიკის ზემოთ მითითებულ მოჩვენებითობასა და სიყალბეს. მთელი წერილი პირთამდე სავსეა ძველი, დღეისათვის უკვე არაფრისმთქმელი საზომებით (პროცენტი, მანეთი, ტონა და ა..შ.ძ და შესაბამისი ციფრობრივი მონაცემებით. ავტორი კი, მათგან გამომდინარე, მსჯელობს სსრკ-ს (მათ შორის საბჭოთა საქართველოსძ ეკონომიკის წარმატებებსა და ბოლო წლების ჩამორჩენებზე. წერილის დასასრულს კი საქმე ისეა წარმოჩენილი, თითქოს სსრკ-ს დაშლა და საქართველოს დამოუკიდებლობა ეკონომიკის ჩამორჩენით ყოფილიყოს გაპირობებული. ავტორი წერს: „პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებით 90-იანი წლების მიწურულს ობიექტურად დაისვა საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის ისტორიული საკითხი, რასაც შედეგად მოჰყვა განვითარების ახალი ეტაპი ჩვენს რეალობაში“ (წერილის დასასრულიძ. სავსებით ისე, ახლო წარსულში რომ ცეკას მდივანი მოხსენებას დაასრულებდა!

ცხადია, ასეთი ტექსტის ავკარგიანობაზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ მოკლედ მაინც უნდა ითქვას, რომ მთელს ამ ვრცელ (გაზეთის ორგვერდიანძ წერილში არსად, გაკვრითაც კი, არ არის მინიშნება იმაზე, თუ რატომ შენდებოდა საქართველოში გიგანტი ფაბრიკა-ქარხნები, რატომ უნდა სჭეროდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში პირველი სტრიქონი მრეწველობას, ხოლო მასში – მძიმე მრეწველობას, რატომ მახინჯდებოდა საქართველოს ეროვნული ინტერესები და ეკონომიკური სტრუქტურა, რატომ დარჩა დღეს უფუნქციოდ თითქმის ყველა საწარმო და ზოგიერთი ქალაქიც(!ძ კი და ა.შ. და ა.შ.

ცოტა რამ მაინც ხომ უნდა თქმულიყო იმის შესახებ, რომ წარსული 70 წლის მანძილზე საქართველოს არ გაუვლია განვითარების ის გზა, 90-ანი წლებიდან ახალ ეტაპზე გადასასვლელად საფუძველს რომ მოამზადებდა, რომ ჩვენ ერთი უზარმაზარი ქვეყნის პაწაწინა ნაწილი ვიყავით და საქართველოს ეკონომიკა, ისევე როგორც ყველაფერი დანარჩენი, ჩვენი ეროვნული და ტრადიციული თავისებურებების გაუთვალისწინებლად იქმნებოდა, რომ გასული 70 წლის მანძილზე ჩვენ აცდენილი ვიყავით ცივილიზებული მსოფლიოს იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ისტორიულ გზას და დღეს იმის გაკეთება გვიწევს, რაც ევროპის ქვეყნებმა ბუნებრივი განვითარების გზით ასეული წლების წინ მოითავეს. ყოველივე ამაზე ხომ უნდა თქმულიყო ცოტათი მაინც, გაკვრით. ეს წერილი ხომ 30 წლის წინათ არ დაწერილა, იგი დღეს დაიწერა!!

საქართველო დამოუკიდებლობისათვის სსრკ-ს შემადგენლობაში სოციალიზმის გზით „განვითარებას“ არ მოუმზადებია! ქართველი ხალხი დამოუკიდებლობისათვის მზად იყო 20-იან წლებშიც, ე.ი. სსრკ-ს გარეშეც, მაგრამ „თბილისზე წითელი დროშის“ აფრიალებამ ეს გზა დიდი ხნით გადაგვიკეტა.

„ბოროტების იმპერიის“ შექმნიდან 90-იან წლებამდე მის წინააღმდეგ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის აშკარა თუ ფარულმა გააფრთებულმა ბრძოლამ და, ამასთანავე, როგორც მთელს სსრკ-ში, ისე საქართველოში დისიდენტური (ეროვნულ-განმათავისუფლებელიძ მოძრაობის არნახულმა გააქტიურებამ ამ იმპერიის ნგრევა და მასში ძალდატანებით გაერთიანებული ერების განთავისუფლება გამოიწვია.

რა თქმა უნდა, მეტისმეტად ძნელია საუკუნეების მანძილზე ეროვნულ თავისუფლებას გადაჩვეული ხალხისთვის დღეს დამოუკიდებლობის გზით სიარული და ძნელად შესაჩვევი ახალი საზოგადოებრივი წყობის შენება, ისიც ჩამორჩენილი ქვეყნის როლში. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის როგორც მატერიალურად, ისე ფსიქოლოგიურად მეტისმეტად მძიმეა კერძო საკუთრების დამკვიდრებით გამოწვეული სტრესიც, მაგრამ ეს გზა საქართველომ უნდა გაიაროს, როგორც თავის დროზე განვითარების ისტორიულ გზას აცდენილმა ქვეყანამ.

სწორედ ამიტომ ახალი საქართველოს აშენება ჩვენი ახალგაზრდა თაობის ისტორიული ვალია (ახალგაზრდა თაობისა და არა უმწიფარი ყმაწვილებისა და გოგონებისძ, რადგან იგი თავისუფალია წარსულის მენტალური ტვირთისაგან და ამიტომ უფრო ცალსახა და გაბედულია.

რაც შეეხება სსრკ-ს ეკონომიკას, მართალია, ის სერიოზულად დაძაბუნებული იყო, მაგრამ უკიდურესად გამწვავებული საგარეო და საშინაო ფაქტორების ერთობლიობა რომ არა, არსებული მძლავრი სამხედრო პოტენციალიდან გამომდინარე (დეგრადაცია სამხედრო კომპლექსს თითქმის არ შეხებიაძ, იგი ასეთი ეკონომიკითაც კიდევ კარგა ხანს გააგრძელებდა არსებობას და გამორიცხული არ არის, რომ შესაძლოა მასაც ჩინეთის გზის ანალოგი გამოენახა. ბოლოს და ბოლოს ჩინეთმა კონსტიტუციურად მოაგვარა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის, სოციალისტური მეურნეობისა და საბაზრო ეკონომიკის ურთიერთსაპირისპირო ამოსავალი პრინციპების მშვიდობიანი თანაარსებობა, პირველის პრიორიტეტი შეინარჩუნა, ხოლო მეორეს გზა ფართოდ გაუხსნა, რითაც განვითარების ამოუწურავი პერსპექტივა მიიღო.

მაგრამ ისტორიამ, ჩვენდა საბედნიეროდ, სხვანაირად განსაჯა.

„ჩვენდა საბედნიეროდ“ კი იმიტომ, რომ სსრკ-ც რომ ასეთ გზას დასდგომოდა, ჩვენ დღესაც მისი და, იმავდროულად, საბჭოთა საქართველოს მოქალაქეები ვიქნებოდით!

**ამირან გაბისონია,**
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი

დისკუსიას უძღვებიან ისტორიკოსი ვახტანგ გურული, პოლიტოლოგი მალხაზ მაცაბერიძე და ჟურნალისტი გურამ გოგიაშვილი.

№ 80. პარასკევი, 27 აპრილი, 2007 წელი.

№ 80. პარასკევი, 27 აპრილი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

● საქართველოში ნამდვილი ჰუნვეიბინები გამოჩნდნენ. გამძვინვარებული სტუდენტების ბრბო შეიჭრა ოპოზიციური „რესპუბლიკური“ პარტიის ოფისში. სტუდენტებმა რესპუბლიკელები „ხალხის მტრებად“ და „რუსეთის აგენტებად“ შერაცხეს. ერთი ახალგაზრდა კი დაჟინებით ცდილობდა პოლიტოლოგ პაატა ზაქარეიშვილისთვის გადაეცა რუსეთის სახელმწიფო დროშა და გერბი. საქმე კინაღამ ხელჩართულ ჩხუბამდეც მივიდა.



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## სააკაშვილი ამხანაგ მაოს გზას დაადგა

**საქართველოში ნამდვილი ჰუნვეიბინები გამოჩნდნენ. გამძვინვარებული სტუდენტების ბრბო შეიჭრა ოპოზიციური „რესპუბლიკური“ პარტიის ოფისში. სტუდენტებმა რესპუბლიკელები „ხალხის მტრებად“ და „რუსეთის აგენტებად“ შერაცხეს. ერთი ახალგაზრდა კი დაჟინებით ცდილობდა პოლიტოლოგ პაატა ზაქარეიშვილისთვის გადაეცა რუსეთის სახელმწიფო დროშა და გერბი. საქმე კინაღამ ხელჩართულ ჩხუბამდეც მივიდა.**

მომდევნო დღეს ახალგაზრდები, რომლებიც თავს „სტუდსაბჭოების წარმომადგენლებს“ და „პატრიოტებს“ უწოდებენ, დაიმუქრნენ, რომ გამართავდნენ მასობრივ საპროტესტო აქციებს, რომელთა დროსაც „დესტრუქციას მოუწყობდნენ“ „რესპუბლიკელებს“. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ პარტიის ლიდერებთან სტუდენტების დაპირისპირებაზე თითქმის მთელი საათის განმავლობაში მსჯელობდნენ საქართველოს პარლამენტში.

სკანდალი აგორდა მას შემდეგ, რაც ეთერში გავიდა „რუსთავი-2“ ტელეკომპანიის ანალიზური გადაცემა Postscriptum. გადაცემის წამყვანმა ილაპარაკა იმ სამი ქართველი სტუდენტის ბედზე, რომლებიც დააკავეს აფხაზეთში 1 მარტს, როცა იქ იმართებოდა თვითაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები. გამოძიების დროს სტუდენტებმა განაცხადეს, რომ უნდა დაბრუნებულიყვნენ თბილისის ხელისუფლების კონტროლსდაქვემდებარებულ ტერიტორიაზე და თავი გაესაღებინათ აფხაზეთის მცხოვრებლებად, რომლებსაც „არ სურდათ მონაწილეობა სეპარატისტების მიერ ორგანიზებულ არჩევნებში“. სხვათა შორის, სოხუმში მათ 7-7 წლის პატიმრობა ელით.

ზაქარეიშვილმა, რომელიც გადაცემაში ექსპერტის სახით მიიწვიეს, გამოთქვა ვარაუდი, რომ 1 მარტის აქციების უკან იდგა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, კერძოდ კი კონსტიტუციური უშიშროების დეპარტამენტი – კონტრდაზვერვა.

– სცენარი წინასწარ იყო მომზადებული. მაგრამ არავის უფიქრია იმაზე, თუ რა ბედი ეწეოდათ ამ ბავშვებს, – თქვა ზაქარეიშვილმა. – აქციას უნდა გაესვა ხაზი, რომ აფხაზები ვერ აკონტროლებენ გალის რაიონს. ჩემი აზრით კი, ამან უკუეფექტი გამოიღო.

ზაქარეიშვილის გამოსვლას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. საქართველოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში მოქმედი სტუდენტური ორგანიზაციის აქტივისტებმა მას საჯარო ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს „პატრიოტების შეურაცხყოფისთვის“. მაგრამ ყველაზე შორს მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა შეტოპეს. მათ მკაცრად დაგმეს „ზაქარეიშვილის სამარცხვინო პოზიცია“ და პოლიტიკოსი თითქმის „სეპარატისტებთან შეთქმულებაშიც“ დაადანაშაულეს.

რესპუბლიკელების წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრა ასევე მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთმა უახლოეს თანამოსაგრემ პარლამენტარმა ნოდარ გრიგალაშვილმა. მან მოიტანა ციტატა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე „რესპუბლიკელების“ მიერ გამოთქმული წინადადებებიდან, რომელთა თანახმადაც აფხაზეთი საქართველოს უნდა შეუერთდეს როგორც „სუვერენული სახელმწიფო წარმონაქმნი“ და „თანასწორუფლებიანი და სუვერენული პარტნიორი“. თბილისის ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის ასეთი იდეების გამოთქმა სამშობლოს ღალატის ტოლფასია.

ოპოზიცია მმართველ პარტიას „პროვოკაციების მოწყობაში“ ადანაშაულებს. „როგორც ირკვევა, „სიკვდილის ესკადრონების“ გარდა საქართველოში კომკავშირელებიც მოქმედებენ. თანაც ეს ახალგაზრდები მოქმედებენ მათი ტიპიური მეთოდებით“, – განაცხადა პარლამენტარმა ივლიანე ხაინდრავამ.

თუმცა, ასეთი დასკვნის გამოსატანად სულაც არ არის აუცილებელი, დავლოდებოდით ოპოზიციონერებზე თავდასხმას. სააკაშვილის მოწვევის „კომკავშირელებს“ წინათაც არაერთხელ „გამოუჩენიათ თავი“. მაგალითად, როცა მოაწყვეს ხმაურიანი სტიქიური საპროტესტო აქციები რუსეთის საელჩოს შენობის წინ, ან მაშინ, როცა გამართეს ჩირაღდნებით მსვლელობა და ერთხმად გაიძახოდნენ პატრიოტულ ლოზუნგებს.

**ალექსანდრე იაშვილი**

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

## ოქრუაშვილი დიდ პოლიტიკას უბრუნდება

**ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ქართველი პოლიტიკოსი, 33 წლის ირაკლი ოქრუაშვილი, რომელსაც თავის დროზე ეკავა ქვეყნის თავდაცვისა და ეკონომიკის მინისტრების პოსტები, აპირებს პარტიის შექმნას 2008 წლის პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისთვის.**



გაზეთ „ალიას“ მონაცემებით, პრეზიდენტის მომხრე უმრავლესობის წევრი მთელი რიგი დეპუტატები მზად არიან ამ პარტიაში გასაერთიანებლად. როგორც გაზეთი ამტკიცებს, თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ოქრუაშვილს არ გაუწყვეტია კავშირი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან, რომელმაც ყოფილი მინისტრი აპრილში რაღაც საიდუმლო დავალებით მიავლინა კიევს.

პარლამენტარ ვალერი გელბახიანის განცხადებით, ოქრუაშვილი თავისი პარტიის პრეზენტაციას ოქტომბერში მოაწყობს, ჯერჯერობით კი მართავს კონსულტაციებს „ქართული პოლიტიკის აქტიურ ფიგურებთან“.

მარტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდნენ, რომ საქართველოს კონტროლის პალატამ გენერალურ პროკურატურას გადასცა 2005-2006 წლების განმავლობაში თავდაცვის სამინისტროში განხორციელებულ შემოწმებათა მასალები. ამ უწყებას სწორედ ოქრუაშვილი ხელმძღვანელობდა იმ პერიოდში. საქმე ეხება 250 მილიონი ლარის არადანიშნულებრივ ხარჯვას, რომელიც მოხმარდა სამხედრო მაღალჩინოსნებისთვის ძვირფასი ავტომობილების შესყიდვას და მათი კაბინეტების გარემონტებას.

ბატონი ოქრუაშვილი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ 2007 წელს შეხვდებოდა თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ცხინვალში, მაგრამ 2006 წლის ნოემბერში იგი თავდაცვის სამინისტროდან ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გადაიყვანეს. ერთი კვირის შემდეგ კი ოქრუაშვილი თანამდებობიდან გადადგა სამხედრო-პოლიტიკური ხაზით სწავლის გაგრძელების მიზეზით, თუმცა განაცხადა, რომ კვლავ დაბრუნდებოდა პოლიტიკურ სცენაზე.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ

## თბილისში მორიგ მოღალატეს და მოსკოვის აგენტს მიაგნეს



**თბილისში იპოვეს ის ადამიანი, რომელსაც შეიძლება დააბრალონ ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების პროცესის წარუმატებლობა. აშკარა დევნის ობიექტი გახდა განვითარებისა და თანამშრომლობის არასამთავრობო ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიის წევრი, პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი, რომლის მოსაზრებებიც რამდენადმე განსხვავდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგების შესახებ ქვეყნის ხელისუფლების შეხედულებისგან.**

ეს ზაქარეიშვილს, სხვათა შორის, არაერთგზის განუცხადებია თავის კომენტარებში და აღუნიშნავს „ნეზავისიმაია გაზეტას“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიებშიც.

საბაბიც მალე გამოინახა: „რუსთავი-2“ ტელეარხის Postscriptum საკვირაო პროგრამაში გამოსვლისას პაატა ზაქარეიშვილმა წინდაუხედავად გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე სტუდენტების მიერ მარტში განხორციელებული აქცია იყო საქართველოს სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი მოქმედების შემადგენელი ნაწილი, რომლებიც იმ დღეებში ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩაეშალათ გალის რაიონის ტერიტორიაზე აფხაზეთის პარლამენტის არჩევნები.

უსიამოვნება პოლიტოლოგს მომდევნო დღეს დაატყდა თავს. თბილისში გამართულ ბრიფინგზე შეიჭრა სტუდენტების ჯგუფი, რომლებმაც ზაქარეიშვილს დასწამეს ცილი „ქართველი ხალხის ინტერესების ღალატში“ და დემონსტრაციულად გადასცეს მას თავისებური „შავი ნიშანი“ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშა და გერბი.

ამის პარალელურად ზაქარეიშვილის გამონათქვამები სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა ჯერ პარლამენტის ბიუროს, შემდეგ კი პლენარულ სხდომაზეც. პრეზიდენტის მხარდამჭერი უმრავლესობის წარმომადგენელი დეპუტატები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ გასარკვევია, თუ „რა მიზნებს და ძალებს“ ემსახურება რესპუბლიკელი-პოლიტოლოგის მიერ გაკეთებული განცხადებები. „პაატა ზაქარეიშვილი ის ადამიანია, რომელიც არ იწონებდა საქართველოს ხელისუფლების მოქმედებას კოდორის ხეობაში, რომელიც აღიარებს კოკოითის და ბაღაფშს, და რომლისთვისაც მიუღებელია დიმიტრი სანაკოევი“, – განაცხადა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ.

თავის მხრივ, რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობაში არ ეპარებათ ეჭვი, რომ ეს არის არა მარტო პოლიტოლოგ ზაქარეიშვილთან, არამედ საქართველოს ხელისუფლების ამჟამინდელ ოპონენტებთან „საქმის გარჩევის“ მცდელობა. „თუ აფხაზეთში დაკავებული სტუდენტების განთავისუფლებისთვის ხელისუფლებას სჭირდება ზაქარეიშვილის, რესპუბლიკური პარტიის, ან რომელიმე სხვა პოლიტიკური ძალის მსხვერპლად გაღება, ღმერთი იყოს ამაში მათი შემწე“, – აღნიშნა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა.

თვით პაატა ზაქარეიშვილი არ ფიქრობს „იატაკქვეშეთში“ გადასვლას. „იმ ადამიანებს, რომლებიც ღალატში მადანაშაულებენ, როგორც ჩანს, საერთოდ არ მოუსმენიათ რაზეც ვილაპარაკე „რუსთავი-2“ ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში. ერთი სიტყვაც არ დამცდენია იმაზე, თითქოს დაკავებული სტუდენტები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტები ყოფილიყვნენ. საქმე ეხებოდა, საერთოდ, საქართველოს სპეცსამსახურების მოქმედებას გალის რაიონის ტერიტორიაზე – ქართულ სოფლებში ვითარების ხელოვნური დესტაბილიზაციის მცდელობას, ადგილობრივი მოსახლეობის დაშანტაჟებას, პროკლამაციებს, რომლებშიც ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ აფხაზთა არჩევნებში, მოღალატეებად იყვნენ გამოცხადებული, მუქარით აღსავსე სატელეფონო ზარებს. ყოველივე ეს ნამდვილად იყო, და მე მზად ვარ პასუხი ვაგო ჩემი სიტყვებისთვის, – თქვა ზაქარეიშვილმა. – და ის, რომ ახლა ჩემს წინააღმდეგ ააგორეს ასეთი სასტიკი კამპანია, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მართალი ვარ. ხელისუფლებას, უბრალოდ, ეშინია ოპოზიციის, რომელიც ახლა მნიშვნელოვნად იმტკიცებს თავის პოზიციებს“. ზაქარეიშვილის თქმით, „ხელისუფლებას დიდად არ ედარდება აფხაზეთში დაკავებული სტუდენტების ბედი, რადგან მისთვის უმთავრესი ამოცანაა ის, რომ „თავისი ადგილი მიუჩინოს“ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს“.

**ანატოლი გორდიენკო**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# თემა

● ბაბუშერის აეროდრომსაც და სოხუმის რკინიგზის სადგურსაც მალე გაყიდიან. სეპარატისტთა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ რუსეთის ერთ-ერთი სატელევიზიო არხიდან შეამზადა ნიადაგი აეროპორტის გასაყიდად – რუსეთმა მისი აღდგენისთვის დიდძალი თანხა გაიღოო

⊙ იყიდება საქართველო

# ბიზნესი პოლიტიკური მდგრადობის ბარომეტრია

## სოხუმის სანატორიუმი „გრუზია“ სომხების ხელშია

**ე. წ. „აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმი“ რა ხანია აშკარად დაუპირისპირდა დე ფაქტო ხელისუფლებას ფაქტობრივად გასაიდუმლოებული პრივატიზების, მნიშვნელოვანი ობიექტების ჩალის ფასად გაყიდვის გამო და ამას აფხაზეთის ნაციონალური უსაფრთხოებისთვის საშიშიც კი უწოდა.**

სახელდობრ, გასაიდუმლოებულია მყიდველთა ვინაობა და მათი კაპიტალის წარმოშობის წყაროები; ყველაფერი ღია აუქციონების გარეშე იყიდება. სანატორიუმი „მოსკოვი“ და ბიჭვინთის თევზკომბინატი აფხახეთის ორი თვის ბიუჯეტის ფარდ თანხად გაუყიდიათ. ასევე მიჩუმათებულად ყიდიან მიწებს ყველაზე პრესტიჟულ და პერსპექტიულ ადგილებში. არის საშიშროება, რომ ზღვის სანაპიროს დიდი ნაწილი უცნობი ე.წ. ინვესტორების ხელში აღმოჩნდესო.

ხელისუფლების ასეთმა პოლიტიკამ, შესაძლოა, აფხაზები სამშობლოში რეზერვაციებში გამოამწყვდიოსო, ვიშვიშებს ფორუმი.

რაღა თქმა უნდა, დე ფაქტო ბატონები გვარიანად ითბობენ ხელს ასეთი პრივატიზებით – თუმცა უმნიშვნელოვანეს ობიექტებს ლამის სიმბოლურ ფასებად ყიდიან, ახალ მეპატრონეთ მოგების 15-პროცენტიან წილებში უჯდებიან.

ისე, ყველაფრის გაყიდვასა და ყველას წილში ჩაჯდომაში სეპარატისტებს მაინც ჩვენები ჯაბნიან. და იმათი ლოზუნგი – „გაიყიდოს ყველაფერი, რაც იყიდება“, ბატონ ბენდუქიძის ცნობილი გამონათქვამის ასლია და სხვა არაფერი. მღვრიე წყალში თევზი ბლომად მოდის გნებავთ, სეპარატისტულ აფხაზეთსა თუ ოსეთში, გნებავთ, დანარჩენ საქართველოში. უმთავრესი კი ესაა – იქაც და აქაც საქართველოს მიწა-წყალი, ქართული დოვლათი, ქართული კულტურა იყიდება.

მოგეხსენებათ, მადა ჭამაში მოდის. მართლაც უძიროა ზოგი კაცის კუჭი, ვერაფრით ამოუყორავს სტომაქს. სეპარატისტებმაც ზემოჩამოთვლილთ კიდევ 100 გასაყიდი ობიექტი მიუმატეს, რომელთაგანაც, მათი ანგარიშით, 19 ე.წ. რესპუბლიკური მნიშვნელობისაა. სოხუმი, გაგრა, გუდაუთა, ოჩამჩირე – გეოგრაფიაც დაცულია. რიწის ტბა დაბინძურებულია, მის



ირგვლივ მდებარე სასტუმროების კომპლექსი კი გაყიდული. სეპარატისტების ძირითადი შემოსავალი ტურიზმია. ყველაზე მეტი ფული იქიდან შესდით და მომავალში სულ უფრო და უფრო მეტი შეუვათ. ჰოდა, ეს ყველაზე შემოსავლიანი საქმე, მამის – ვლადისლავის „ერისა და სამშობლოს“ წინაშე დამსახურებათა გამო, მისი შვილისთვის მადონა არძინბასთვის მიურთმევიათ ხონჩით – ინებე და ცოტა-ცოტა ჩვენც ჩამოგვიჭერიო.

ყველაზე მეტი მყიდველი რუსეთიდან და სომხეთიდან ჰყავთ, მაგრამ ზოგი გონიერი აფხაზი სრულიად საფუძვლიანად ეჭვობს, რომ რუსული ფირმების მიღმაც, ძირითადად, სომხები დგანან.

ბაბუშერის აეროდრომსაც და სოხუმის რკინიგზის სადგურსაც მალე გაყიდიან. სეპარატისტთა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ რუსეთის ერთ-ერთი სატელევიზიო არხიდან შეამზადა ნიადაგი აეროპორტის გასაყიდად – რუსეთმა მისი აღდგენისთვის დიდძალი თანხა გაიღოო. ასე, ერთ თვეში კი აეროპორტი სავარაუდოდ, კომპანია „ადლერფლოტისა“ იქნება.

რკინიგზის სადგურს რომელიღაც სომხურ-რუსული კომპანია ყიდულობს. თუმცა, ადლერიცლამის გასომხებულია და ზოგი წინდახედული აფხაზი ისევ და ისევ სრულიად საფუძვლიანად შიშობს, რომ „ადლერფლოტიც“ სომხური კომპანიაა.

რატომ ეშინიათ ასე სომხების კაპიტალისა? იმიტომ, რომ სეპარატისტულ აფხაზეთში თითქმის მთელ ფინანსებს სწორედ სომხები განაგებენ და ისინი, აფხაზთავე ჩივილით, უკვე რიცხობრივად სჭარბობენ მათ. რუსული კომპანიების მიღმაც რომ ძირითადად სომხები დგანან, ამიტომ ეწინააღმდეგებოდა ბაღაფში მათს მოძალებას.

აგერ, სასტუმრო „გრუზიაც“ სომეხთა ხელშია.

თურქეთსაც, თურმე, აფხაზეთის დიდი ინტერესი ჰქონია. ჯერჯერობით უცნობია, შეიძინეს რამე ან რაიმეში თუ დააბანდეს ფული იქ თურქმა ბიზნესმენებმა, მაგრამ ნათქვამია, თაფლი იყოს, ბუზი ბაღდადიდან მოვაო.

ჩვენმა ხელისუფლებამ, პირადად პრეზიდენტმა მრავალჯერ ერთობ თავდაჯერებულად განაცხადეს, სეპარატისტულ რეგიონებში რაიმეს შეძენა ან რაიმეში ფულის დაბანდება უკანონობაა და ის თანხები პატრონებისთვის უცილობლად დაკარგულიაო. ანუ, როცა აფხაზეთს დავიბრუნებთ, ყველა ასეთი გარიგება გაუქმდება და საწყისი მდგომარეობა დაბრუნდება.

ამ ქადილის მიუხედავად, სეპარატისტულ აფხაზეთში მაინც ყიდვა-გაყიდვის ბუმია. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროსაც 25-წლიანი იჯარითა აქვს აღებული სანატორიუმი „არმენია“. ზოგი სარწმუნო წყაროს ცნობით, ცნობილ რუს ბიზნესმენებსა და პოლიტიკოსებსაც აფხაზეთში მსუყე-მსუყე ნაჭრების კაპიკებად დასათრევად ტაციობა აქვთ.

მაშ, საქართველოს ხელმძღვანელობის თავდაჯერებულობა აინუნშიც არ მოსდით. ანგარიშს რომ უწევდნენ, გიჟები ხომ არ არიან, ფული გადაყარონ?! ბიზნესი ხომ პოლიტიკური მდგრადობის ბარომეტრია – არც ერთი საქმის კაცი არ ჩადებს ფულს ისე, თუ მყარი გარანტიები არ ექნა.

ჰოდა, იყიდება საქართველოს მიწა-წყალი და ეს ისევ და ისევ ჩვენი თავში სახლელი იქნება.

**კონსტანტინე გურგენიძე**

# მოკლედ

**ნატო-რუსეთის ოსლოს სამიტი გახდება მოსამზადებელი ღონისძიება ეგრეთ წოდებული „დიდი რვიანის“ სამიტისთვის. ნორვეგიის დედაქალაქში ხუთშაბათს გაიხსნა ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა, აგრეთვე დაიწყო ნატოს წევრი-ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. ოსლოში რუსეთს მიეცემა კიდევ ერთი შანსი იმისთვის, რომ ხელს თუ ვერ შეუშლის ამერიკელთა გეგმებს პოლონეთსა და ჩეხეთში ახალი სარაკეტო თავდაცვის სისტემების განლაგების თაობაზე, დაამუხრუჭოს მაინც ეს პროცესი.**

* * *



**შეერთებულ შტატებში, ატლანტის ოკეანეში Connecticut წყალქვეშა ნავიდან გაუშვეს Tomahawk Blok III ტიპის ფრთოსანი რაკეტა, რომელმაც ათას კილომეტრზე მეტი იფრინა და ზუსტად მოხვდა დასახულ სამიზნეს. ამ რაკეტის თავისებურებაა ის, რომ იგი აღჭურვილია სათვალთვალო დამიზნების სისტემის GPS საფუძველზე – სამიზნიდან გადახრა ერთ მეტრს არ აღემატება.**

* * *

**ბენ-ლადენი ცოცხალია და ამზადებს ტერორისტულ აქტებს ერაყსა და ავღანეთში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ გამოჩენილა „ალ-ყაიდას“ მეთაურის ვიდეომიმართვები, რის გამოც გავრცელდა ხმები, თითქოს იგი მოკლეს. მაგრამ ახლა „თალიბანის“ მოძრაობის ლიდერი ამტკიცებს, რომ სწორედ ბენლადენმა გასცა ბაგრამის ამერიკულ სამხედრო ბაზაში აფეთქების განხორციელების ბრძანება მაშინ, როცა ავღანეთში ვიზიტად იმყოფებოდა შეერთებული შტატების პრეზიდენტი დიკ ჩეინი.**



№ 80. პარასკევი, 27 აპრილი, 2007 წელი.

⊙ განსჯა

# სახელმწიფოს ფსიქოთერაპიული ფუნქცია

**ფსიქოთერაპიის დანიშნულება სულ უბრალოა: მიანიჭოს ადამიანს ოპტიმიზმის მაგიური ძალა, სიკეთე და სიმხნევე. იგი სიკეთის მეცნიერებაა.**

თუ ადამიანი კეთილია, იგი უკვე ფსიქოთერაპევტია. ასეთი ადამიანები ფსიქოლოგიური ზეგავლენით და განწყობის შექმნით კარგად მოქმედებენ ფსიქიკაშეცვლილ ადამიანებზე და ემოციების გაძლიერებით უზრუნველყოფენ სტაბილური გარემოს შექმნას და არა მარტო ცალკეული ინდივიდისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვისაც კი.

პირველი ფსიქოთერაპევტი საზოგადოებისთვის – ეს სახელმწიფოა, მისი იდეოლოგია და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი. მეორე – ეს ადამიანია, პიროვნება მისი მორალით და ქცევით. თუ სახელმწიფოსა და ადამიანთა უმეტესობის იდეები თანხვედრაშია, მაშინ „ადამიანი-სახელმწიფოს“ ერთიანი ცნება კარგად იმუშავებს და საზოგადოების ჯანმრთელობაც უმჯობესდება. სახელმწიფოს იდეოლოგია პირველ რიგში კანონიერებასაც გულისხმობს.

ყოველგვარი უკანონობა ისევე ანგრევს ადამიანის ფსიქიკას და აჩლუნგებს ერს, როგორც დედამიწაზე ყველაზე უფრო გავრცელებული ნარკოტიკი – თამბაქო. ერთ-ერთ ძირითად უკანონობად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივი ქონების უთანასწოროდ განაწილება ე. წ. „ბრმა პლუტოსობა“ (ბერძნებმა სიმდიდრის ღმერთი – პლუტოსი ბრმად გამოსახეს ქანდაკებაში, რადგან იგი სიმდიდრეს არასწორად ანაწილებდაძ. დაუშვებელია პროფესორს ჰქონდეს პენსია 48 ლარი, რომელიც მას ელექტროდენის გადასახადად არ ყოფნის და „თელასის“ მოხელეს – 2000 ლარი. არიან სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც ასტრონომიული სიდიდის შემოსავლები აქვთ, სახელმწიფო მათ უდიდეს ხელფასებს უხდის.

ჯერ ჩვენი ქვეყანა არ მისულა განვითარების იმ დონემდე, რომ ასეთი სიმდიდრე დავაკანონოთ ერთი მუჭა ხალხისათვის. ნეტავ ყველა მდიდარი იყოს და შეიქმნას ის სამოთხე, რაც დიდი ხანია დევს ჩვენს თავის ტვინში, ნეტავი დაჩრდილოს მან ის ჯოჯოხეთი, რომელიც ასევე სოლივით შეჭრილა ჩვენს ფსიქიკაში, მაგრამ შევძლებთ კი ამას ადამიანის მორალზე ზეწოლით, ადამიანის დამცირებით და გაუსაძლისი პირობების შექმნით?

ვინ არიან ეს დამცირებული ადამიანები? იკითხავს უმეცარი ჩინოვნიკი, თუმცა ბევრმა ეს კარგად იცის. ესენი არიან პედაგოგები, პროფესორ-მასწავლებლები, პენსიონერები, მუშები, გლეხობა და ა. შ., არაფერს ვამბობ მოსწავლე-ახალგაზრდობაზე, რომლებიც ნიჰილიზმის მარწუხებში არიან მოქცეული. ყველაფერი ეს სოციალურ-ეკონომიკური პირობების, არასწორად გაგებული თავისუფლების, აღზრდისა და სწავლის სფეროების დეფექტების შედეგებია და, რაც მთავარია, სახელმწიფოს მიერ უკონტროლობითა და საზოგადოების მიმართ გულგრილობითაა გამოწვეული.

დააკვირდით ადამიანთა ქცევას ქუჩაში და ადვილად მიხვდებით, თუ რა დეგრადაციას განიცდის ჩვენი ფსიქიკა. ის ხალხი, რომელიც პაპიროსის ნამწვავებს ან ნაყინის შესახვევ ქაღალდს პირდაპირ ქუჩაში ყრის და საზოგადოება, რომელიც მას ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევს, ვერავითარ კეთილდღეობას ვერ შექმნიან. ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები სჭირდება როგორც ჩვენს ხელისუფლებას, ასევე საზოგადოების დიდ ნაწილს. იმათი ხშირი დიალოგი ხანდახან, ვისაც ამის უფლება აქვს – ესაა ერთ-ერთი გამოსავალი შექმნილი მძიმე სიტუაციიდან. თუ ჩვენი ხელისუფლება და საზოგადოება არ დაადგებიან ქრისტესმიერ გზას, მომავალი არ გვექნება.

**მამია მდინარაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ფსიქოთერაპიის მოდულის ხელმძღვანელი.**

# დღევანდელობა

გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე კობა დავითაშვილმა ინტელიგენციას, პოლიტიკურ პარტიებსა და ახლად შექმნილი „ქართული აკადემიის“ წევრებს ხვალისთვის დაგეგმილ აქციაზე მისვლისკენ და პოზიციის გამოხატვისკენ მოუწოდა



**ინფორმაცია**

## ოპოზიცია და ინტელიგენცია უნდა გაერთიანდნენ

**„ხალხის პარტიის“ ლიდერი კობა დავითაშვილი ოპოზიციურად განწყობილ პარტიებსა და ინტელიგენციას გაერთიანებას მოუწოდებს.**

გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე კობა დავითაშვილმა ინტელიგენციას, პოლიტიკურ პარტიებსა და ახლად შექმნილი „ქართული აკადემიის“ წევრებს ხვალისთვის დაგეგმილ აქციაზე მისვლისკენ და პოზიციის გამოხატვისკენ მოუწოდა.

როგორც მან აღნიშნა, დროა, საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი ერთ პლატფორმაზე დადგნენ და ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვიტონ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები.

## უთუოდ ბალათურიას უნდა დაერეკა?

**„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბალათურია ვარკეთილში მოსახლეობას შეხვდა და პარლამენტის წინ დაგეგმილ აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდა.**

ჯონდი ბალათურიამ ჟურნალისტებისთვის განცხადებაც გააკეთა. მისი თქმით, მათი მიზანია, გააერთიანონ ქვეყანა, პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოება, რადგან მხოლოდ გაერთიანებულ ძალას შეუძლია დაძლიოს და აღმოფხვრას ქვეყანაში არსებული პრობლემები.



მისივე თქმით, გრძელდება მოლაპარაკებები საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციასთან. როგორც ბალათურიამ აღნიშნა, აქციაში მონაწილეობის სურვილი საპარლამენტო ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელმა უკვე გამოთქვა.

ამასთან, „ქართული დასის“ ლიდერს „03“-ის გამოძახებაც დასჭირდა. მას ერთ-ერთი ჯიხურის მეპატრონემ შესჩივლა, რომ მოქალაქე ცუდად იყო, იგი პირდაპირ ტროტუარზე იწვა და გონს მოსაყვანად იქ მყოფნი წყალს ასხამდნენ.

მოქალაქეთა განცხადებით, „03“ ნახევარი საათის წინათ გამოიძახეს, თუმცა ექიმთა ბრიგადა არ ჩანდა. ბალათურიას დარეკვის შემდეგ „03“ შემთხვევის ადგილზე მალე მივიდა და მოქალაქე საავადმყოფოში გადაიყვანეს.

## სავალდებულო სამხედრო სამსახური გაუქმდება

**2009 წლის შემდეგ საქართველოში სავალდებულო სამხედრო სამსახური გაუქმდება და შეიარაღებული ძალების სისტემა მთლიანად საკონტრაქტო პირობებზე გადავა.** ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსმა ნოდარ ხარშილაძემ „შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის“ კონფერენციაზე განაცხადა.

ამ დროისთვის საქართველოში ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობით რეზერვისტთა ბატალიონები შეიქმნება.

„2007 წელს საქართველოს ყველა რეზერვისტი 18-დღიან სამხედრო მომზადებას გაივლის. 2008 წელს სამხედრო სპეციალისტები მათ გადამზადებას უზრუნველყოფენ, ხოლო 2009 წელს გამოკვეთილი ლიდერები 10-დღიან საშტაბო წვრთნას გაივლიან, რის შედეგადაც 2008-2009 წლებში საქართველოში რეზერვისტთა ბატალიონები ჩამოყალიბდება“, - აღნიშნა ეროვნული გვარდიის სარდალმა ნიკა ჯანჯღავამ.

## რუსი სამხედროები დაიღუპნენ

**აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტყვარჩელის რაიონში, ჯავშანტრანსპორტიორში მომხდარი აფეთქების შედეგად, ორი რუსი სამშვიდობო დაიღუპა.**

მძიმედ დაშავდა კიდევ ოთხი ჯარისკაცი, რომლებიც სოხუმის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ჯარისკაცები არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ჯავშანტრანსპორტიორში ხელყუმბარა აუფეთქდათ.

## გაფართოვდება თუ არა ბათუმის საზღვრები?

**ბათუმელი „რესპუბლიკელები“ ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციული საზღვრების გაფართოებასთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის შემადგენლობას აპროტესტებენ.**

მათი განცხადებით, კომისია არაკომპეტენტურია და იგი, ექსპერტების ნაცვლად, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისგან არის დაკომპლექტებული.

„რესპუბლიკელები“ ხელვაჩაურის მოსახლეობას მოუწოდებენ, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა გამოკითხვაში, რომელსაც ეს კომისია ჩაატარებს და მხარი არ დაუჭირონ ბათუმის საზღვრების გაფართოებას მათი საკუთრების ხარჯზე.

მათ ეჭვი აქვთ, რომ ქალაქის ადმინისტრაციული საზღვრების ფუნქცია ისე გაიზრდება, რომ ხელვაჩაურის რაიონში მცხოვრები გლეხების საკუთრების უფლება დაცული არ იქნება.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

# განჩინება

## გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

**25 აპრილი 2007 წელი, ქ.წყალტუბო**

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლერი თედორაძემ ერთპიროვნულად განვიხილე სს „ავტოტრანსპორტის“ დირექტორის განცხადება, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

**დაადგინე:**

1. გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება სს „ავტოტრანსპორტის“ მიმართ 2007 წლის 25 აპრილს, 12 საათზე.
2. სს „ავტოტრანსპორტის“ გაკოტრების მმართველად დაინიშნოს თენგიზ ბუდუს ძე ხარატიშვილი, მცხოვრები ქ. წყალტუბოში, შანიძის ქუჩა №4 ა, დაბადებული 1958 წლის 20 ივნისს, ცოლშვილიანი, პროფესიით ეკონომისტი.
3. მოვალეს სს „ავტოტრანსპორტს“ აეკრძალოს თავისი ქონების მართვა, განკარგვა და აღნიშნული უფლების განხორციელება გადაეცეს სს „ავტოტრანსპორტის“ გაკოტრების მმართველს.
4. სს „ავტოტრანსპორტის“ კრედიტორებს დაევალოთ 2007 წლის 25 მაისამდე, წარუდგინონ წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები სს „ავტოტრანსპორტის“ მიმართ შესაბამის ვალუტაში თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით. ეცნობოთ სს „ავტოტრანსპორტის“ კრედიტორებს, რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.
5. დაევალოს ყველა იმ პირს, რომელსაც ვალაუვალი მოვალის ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, 2007 წლის 25 მაისამდე განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ.
6. ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს ვალაუვალი მოვალის ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმე შესრულებაზე, აეკრძალოს ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება მოვალის მიმართ და დაევალოს შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ.
7. მოწვეულ იქნას სს „ავტოტრანსპორტის“ კრედიტორთა პირველი კრება 2007 წლის 25 მაისს 12 საათზე, წყალტუბოს რაიონული სასამართლოს შენობაში, მისამართზე: ქალაქი წყალტუბო, შანიძის ქუჩა №1.
8. სასამართლოს მიერ სს „ავტოტრანსპორტის კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების მიზნით 2007 წლის 28 მაისს 12 საათზე, მოწვეულ იქნას კრედიტორთა კრება წყალტუბოს რაიონული სასამართლოს შენობაში, მისამართზე: ქალაქი წყალტუბო, შანიძის ქუჩა №1.
9. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. იძულებითი სააღსრულებო წარმოება გადაეცეს გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს.
10. ამ განჩინების ასლები გადაეგზავნოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც სს „ავტოტრანსპორტს“ აქვს საქმიანი ურთიერთობა, ხოლო აღნიშნულის უზრუნველყოფა დაევალოს სს „ავტოტრანსპორტის“ გაკოტრების მმართველს.
11. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ადგილობრივ გაზეთში.
12. განჩინების ასლები გადაეგზავნოს: იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურს, კავშირგაბმულობის წყალტუბოს განყოფილებას, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას, სამეწარმეო რეესტრს.
13. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, ამავე სასამართლოში 12 დღის ვადაში მისი გამოქვეყნებიდან.

**მოსამართლე: ლერი თედორაძე**

# განჩინება

## გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

**12 აპრილი 2007 წელი, ქ.წყალტუბო**

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლერი თედორაძემ ერთპიროვნულად განვიხილე, სს „ვარციხეჰესების კასკადის“ დირექტორის განცხადება, გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

**დაადგინე:**

1. გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება სს „ვარციხეჰესების კასკადის“ მიმართ 2007 წლის 12 აპრილს, 12 საათზე.
2. სს „ვარციხეჰესების კასკადის“ გაკოტრების მმართველად დაინიშნოს პავლე ვარლამის ძე კიკალიშვილი, მცხოვრები ქ.წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩა №18/20, დაბადებული 1950 წლის 19 აგვისტოს, ცოლშვილიანი, პროფესიით ეკონომისტი.
3. მოვალეს სს „ვარციხეჰესების კასკადს“ აეკრძალოს თავისი ქონების მართვა, განკარგვა, და აღნიშნული უფლების განხორციელება გადაეცეს სს „ვარციხეჰესების კასკადის“ გაკოტრების მმართველს.
4. სს „ვარციხეჰესების კასკადის“ კრედიტორებს დაევალოთ 2007 წლის 12 მაისამდე, წარუდგინონ წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები სს „ვარციხეჰესების კასკადის“ მიმართ შესაბამის ვალუტაში თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით. ეცნობოთ სს „ვარციხეჰესების კასკადის“ კრედიტორებს, რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.
5. დაევალოს ყველა იმ პირს, რომელსაც ვალაუვალი მოვალის ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, 2007 წლის 12 მაისამდე განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ.
6. ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს ვალაუვალი მოვალის ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმე შესრულებაზე, აეკრძალოს ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება მოვალის მიმართ და დაევალოს შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველის მიმართ.
7. მოწვეულ იქნას სს „ვარციხეჰესების კასკადის“ კრედიტორთა პირველი კრება 2007 წლის 12 მაისს 12 საათამდე, წყალტუბოს რაიონული სასამართლოს შენობაში, მისამართზე:ქალაქი წყალტუბო, შანიძის ქუჩა №1.
8. სასამართლოს მიერ სს „ვარციხეჰესების კასკადის“ კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების მიზნით 2007 წლის 15 მაისს 12 საათზე მოწვეულ იქნას კრედიტორთა კრება წყალტუბოს რაიონული სასამართლოს შენობაში, მისამართზე: ქალაქი წყალტუბო, შანიძის ქუჩა №1.
9. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. იძულებითი სააღსრულებო წარმოება გადაეცეს გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს.
10. ამ განჩინების ასლები გადაეგზავნოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც სს „ვარციხეჰესების კასკადს“აქვს საქმიანი ურთიერთობა, ხოლო აღნიშნულის უზრუნველყოფა დაევალოს სს „ვარციხეჰესების კასკადის“ გაკოტრების მმართველს.
11. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ადგილობრივ გაზეთში.
12. განჩინების ასლები გადაეგზავნოს: იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურს, კავშირგაბმულობის წყალტუბოს განყოფილებას, ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას, სამეწარმეო რეესტრს.
13. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, ამავე სასამართლოში 12 დღის ვადაში მისი გამოქვეყნებიდან.

**მოსამართლე: ლერი თედორაძე**

# სპორტი

● ადამიანის სიცოცხლეს, როგორც ყველა ცოცხალი არსების ცხოველმოქმედებასა და ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებს, ფიზიკური აქტივობა (მოძრაობა) წარმართავს



◎ სამბო

## პლოვდივი უმასპინძლებს

**მომავალ შაბათ-კვირას ბულგარეთის ქალაქი პლოვდივი სამბისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრების შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ გუნდის შემადგენლობა დაასახელა.** კონტინენტის პირველობაზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ **უშანგი კუზანაშვილი** (საგარეჯო, 52 კგ), **ავთანდილ ცინცაძე** (თბილისი, 57კ), **დავით სიმონიშვილი** ( საგარეჯო, 62კ, **გელა სანიკიძე** ( ქუთაისი, 68კ, **დავით შენგელია** (ფოთი, 74კ, **ნიკო კუცია** (ფოთი, 82კ, **მინდია ბოდაველი** ( თბილისი, 90კ, **მირიან პავლიაშვილი** (მცხეთა, 100კ, **ზვიად ჩინჩალაძე** ( რუსთავი, მძიმე წონაკ.

შარშან ჩვენმა ჭოხიანმა ფალავნებმა ევროპის ჩემპიონატზე 4 მედალი მოიპოვეს, წლეულსაც 4-5 ჯილდოს გეგმავენ. საგულისხმოა, რომ ფედერაციის გადაწყვეტილებით, პლოვდივში გამარჯვებულ ყოველ სპორტსმენს 2000 ლარი გადაეცემა.

◎ დაფასება



## ნეტავ ხშირად მოეწყოს

**გალერეა „კოპალამ“ ამ დღეებში საინტერესო ფოტოკონკურსს უმასპინძლა – დამთვალიერებელთა სამსჯავროზე რეპორტიორებმა 13-13 საუკეთესო ნამუშევარი გამოიტანეს, რომელთაგან ათ-ათი 2005 წელსა და შემდგომ პერიოდში გადაიღეს.**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის (დავით ნამგალაურიკ ინიციატივით გამართულ ღონისძიებაში „ქართული სპორტის“ ძველი და ახალი გვარდიის 17 ფოტოხელოვანი მონაწილეობდა. გთავაზობთ მის შედეგებს:

**I პრემია ( 700 ლარიკ – ბადრი კეთილაძე („სარბიელი“კ.**
**II პრემია ( 500 ლარიკ – ზურაბ გენგიური („ოლიმპი“კ.**
**III პრემია ( 300 ლარიკ – ნუგზარ სუარიძე („ლელო“კ.**

ნომინაციაში „ფოტო წარსულიდან“ დამატებითი პრემია ( 500 ლარიკ გადაეცა **ალექსანდრე კოტორაშვილს**. გილოცავთ, კოლეგებო!

◎ ორბიტაზე

## ჭკვიანი მანქანების ორთაბრძოლა

**ის ელისტაში გაიმართება 6-დან 12 ივნისამდე და ერთმანეთს დაუპირისპირდება მსოფლიოში ორი უძლიერესი „მოჭადრაკე“ – მსოფლიო ჩემპიონი კომპიუტერებს შორის Deep junior და პროგრამა Deep Fritz, შარშან ადამიანთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ვლადიმერ კრამნიკი რომ დაამარცხა.**

ეს მატჩი ფიდეს პრეზიდენტის კირსან ილიუმჟინოვის სპონსორობით ჩაივლის და მისი საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარი იქნება, საიდანაც გამარჯვებულს 60 ათასი ერგება, დამარცხებულს კი – 40 ათასი.

დაგეგმილია „ჭკვიანი მანქანების“ პაექრობის ელისტის მთავრობის სასახლეში გამართვა. სწორედ ამავე დროს „სწრაფი ჭადრაკის“ საშუალებით (პარტიისთვის 75 წუთი, პლუს 5 წამი თითოეული სვლისთვისკ ექვს პარტიაში გაირკვევა მსოფლიო გვირგვინისთვის ბრძოლაში ვლადიმერ კრამნიკის მეტოქეები.

მოელიან, რომ ძალზე უკომპრომისო ბრძოლები გაიმართება!



◎ ფეხბურთი

## შინ და გარეთ

**ჩემპიონთა ლიგის ბრიტანულ ნახევარფინალურ წყვილში უმთავრესი მოურინიუ-ბენიტესის ტაქტიკური დუელი გახლავთ. კაცმა არ იცის, ორრაუნდიან ბრძოლაში რომელი მიაღწევს საბოლოო წარმატებას, მაგრამ ის უნდა ვაღიაროთ, რომ „სტემფორდ ბრიჯზე“ „ჩელსიმ“ დამსახურებულად გაიმარჯვა – 1:0 (ჯო კოულიკ.**

ტრავმირებული ბალაკისა და რობენის, აგრეთვე დისკვალიფიცირებული ესიენის არყოფნაში, „არისტოკრატთა“ ლიდერობა დროგბამ იტვირთა და, ტრადიციისამებრ, მშვენივრად შეასრულა პირველი ვიოლინოს ფუნქცია. სწორედ მისი უშუალო მონაწილეობით გათამაშდა როგორც საგოლე, ისე რამდენიმე სახიფათო კომბინაცია.

რაც შეეხება „ლივერპულს“, მის ჭეშმარიტ შესაძლებლობებში, ალბათ, კიდევ ერთხელ 1 მაისს დავრწმუნდებით, როცა მეტოქენი „ენფილდზე“ შეეხმებიან ერთმანეთს.

* * *

**დღეს საქართველოს სტადიონებზე გაიმართება XVIII ეროვნული ჩემპიონატის XXII ტურის შეხვედრები. 16 საათზე ითამაშებენ:**

„ბორჯომი“ – „სიონი“, „ტორპედო“ – „კახეთი“, „ამერი“ – „ზესტაფონი“, „დილა“ – „ლოკომოტივი“, „დინამო“ – „მერანი“, „ბათუმი“ – „ოლიმპი“, „ჩიხურა“ – „ვიტ ჯორჯია“.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

◎ ჩოგბურთი

## უიმბლდონი მდიდრდება

**უფრო სწორად, 10 პროცენტით გადიდდა და 11 მილიონ 182 ათას 710 გირვანქამდე მიაღწია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირის „უიმბლდონის“ საპრიზო ფონდმა.** თანაც როგორც ქალთა, ისე კაცთა ერთეულებს შორის გამარჯვებული ერთნაირად მიიღებს 700 ათას გირვანქა სტერლინგს (დაახლოებით 1,4 მილიონ დოლარსკ.



◎ ცხოვრების ჯანსაღი წესი

## სადაც არ არის მოძრაობა, არც სიცოცხლეა!



**ცნობილია, რომ ადამიანის სიცოცხლეს, როგორც ყველა ცოცხალი არსების ცხოველმოქმედებასა და ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებს, ფიზიკური აქტივობა (მოძრაობაკ წარმართავს. მოძრაობის შეზღუდვა, ანუ უმოქმედობა ეწინააღმდეგება სიცოცხლის დინამიური დაცვის პრინციპებს, უფრო კონკრეტულად, ბუნების მიერ დაწესებულ ბიოლოგიურ (ევოლუციურკ კანონებს.**

ჩვენ – ადამიანებს მუდმივად უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური აქტივობა ბუნების მიერ დაკანონებული ბრძანების შესრულების მოთხოვნილებაა: მისი შესრულება კი აუცილებელია ნებისმიერი ადამიანისათვის, რა თქმა უნდა, ასაკის, სქესის და ჯანმრთელობის ხარისხის გათვალისწინებით. ცნობილი რუსი ფიზიოლოგი ი.არშავსკი სამართლიანად მიანიშნებდა: „ადამიანი მოძრაობითა და განვითარებით ქოქავს თავისი ცხოვრების საათს...“

ადამიანის მოძრაობითი აქტივობა ყოველთვის იყო, არის და იქნება მისი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირება-განვითარების აუცილებელი პირობა. არისტოტელეს შეხედულებით: „ადამიანის ორგანიზმს ისე არაფერი ცვეთს და არღვევს, როგორც ხანგრძლივი ფიზიკური უმოქმედობა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მოძრაობითი აქტივობის სრული გამოთიშვა ან მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვა ადამიანის ორგანიზმზე დამღუპველად ზემოქმედებს“.

სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა ერთ რამეს ვერ აცნობიერებს, იმას, რომ ყოველი მათგანის ჯანმრთელობა მათ პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული და ორგანიზმს, დაწყებული აკვნის პერიოდიდან და დამთავრებული სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა სჭირდება.

ადამიანებს უნდა ახსოვდეთ ის, რომ მათი ჯანმრთელობა იწყება არა დაბადების პირველი წუთებიდან, არამედ, ჯერ კიდევ ნაყოფის ჩასახვამდე, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მათი ბიოლოგიური მშობლების ჯანმრთელობასთან და წინაპრების გენეტიკურ კოდთან.

ნებისმიერ ადამიანს, დედის მუცლადყოფნის პერიოდშიც კი, საშიშროებას უქმნის ჰიპოდინამია, ანუ კუნთური უმოქმედობა. იმ ორსულ სპორტსმენებზე დაკვირვებამ, რომლებიც წვრთნას გადიოდნენ ცურვაში, მეცნიერებს მისცა საშუალება, დაედგინათ მნიშვნელოვანი ფაქტი: სპორტსმენი დედების ბავშვები ბევრად უფრო ადრე იწყებდნენ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, ვიდრე არანავარჯიშები დედების შვილები.

გამოკვლევებით დავადგინეთ, რომ ახალშობილთა ყოველდღიური გამაჯანსაღებელი პროცედურები (მასაჟი და ტანვარჯიშიკ ხელს უწყობდა მათი სხეულის სიგრძეში ზრდასა და კუნთური მასის მომატებას, რაც შემდგომში განაპირობებდა ბავშვის ორგანიზმის ადაპტირების გაუმჯობესებას გარემოში არსებულ არახელსაყრელ პირობებთან. ის დადებითად ზემოქმედებდა ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ნავარჯიშები ბავშვები გაცილებით ადვილად ექვემდებარებოდნენ აღზრდის პროცესს, სწრაფად უმუშავდებოდათ სწორი დინამიკური სტერეოტიპი და მყარად ინარჩუნებდნენ ორგანიზმის სტატიკურ და დინამიკურ ფუნქციებს (ცოცვა, ჯდომა, დგომა, სიარულიკ. ბავშვის ორგანიზმში დადებითი ძვრები მით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა, რაც უფრო ადრეული ასაკიდან (სიცოცხლის პირველივე დღეებიდანკ იყენებდნენ გამაჯანსაღებელ ფიზიკურ ვარჯიშებსა და მასაჟს.

იმ ახალგაზრდა ადამიანის ორგანიზმის, რომელიც აქტიურად არ მოძრაობს, ლაბორატორიული მონაცემები იდენტურია ხანდაზმული ადამიანის მონაცემებთან. მოძრაობით გაწვრთნილი ადამიანი ხანგრძლივად ინარჩუნებს შრომისუნარიანობას და შემოქმედებით აქტივობას, გააჩნია მეტად მაღალი ბიოენერგეტიკული მარაგი და ადვილად იტანს სხვადასხვა სახის სიძნელეებს, ვიდრე გაუწვრთნელი. ფიზიკური აქტივობა (მოძრაობაკ მაღალეფექტურია მაშინ, როცა ის შერწყმულია ჯანსაღი ცხოვრების წესთან და პიროვნების ნებელობის ხარისხთან.

ადამიანის ორგანიზმი თავისი ბუნებრივი არსით შექმნილია ისე, რომ იგი, რაც შეიძლება, მეტს უნდა მოძრაობდეს. ადამიანი, რომელიც ფიზიკურად სისტემატურად ვარჯიშობს ან კიდევ ასრულებს გარკვეულ კუნთურ მუშაობას (ბევრს დადის ფეხით, დარბის, ცურავს, მუშაობს ბაღში ან მინდორში...კ, თავისთავად იკაჟებს საკუთარ ორგანიზმს და თუ იმავე დროს ჰიგიენურ რეჟიმსაც იცავს (მაგალითად, ჭარბად არ იკვებება, არ ეტანება ალკოჰოლსა და თამბაქოს...კ, ყოველთვის ჯანსაღ მდგომარეობაშია.

ცნობილი ფრანგი კლინიცისტი ა.ტრუსო წერდა: „მოძრაობას, როგორც ასეთს, შეუძლია, თავისი მოქმედებით შეცვალოს ნებისმიერი სამკურნალო საშუალება, მაგრამ მთელი მსოფლიოს ყველა სამკურნალო საშუალებას არ შეუძლია, შეცვალოს მოძრაობის მოქმედება“.

მოძრაობა (განსაკუთრებით სირბილიკ ჯანმრთელობის შენარჩუნების უმოკლესი გზაა. სიარულიც – პირველი, მინიმალური ნაბიჯია ჯანსალი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად. ამის გამოძახილია ცნობილი კარდიოლოგის ვ. მეტელიცას მტკიცებულება: „...ის ადამიანები, რომლებიც სიარულს მთელი დღის განმავლობაში ერთ საათზე მეტს უთმობენ, გულის იშემიური დაავადებით 5-ჯერ უფრო ნაკლებად ავადდებიან, ვიდრე ისინი, ვინც ერთ საათზე ნაკლებს დადიან“.

ჩვენი თანამედროვე, ცნობილი კარდიოლოგი იგორ შხვაცაბაია დარწმუნებულია, რომ „იდეალში მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებულმა ფიზიკურმა დატვირთვებმა და რეჟიმმა – ყოველგვარი წამლების გარეშე – ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის გაჯანსაღებას, მის შესაძლებლობათა დიაპაზონის გაფართოებას და შემგუებლური, დამცველი „ბასტიონების“ გაძლიერებას.

**იგორ დოლიძე,**
**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი**

№ 80. პარასკევი, 27 აპრილი, 2007 წელი.

● საქართველოში მაცხოვრის ხატი დაბრძანებული იყო ფოთის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარში, ზუგდიდისა და ცაიშის ეკლესიებში. მეუფე გერასიმეს ლოცვა-კურთხევით ხატი დააბრძანეს ზუგდიდის წმ. ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში

◎ წიგნი

**არ ვიცი, მეყოფა თუ არა კომპეტენცია და ძალა, რომ ვისაუბრო იმ ნაშრომის შესახებ, რომელიც ახლა მაგიდაზე მიდევს და მოწიწებით ვკიდებ ხელს.**

**მონოგრაფიას „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია“ ჰქვია. მისი ავტორები არიან მამა-შვილი ვახტანგ და ნინო თორაძეები.**

**ერთი რამ კი ნამდვილად ვიცი: პროფესორმა ვახტანგ თორაძემ და ქალბატონმა ნინო თორაძემ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის შესწავლას თავიანთი სამეცნიერო მოღვაწეობის მთელი თუ არა, ნახევარი მაინც შეალიეს, და ამ შრომამ შედეგი გამოიღო — ქართველი კორიფეების კვალდაკვალ, კიდევ ერთხელ, შეიქმნა შევსებული და შედარებით დაზუსტებული ნაშრომი, რომელიც ყოველი მართლმადიდებლის ოჯახს უნდა ამდიდრებდეს.**

**ჩემს ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ ისეთი უაღრესად პატივცემული ადამიანები, როგორებიც არიან ნაშრომის რეცენზენტები, — რუსთავის მიტროპოლიტი, მეუფე ათანასე ჩახვაშვილი, ასოცირებული პროფესორი ზაზა აბაშიძე და პროფესორი ეკა ავალიანი.**

**არ ვიცი, როგორ დავიწყო და როგორ გავაგრძელო ამ წიგნზე საუბარი-მეთქი, მოგახსენეთ ეს-ესაა. ამიტომ სჯობს თვითონ ნაშრომის ერთ-ერთ ავტორს, პროფესორ ვახტანგ თორაძეს გავესაუბროთ.**

# საქართველოს ეკლესიის ისტორიას გვაცნობს

**— ბატონო ვახტანგ, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია არ არის ის თემა, რომელსაც ნებისმიერი ავტორი ხელის ერთი მოსმით დაძლევს... მე ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ავტორებმა ქართული ეკლესიის შესწავლას თავიანთი სამეცნიერო მოღვაწეობის მთელი თუ არა, ნახევარი მაინც შეალიეს-მეთქი...**

— შეიძლება ასეც ითქვას!... თანდათანობით, მისხალ-მისხალ ვაგროვებდით, ვეძებდით საჭირო ფაქტებსა და მონაცემებს და ბოლოს მივიღეთ ის, რაც მივიღეთ... თუმცა მე სრულებითაც არ მიმაჩნია, რომ საქმე დამთავრებულია! ღვთის შეწევნით, თუ საშუალება მოგვეცა, ქართული სულიერების ზღვა მასალაში ჯერ კიდევ ბევრი მარგალიტია ჩამალული და მათ ამობრწყინება უნდა... ჩვენ, რა თქმა უნდა, პრეტენზია არა გვაქვს, რომ გავწვდებით მას, მაგრამ ზოგს ჩვენ გავაკეთებთ, ზოგს სხვა და საბოლოოდ შთამომავლობა მიიღებს სრულყოფილ სურათს...



**— თქვენ ჯერ კიდევ 1995 წელს დასტამბეთ საკმაოდ სქელტანიანი წიგნი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე...**

— ეს იყო „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მე-19 და მე-20 საუკუნეებში“, რომელიც ძალების მოსინჯვა იყო!

**— და ამ „ძალების მოსინჯვამ“ სტიმული მოგცათ?...**

—სტიმული, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევამ მოგვცა! შესაძლოა, გახსოვთ მისი სიტყვები: — **„საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ახასიათებდა განსაკუთრებული თავისებურება, — ეკლესია იყო ხალხთან ერთად! იგი ცხოვრობდა ხალხის ცხოვრებით, ყველაზე მძიმე და პასუხსაგებ მომენტში, იგი იყო მებრძოლი ეკლესია და მთელ თავის ძალ-ღონეს იყენებდა ხალხის სულიერი და პოლიტიკური თავისუფლებისათვის... საუკუნეების მანძილზე ჩვენი ეკლესია იყო ის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა ქართულ სამთავროებს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ!“.**

ასე რომ, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია ქართველი ხალხის ისტორიაა და ამ ისტორიის ფოლიანტებში, როგორც მოგახსენეთ, ჯერ კიდევ ბევრია საკვლევი და საძიებელი...

**— მოდით, მკითხველს „მივცეთ“ გარკვეული „გზამკვლევი“, — განსაკუთრებით რა საკითხებია წინ წამოწეული თქვენს მონოგრაფიაში?**

— **პირველი ნაწილი** ეძღვნება ქრისტეს სჯულის გავრცელების მიზეზებს და თარიღის დადგენის საკითხს, ასევე წმინდა კვართის მოხვედრის ისტორიას საქართველოში; აღწერილია ქრისტეს მოწაფეების — ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის ქადაგებები საქართველოში; წმინდა ნინოს ჩამობრძანება და სრულიად ქართველთა მოქცევა ქრისტეს სჯულზე.

**მეორე ნაწილში** მოცემულია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ბრძოლა ავტოკეფალიისათვის. საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი სამონასტრო ცხოვრების განვითარებას ქვეყნის შიგნით და მის გარეთ...

**მესამე ნაწილი** მოიცავს საქართველოს საერო და საეკლესიო ცხოვრების აღორძინების ხანას.

**მეოთხე ნაწილი** ეხება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დაქვეითების პერიოდს, საქართველოს ეკლესიის ერთიანობის დაქუცმაცების საკითხს.

**მეხუთე ნაწილში** აღწერილია რუსეთის წმინდა სინოდის მიერ საქართველოს ეკლესიისთვის ავტოკეფალიის უკანონოდ ჩამორთმევა, ქართული ეკლესიების ძარცვა, მისი განადგურების მცდელობა და ქართული ახალშენები და მათი განშტოებები რუსეთში.

**მეექვსე ნაწილში** კი განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოს ეკლესიის ბრძოლას ავტოკეფალიის აღდგენისათვის 1905-1917 წლებში; საქართველოს ეკლესიის მოღვაწეთა ბრძოლას მსოფლიო მასშტაბით ავტოკეფალიის ცნობისა და აღიარებისთვის 1960-1995-იან წლებში. დასასრულ ვეხებით პრობლემებს, რომლებიც ამჟამად ასე მწვავედ დგას ჩვენი დედაეკლესიის წინაშე საერთოდ, და კერძოდ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.

**— მოდით, ახლა ეს ვიკმაროთ, დანარჩენს მკითხველი თვითონ წაიკითხავს ამ დიდებულ მონოგრაფიაში! ოღონდ, სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ წიგნი „აკრეფილია“ შედარებით წვრილი შრიფტით და როგორც ვიცი, ნაცვლად ორი ტომისა, ერთ ტომში მოთავსდა მთელი ეს ზღვა მასალა!**

— ... ფინანსური პრობლემები, მოგეხსენებათ!...

ნაშრომის მეორე გამოცემაში ამ ხარვეზს გამოვასწორებთ.

**ზაურ ფიფია**



◎ მართლმადიდებლობა

# მაცხოვრის ხატი — ქუთაისში

**უკრაინაში, ქ. სუმში ქართული კულტურის ცენტრი „მზიური“ მოქმედებს. სწორედ „მზიურის“ თანადგომითა და უკრაინისა და კიევის მიტროპოლიტის, უნეტარესი ვლადიმირის ლოცვა-კურთხევით, საქართველოში ჩამოაბრძანეს ხატი — „უფალი ყოვლისმპყრობელი“. ხატმა მუდმივი ადგილი დაიმკვიდრა ქუთაისის წმინდა მოციქულთა — პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარში. შარშან, ასევე „მზიურის“ ინიციატივით, ქ. ქუთაისის ხარების სახელობის ეკლესიას შესწირეს ხატი — „დიდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა“.**

ამ ფაქტის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით.

მაცხოვრის ხატის ჩამობრძანება საქართველოში დაემთხვა ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ხატმა შემოიარა კიევო-პეჩორის ლავრა და ოდესის წმინდა ტაძრები. მას საგანგებო პარაკლისი გადაუხადა ოდესის წმინდა ილინსკის მამათა მონასტრის იღუმენმა ანდრიამ, (ოსიაშვილმა), რომელიც, ამავე დროს, ოდესის ქართული დიასპორის საპატიო წევრია. ის, ყოველ შაბათს, ტიხვინის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში საგანგებო წირვას აღავლენს. წირვაზე ქართული გალობა ისმის, რომელსაც შესაშური ოსტატობით ასრულებენ უკრაინელები.

საქართველოში მაცხოვრის ხატი დაბრძანებული იყო ფოთის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარში, ზუგდიდისა და ცაიშის ეკლესიებში. მეუფე გერასიმეს ლოცვა-კურთხევით ხატი დააბრძანეს ზუგდიდის წმ. ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში.

10 აპრილს, ზუგდიდში დეკანოზმა მამა ფრიდონმა მაცხოვრის ხატს საგანგებო პარაკლისი გადაუხადა. ქუთაისში ხატს შეეგება ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი, მეუფე კალისტრატე. ხარების ტაძარში ჩატარდა პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ ქალაქის ხელმძღვანელები, არასამთავრობო ორგანიზაციების, უკრაინის დიასპორის წარმომადგენლები.



მეუფე კალისტრატემ დიდი სიხარული გამოთქვა მაცხოვრის ხატის საქართველოში ჩამობრძანების გამო, დალოცა უკრაინელი და ქართველი მართლმადიდებლები, უფლის წყალობა და სულიერი სიმშვიდე უსურვა მათ.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◎ გასტროლების წინ

# „მიატოვეთ ყველაფერი და ნახეთ ქართული საოცრება“

**საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი „ერისიონი“ არსებობის 121 წელს ითვლის და მან უდიდესი როლი ითამაშა ქართული კულტურის ისტორიაში. ილია ჭავჭავაძისგან ხელდასხმული შემოქმედებითი კოლექტივის ბალავარზე უკვე მესამე საუკუნეა ნამდვილი ქართული კულტურა შენდება, სამსაუკუნოვან ისტორიას დასაბამიდან დღემდე უცვლელი შემოქმედებითი კრედო აერთიანებს, — ძირძველი ქართული ტრადიციების გაფრთხილება, დაცვა და მთელი პლანეტის მასშტაბით მისი პროპაგანდა.**

**— როდის ეწოდა ანსამბლს „ერისიონი“ და რას ნიშნავს იგი?** — ვეკითხებით მის ხელმძღვანელს, ბატონ **ჯემალ ჭკუასელს.**

— ანსამბლს „ერისიონი 1999 წელს ეწოდა. სულხან-საბას განმარტებით, „ერისიონი“ ნიშნავს „მთის ზეითს“, მაღალი მთებიდან ზეცად ამაღლებას, ბუნების საუცხოო სურათს: როცა მზის ნათელი სხივები მიუწვდომელ მწვერვალებს დაანათებს და მთის თავს ხილულს გახდის. ამ შთამბეჭდავი პეიზაჟით იწყება ჩვენი ცნობილი კლიპიც. სიმბოლურად მივიჩნიეთ სიტყვის გრაფიკული გამოსახულებაც. ერი და სიონი ერთად. ერისა და ბერის ერთიანობა გახდა საფუძველთა საფუძველი ერთიანი ძლიერი საქართველოს შექმნისა, რომელიც დავით აღმაშენებელმა დიდებულად დააგვირგვინა. ყველა ქართველისთვის საოცნებო ეს საქართველოა წარმოდგენილი „ერისიონის“ ორსაათიან შოუში, სიმღერისა და ცეკვის საოცარი თანხვედრით, ჩვენი ანსამბლი ერთიანი საქართველოს სიმბოლოა.



**— რომელიმე ტურნეს ხომ არ გაიხსენებდით?**

— ძნელია რომელიმე ცალკე გამოვყოთ, მაგრამ, მაინც განსაკუთრებულია პარიზული გასტროლები. მაშინ „ერისიონს“ ოქროს დისკი გადაეცა და ცნობილი ფირმა „უნივერსალის“ გამოკითხვით „ერისიონის“ სიმღერა შევიდა საუკეთესო ათეულში მეორე ადგილზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი ჩასვლისას ასეთი სათაურებით იწყებოდა გაზეთებში ჩვენს შესახებ სტატიები — **„მიატოვეთ ყველაფერი და ნახეთ ქართული საოცრება“...**

**— და უკვე ახალი გასტროლები გელით, არა?**

— მაისის დასაწყისიდან დიდი ტურნე იწყება, სადაც „ერისიონი“ განახლებული პროგრამით ევროპელი მაყურებლის წინაშე წარსდგება, მივემგზავრებით გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში და ა.შ. ჩვენს სამომავლო გეგმებში შედის ასევე კონცერტები თბილისში, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ და ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერით არის შესაძლებელი. იმედი გვაქვს, გამოგვიჩნდება სპონსორი და გვექნება შესაძლებლობა, რომ ქართველ მაყურებელს ულამაზესი წუთები ვაჩუქოთ.

ესაუბრა
**ხაჩატურ ვართანიანცი**

**● მართალია ზოგმა უმწიფარმა პოლიტიკოსმა ბესოს ასეთი აზრის გამოთქმისთვის გულუბრყვილობა დასწამა და ჩვენი დროის არსენაც კი შეარქვა, მაგრამ ამან დეპუტატს ხასიათის სიმტკიცე ოდნავადაც ვერ შეურყია. მან არ დაიზარა და სასარგებლო რჩევა მისცა სოლოლაკელ მიკირტუმასაც, რომელიც ქალაქის ისტორიულ უბანში ცხოვრობს**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

## ⊙ ელამი სარკე

# მიკირტუმა

**ფრიად საოცარი ვინმეა ეს ჩვენი ბესო პარლამენტარი – ფიქრიანი, თვალმჭვრეტი, აზრმსუქანი. ჯერ არაფერს იტყვის, მაგამრ თუ თქვა, „ტყვიას“ პირდაპირ ათიანში აჯენს. ბედი რომ გვქონოდა და ამნაირი ერთი ხუთი მაინც გვყოლოდა ხელისუფლებაში, ქვეყანაში სილატაკეს კარგა ხანია საიქიოს გავისტუმრებდით და იმ საოცნებო ნატოშიც უკვე საგულდაგულოდ დაბუდებული ვიქნებოდით.**

არავინ იფიქროს, რომ ვაბუქებ. აბა გაიხსენეთ, ამ ორიოდე დღის წინათ გაზის ტარიფის მომატებამ ქვეყანა რომ შეაზანზარა, ბატონმა ბესომ ვითარება რა მოსწრებულად განმუხტა. რა საჭიროა ამდენი ხმაური და აქციები, თქვა მისთვის ჩვეული სიდინჯით დეპუტატმა, გაზრდილი თანხა გადაინაწილონ მდიდრებმა, ღარიბებმა კი, რადგან უფულოდ არიან, გაზის საფასური ისევ ძველი ტარიფით გადაიხადონო.

ამის თქმა და „კბილის ტკივილის“ გაყუჩება ერთი იყო. მართალია ზოგმა უმწიფარმა პოლიტიკოსმა ბესოს ასეთი აზრის გამოთქმისთვის გულუბრყვილობა დასწამა და ჩვენი დროის არსენაც კი შეარქვა, მაგრამ ამან დეპუტატს ხასიათის სიმტკიცე ოდნავადაც ვერ შეურყია. მან არ დაიზარა და სასარგებლო რჩევა მისცა სოლოლაკელ მიკირტუმასაც, რომელიც ქალაქის ისტორიულ უბანში ცხოვრობს. მას უნდა, სახელმწიფომ ამ უბნის რეაბილიტაციაში მილიონები ჩაყაროს, თვითონ კი კაპიკიც არ გაიღოსო.

– ასე არ შეიძლება, ძმაო, – განაცხადა პარლამენტარმა ტელევიზიით და გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, – შენ გინდა ჩრდილში წამოწვე, ხელი არ გაანძრიო და საკუთარი სახლის შესაკეთებელი ფული ბიუჯეტს გადაახდევინო? ვისაც მოსაკრებლის გადახდის თავი არა აქვს, კეთილი ინებოს, გაყიდოს ბინა (ყოველ შემთხვევაში მისი ნახევარი მაინც) და იმ თანხით თბილისის კულტურული მემკვიდრეობის აღდგენაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. ბოლოს და ბოლოს, დეპუტატის აზრით, სულაც არ არის აუცილებელი, მელოტმა ანზორამ გლდანში იცხოვროს, ხოლო ჭაღარა მიკირტუმამ – სოლოლაკში.

ასე ფიქრობს ბატონი ბესო, მაგრამ ამის თაობაზე რა აზრისაა თავად მიკირტუმა? ჟურნალისტურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია და ამის გასაგებად სოლოლაკის გზას დავადექი. იქით გავიკითხე, აქეთ გამოვიკითხე და როგორც იქნა, მიკირტუმას მივაკვლიე, საყოველთაოდ ცნობილი მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვის პირდაპირ შთამომავალს.

– უჰ, სად გიცხოვრია, კაცო, – ვუსაყვედურე, – ძლივს მოგაგენი.

– შორიდან მოდიხარ? – დაინტერესდა მიკირტუმა.

– გლდანიდან.

– აა, მელოტი ანზორა შენა ხარ?

– არა. მელოტი კი ვარ, მაგრამ ანზორა ნამდვილად არა ვარ.

– აბა ვინა ხარ ან ვის დაკარგვიხარ? – ბანჯგვლიანი წარბები შეარხია მიკირტუმამ.

– მე, ბატონო, – ვთქვი აბუზულმა, – ოტია ვარ, ჩართოლანი.

– ჩართოლანი? – გაიკვირვა, – მერედა რაში უნდა ჩამრთო?

– მოსაკრებლის გადახდაში.

– მოსაკრებელი არ გამაგონო, – ხმას აუწია მიკირტუმამ, – თორემ დავიგინებ.

– ვის შეაგინებ?

– მთავრობას, მაშ ვისა.

– რატომ ძმაო, შენი დანგრეულ-ჩამოძონძილი ბინის გაახალგაზრდავებას აპირებს და იმის მაგივრად რომ ცოტა ფული შენც გაიღო, კიდევ ლანძღვა-გინებით იმუქრები?

– არ მინდა მაგათი გარემონტებული, მე ჩემ დაფახფახებულში უნდა ვიცხოვრო, მორჩა და გათავდა!

– არ გეშინია, თავზე რომ დაგემხოს?

– არ შევალ და როგორ დამემხობა? ჩემ მამაპაპეულ განძს სწორედაც გარედან ვუყურებ, მაგათ კი ხელს არ დავაკარებინებ!

– დაფიქრდი, რას ამბობ, ჯან, მიკირტუმ, – ვცადე ჭკუის დარიგება, – მთავრობას თუ დაუჯერებ და სახლს შეაკეთებინებ, ამ შენი ბუდრუგანას საფასურად ქალაქის გარეუბანში ხუთჯერ უფრო დიდი ბინაც მოგივა და ფულიც ბლომად დაგრჩება.

– შენ რა ბესო ჯუღელივით მელაპარაკები, იმის გამოგზავნილი ხომ არა ხარ?

– რომც ვიყო, მერე რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს დეპუტატი კაცია.

– მაგის დეპუტატობა ფეხებზე მკიდია, – აშკარად იუხეშა მიკირტუმამ, – ფული რომ ჰქონდეს კიდევ ჰო – გავეჩალიჩებოდი, მაგრამ ახლა ტყუილად პირი რაზე ავიქაფო?

– რა იცი, რომ არა აქვს?

– თვითონვე თქვა – შვილის საზღვარგარეთ გაგზავნა მინდოდა სასწავლებლად, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ შევძელიო.

– მერე გჯერა?

– მე არა, თვითონა სჯერა.

– გგონია, რომ ბესოს შენი ბინის დათრევა უნდა?

– უნდოდეს რა, თავის დროზე შევარდნაძემ ვერ გამაცურა და ახლა ეგ მომატყუებს?

– როგორ, კაცო, შენი ბინის ყიდვა შევარდნაძესაც უნდოდა?

– არ ეცალა, თორემ რატომაც არა, სადღაც მივარდნილ კრწანისს სოლოლაკი არა სჯობია?

ერთი სიტყვით, ბესოს არ ეთანხმები?

– არა, ვიდრე ჩემი ბინა ფეხზე დგას, მეც აქ ვიდგები.

– გლდანელი ანზორა რომ შეგევაჭროს?

– გადაეცი, არც გაბედოს, თორემ მარტო ბინას კი არა, იმ მელოტ თავსაც დაკარგავს.

ეს რა ხათაბალას გადავეკიდე, კაცოო, გავიფიქრე, სოლოლაკში მიკირტუმას ძლივს მივაგენი და იმხელა გლდანში ახლა მელოტი ანზორას პოვნა არ გინდა!

**ოტია ჩართოლანი**

## ⊙ ინფორმაცია

### დააკავეს „ჯავახკის“ აქტივისტი

**ახალქალაქის პოლიციამ ქალაქის ყოფილი მერი ნაირი ირიციანი და ორგანიზაცია „ერთიანი ჯავახკის“ აქტივისტი არტურ პოღოსიანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავა.**

მათ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და ახალქალაქის პროკურორის მძღოლის მხითარ გაბრიელიანის ცემა ედებათ ბრალად.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ არტურ პოღოსიანს აღმკვეთი ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

აღსანიშნავია, რომ არტურ პოღოსიანს პირობითი სასჯელი ჰქონდა მისჯილი და როგორც მოსამართლე ნელი ლონდაძემ აღნიშნა, გამოსაცდელ ვადაში ჩადენილმა ხულიგნობამ პოღოსიანის ბრალეულობა კიდევ უფრო დაამძიმა.

როგორც ახალქალაქის პროკურორის მძღოლი მხითარ გაბრიელიანი აცხადებს, ის ავტომანქანით დაეჯახა ადგილობრივ მცხოვრებს ანდრანიკ აბელიანს და მანქანიდან დაზარალებულის სანახავად გადავიდა, თუმცა „ერთიანი ჯავახკის“ აქტივისტები, რომლებიც იმ დროს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ, თავს დაესხნენ და სცემეს.

**ინტერპრესნიუსი**

**ემა, გულისვარდი, გიორგი, მევლუდ დუნდუები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**პავლე ქურასბედიანი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.**

---

**საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს „აკ. კ. ჩაჩავას პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ აფხაზეთის დამსახურებულ ექიმს, სოხუმის სამშობიარო სახლის ოპერაციული გინეკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს, ქალბატონ ნათელა ხაჟომიას შვილის**

**არჩილ ადამიას**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

## განცხადება

### სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველოს“ აქციონერთა კრების მოწვევის შესახებ

სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველოს“ გენ. დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველოს“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2007 წლის 16 მაისს 12 საათზე, ქ. თბილისში, თაბუკაშვილის 14.

**დღის წესრიგი:**

1. ქ. თბილისში კოსტავას ქ. №65-ში მდებარე შენობა-ნაგებობის და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის შეძენა.

**2007 წლის 7 მაისს, დღის 14 საათზე, ქ.თბილისში, კაიროს ქ. №38-ში მოწვეულია სააქციო საზოგადოება „ბინათმშენებელის“ აქციონერთა საერთო კრება**

**დღის წესრიგი:**

1. 2006 წლის შედეგების განხილვა;
2. საზოგადოების რეაბილიტაცია;
3. საზოგადოების რეორგანიზაცია (ნატურით გაყოფა).

კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილი იყო 2007 წლის 23 მარტი. აქციონერთა რეგისტრაცია იწარმოებს 13 საათიდან. კრებაში მონაწილეობის უფლება და თქვენს განკარგულებაში არსებული ხმების რაოდენობა ამ დღის მდგომარეობით შეგიძლიათ შეამოწმოთ შპს „საქართველოს რეგისტრატორში“ (ქ.თბილისი, ჭავჭავაძის ქ.74 ა. ტელ: 22.53.51).

**სამეთვალყურეო საბჭო**

## შეტყობინება

### სს „მადნეულის“ აქციონერებს

სს „მადნეულის“ აქციათა 98, 95 %-ის მფლობელმა „სტენტონ ექვითიზ კორპორეიშენმა“ 2007 წლის 26 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება დივიდენდების განაწილების შესახებ. გაცნობებთ, რომ დივიდენდების სააღრიცხვო თარიღად განისაზღვრა 2007 წლის 8 მაისი. ამ თარიღის სამუშაო ხანგრძლივობის დასრულების მდგომარეობით შედგება იმ აქციონერთა სია, რომელთაც ექნებათ დივიდენდების მიღების უფლება. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ სს „მადნეულის“ ადმინისტრაციაში შემდეგ **მისამართზე: ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი. საკონტრაქტო ტელეფონი: 8 99 57 90 65.**

## ⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით გვაცნობოთ ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერებისათვის ამჟამად მოქმედი საპენსიო კანონის სრული ტექსტი.**

**თამაზ კუჭაძე**

**პასუხი:** ძალოვან სტრუქტურებში მომუშავეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ, რომელთაც სამხედრო წოდება აქვთ, ჩვენი გაზეთის მეშვეობით საკმაოდ ბევრი ინფორმაცია მიგვიწოდებია მკითხველისთვის. ზემოაღნიშნულ საკითხზე ყველა კანონის გაზეთის საშუალებით თქვენამდე მოტანა შეუძლებელია. რედაქცია კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხობს დაინტერესებულ მკითხველს, რათა დაეხმაროს თავისი კანონიერი უფლებების დაცვაში. თუ თქვენ რაიმე სადავო გაქვთ საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, გირჩევთ, სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს მიმართოთ.



* * *

**კითხვა: ვარ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. რეფორმისა და კონკურსის შედეგად არჩეული ვარ უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. ხელფასი დამენიშნა 185 ლარი, იმდენი, რამდენიც მეცნიერებათა კანდიდატს. ვსარგებლობდი 48 კალენდარული დღის ხანგრძლივობის შვებულებით. გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა კანდიდატზე მეტი ხელფასი და რამდენი დღის ანაზღაურებადი შვებულება მომეცემა?**

**შოთა კიკნაძე**

**პასუხი:** ძალიან დამსახურებული და საპატიო პიროვნება ბრძანებულხართ, მაგრამ შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენი დღევანდელი ხელფასის ოდენობა, სამწუხაროდ, განისაზღვრება არა წოდებისა და ხარისხის, არამედ იმის მიხედვით, თუ რა თანამდებობა გიკავიათ (როგორც ჩანს, თქვენს დაწესებულებაში უფროსი მეცნიერ-მუშაკის ხელფასი 185 ლარია). აქვე გაცნობებთ, რომ ახალი შრომის კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – არანაკლებ წელიწადში 24 სამუშაო დღით და, გარდა ამისა, თუ სურვილი ექნება, მოითხოვოს უხელფასო შვებულება წელიწადში არანაკლებ 15 კალენდარული დღის ოდენობით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია, რომ შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

№ 80. პარასკევი, 27 აპრილი, 2007 წელი.

● საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აშშ მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების კომერციალიზაციის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი ვლადიმერ ლიხოლეტოვი და აშშ ნიუ-იორკ-ბინგამტონის უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ტრანსფერისა და ინოვაციური თანამშრომლობის სამსახურის დირექტორი იუჯინ კრენსელი ეწვივნენ





## ჩვენებურზე

# ეკრანზე უკეთ გამოიყურება, ვიდრე ფურცლებზე...

**მოსკოვურმა გამომცემლობა „ამფორამ“ წლეულს ჩვენი თანამემამულის წიგნი დასტამბა „ისტორიული ქრონიკები ნიკოლოზ სვანიძესთან ერთად“.** ამ ცნობილმა რუსეთელმა ტელეჟურნალისტმა შარშან გადაცემათა ციკლისათვის „ისტორიული ქრონიკები“ პრესტიჟული ტეფის პრიზი მოიპოვა და როგორც სპეციალისტები შენიშნავენ, სავსებით დამსახურებულადაც. ეტყობა ჯილდომ შეაგულიანა არხი „როსია“ და ტელეწამყვანი იმ წიგნის გამოსაცემად, რომლის ყდიდან მკაცრად გამოიმზირება თვით ნიკოლოზ სვანიძე.



„КП“-მ ამ ჯერზე, ცოტა არ იყოს, შეგვიხურა ჩვენებური (გაზეთის 18 აპრილის ნომერიძ, რაშიც ახლავე დარწმუნდებით:

„400-ზე მეტ გვერდზე „მეორადი“ პროდუქტი მივიღეთ – ავტორის გადაცემათა სცენარები, იმ კადრისმიღმა ჩანაწერების ერთგვარი კრებული, რომლებიც, მკაცრი მოთხოვნით, კარგი მხოლოდ გარკვეული დასურათებით ჩანს. უამისოდ კი მთელი ეფექტი, მთელი „მაგია ტელევიზორისა“, იკარგება...

ყოველი თავის ცენტრში, რომელიც ამა თუ იმ წელზე მოგვითხრობს, ცნობილი პერსონაჟები არიან. ოღონდ გაუგებარია, მაგალითად, რატომ ეხება თავი „რასპუტინი“ 1915 წელს და არა 1916-ს, როცა „დიდი მოხუცი“ სინამდვილეში ჩააძაღლეს? ეს ხომ უფრო ლოგიკური გამოჩნდებოდა. სხვა თავები სულაც უადგილო ადგილას წყდება.

ასე რომ, ალბათ, მაინც უკეთესია, თუ ნიკოლოზ სვანიძეს ტელევიზორით ვუყურებთ“.

## ვიზიტი

# სტუმრად პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აშშ მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიების კომერციალიზაციის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი ვლადიმერ ლიხოლეტოვი და აშშ ნიუ-იორკ-ბინგამტონის უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ტრანსფერისა და ინოვაციური თანამშრომლობის სამსახურის დირექტორი იუჯინ კრენსელი ეწვივნენ.**

მათ ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო სამსახურის თანამშრომლებთან სამეცნიერო შედეგების კომერციალიზაციის პრობლემებზე ისაუბრეს.

უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის დახმარებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო სამსახურის თანამშრომლები კომერციალიზაციის პროფილით ტრენინგს გაივლიან.

ჯი-ეიჩ-ენი

## ანეკდოტები

– უბრალოდ სასოწარკვეთილი ვარ. დღეს ექიმთან ვიყავი, ვიაგრა გამომიწერე-მეთქი, ვთხოვე. არ გამომიწერა, ეს იგივე იქნება, რაც დროშის აღმართვა იმ გემზე, რომელიც იძირებაო.

* * *

– მაინც რით გარდაიცვალა თქვენი ქმარი?

– ვფიქრობ, ძირითადად, დენით...

– ეს როგორ?

– რქებით სადენებს გამოედო...



* * *

ავტობუსში პენსიონერი ავიდა. პატარა ბიჭმა სავარძლიდან წამოდგომა მოინდომა.

– იჯექი, ჯერჯერობით არ მიჭირს ფეხზე დგომა, – არ დაანება ადგომა პენსიონერმა.

ანალოგიური სიტუაცია რამდენჯერმე განმეორდა. ბოლოს ბავშვმა უთხრა:

– ბაბუ, გამიშვით თუ შეიძლება, თორემ უკვე ოთხი გაჩერებით გავცდი ჩემს სახლს.

* * *

– იზია, ღამის ლოცვებს კითხულობ?

– ვკითხულობ.

– მერე?

– იცი რა, ჯერ ვერანაირ შედეგს ვერ ვხედავ.

* * *

პარასკევს აღებული ხელფასი ღვიძლისთვის მიყენებული კიდევ ერთი დარტყმაა.

* * *

ჩვენთანაც და ამერიკაშიც სამართალდამცავები და დანაშაულობა ხელჩაკიდებული დადიან. ოღონდ ჩვენთან ეს უხელბორკილებოდ ხდება.

## „დრო, დრო აღნიშნე!“

# მეოცე საუკუნის ფოტომატიანეს წარმოგვიდგენს ფოტოჟურნალისტი

# გივი ვახტანგაძე



1961 წლის ივნისში გაზეთ „კომუნისტის“ (რედაქტორი დავით მჭედლიშვილი) თანამშრომლები გურამ გოგიაშვილი და ოთარ აროზელიძე როსტოვის ოლქის სტანიცა ვეშენსკაიაში ეწვივნენ დიდ რუს მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს მიხეილ შოლოხოვს და იგი საქართველოში მოიპატიჟეს. მართლაც, მალე „წყნარი დონის“ ავტორი თბილისში ჩამოვიდა და თავად იგრძნო ჩვენი ხალხის სტუმართმოყვარეობა. აი, ერთ-ერთი შეხვედრაც: მიხეილ შოლოხოვს ესაუბრებიან ჟურნალისტები ირაკლი გოცირიძე (მარცხნივ) და გურამ გოგიაშვილი.

## ინფორმაცია

# ქუთაისში იპოლიტე ხვიჩიას ძეგლი დაიდგმება

**ცნობილი ქართველი მსახიობის იპოლიტე ხვიჩიას ძეგლის შესაქმნელად კონკურსი გამოცხადდა. ძეგლი ქუთაისში დაიდგმება.**



კონკურსის პირობების შესახებ გუშინ ქუთაისის ვიცე-მერმა გიგა შუშანიამ პრესკონფერენცია გამართა.

მისი განცხადებით, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს მასშტაბით ნებისმიერ ავტორს. გამარჯვებული ფულადი პრემიით დაჯილდოვდება.

საკონკურსო განაცხადების მიღება 30 ივლისამდე გაგრძელდება.

ინტერპრესნიუსი

## ლარის კურსი

27 აპრილიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3693 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6915 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2903 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0656 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9546 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4603 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3615 ლარი. |

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.